

675-55
003

ISSN 1512-0961



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

მ ა ც ბ ე
PROCEEDINGS
ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია
ECONOMIC SERIES
СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ



ტომი
VOLUME **11**
ТОМ

2003 № 1-2

თბილისი * TBILISI * ТБИЛИСИ



**მთავარი რედაქტორი
ვაპავა**

სარედაქციო კოლეგია

რ. აბესაძე, თ. აქუბარდია (პასუხისმგებელი მდივანი), თ. ბერიძე, პ. გიორგაძე, მ. დობროვსკი (პოლონეთი), ა. თეთრაული, მ. კაკულია, ა. კურატაშვილი, ა. კრედისოვი (უკრაინა), ე. ისმაილოვი (აზერბაიჯანი), ვ. მაუ (რუსეთი) ი. მესხია, კ. მიკულსკი (რუსეთი), ჯ. თბრაიენი (აშშ), ნ. პაიჭაძე, კ. პოტელი (ბელგია), ზ. სამედ-ზადე (აზერბაიჯანი), ა. სილაგაძე, შ. ტაბატა (იაპონია), ჯ. ტედსტრომი (აშშ), ა. ფილიპენკო (უკრაინა), თ. ჩიკვაიძე, ლ. ჩიქავა, გ. წერეთელი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნ. ჭითანავა, მ. ჯიბუტი, ლ. ყორღანაშვილი.

**EDITOR-IN-CHIEF
V. PAPAVA**

EDITORIAL BOARD

R. Abesadze, T. Akubardia, T. Beridze, L. Chikava, T. Chikvaizde, N. Chitanava, A. Filipenko (The Ukraine), H. Giorgadze, M. Djibuti, M. Dabrowski (Poland), E. Ismailov (Azerbaijan), M. Kakulia, L. Korganashvili, A. Kuratashvili, A. Kredisov (The Ukraine), V. Mau (Russia), I. Meskhia, K. Mikulski (Russia), J. O'Brien (USA), N. Paichadze, C. Potelle (Belgium) Z. Samed-Zade (Azerbaijan), A. Silagadze, Sh. Tabata (Japan), J. Tedstrom (USA), A. Tetrauli, G. Tsereteli (Deputy Editor in-Chief).

**ГЛАВНЫЙ РЕДАКТОР
В. ПАПАВА**

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Р. Абесадзе, Т. Акубардия, Т. Беридзе, Г. Гиоргадзе, М. Домбровский (Польша), М. Джибути, М. Какулия, А. Кураташвили, Л. Корганашвили, А. Кредисов (Украина), Э. Исмаилов (Азербайджан), В. Мау (Россия), Я. Месхия, К. Миккульский (Россия), Дж. О'Брайен (США), Н. Паичадзе, К. Потель (Белгия), З. Самед-заде (Азербайджан), А. Силагадзе, Ш. Табата (Япония), Дж. Тедстрем (США), А. Тетраули, А. Филипенко (Украина), Г. Церетели (зам. главного редактора), Л. Чикава, Т. Чикваидзе, Н. Читанова.

380007, თბილისი, ქიქოძის 14, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი
ტელ: (995-32) 996-853, ფაქსი: (995-32) 998-389

P. Gugushvili Institute of Economics, The Georgian Academy of Sciences,
14, Kikodze street, Tbilisi, 380007, Georgia
Tel: (995-32) 996-853, Fax: (995-32)998-389

Инстиут Экономики им. П. Гугушвили АН Грузии,
ул. Кикодзе, 14, Тбилиси, 380007, Грузия
тел (995-32) 996-853, факс (995-32) 998-389

E-mail: papavavladimer@posta.ge
<http://georgia-gateway.org/matsne/>



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
 THE GEORGIAN ACADEMY OF SCIENCES
 АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИИ

მ ა ც ნ ე
 PROCEEDINGS
 ИЗВЕСТИЯ

ეკონომიკის სერია
 ECONOMIC SERIES
 СЕРИЯ ЭКОНОМИЧЕСКАЯ


ტომი
 VOLUME 11 № 1-2
 ТОМ

ქურნალი დაარსდა 1992 წლის ოქტომბერში
 The journal is established in October, 1992
 Журнал основан в октябре 1992 г

გამოდის წელიწადში 4-ჯერ
 The journal is published 4 times a year
 Выходит 4 раза в год

41

თბილისი "მეცნიერება"
 TBILISI "METSNIEREBA"
 ТБИЛИСИ "МЕЦНИЕРЕБА"
 2003



შენიშვნები

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26	27	28	29	30	31	32	33	34	35	36	37	38	39	40	41	42	43	44	45	46	47	48	49	50	51	52	53	54	55	56	57	58	59	60	61	62	63	64	65	66	67	68	69	70	71	72	73	74	75	76	77	78	79	80	81	82	83	84	85	86	87	88	89	90	91	92	93	94	95	96	97	98	99	100	101	102	103	104	105	106	107	108	109	110	111	112	113	114	115	116	117	118	119	120	121	122	123	124	125	126	127	128	129	130	131	132	133	134	135	136	137	138	139	140	141	142	143	144	145	146	147	148	149	150	151	152	153	154	155	156	157	158	159	160	161	162	163	164	165	166	167	168	169	170	171	172	173	174	175	176	177	178	179	180	181	182	183	184	185	186	187	188	189	190	191	192	193	194	195	196	197	198	199	200

CONTENTS

Paata Koguashvili, Hamlet Giorgadze	11
Regional Trends of Food Industry in Georgia	
V. Chocheli	
"Syndrome of shadow Economy": Low Tax Burden –	32
Low Rate of Economic Growth	
Paata Bolashvili	
Strategy and Principles of Municipal Service Financial Management	47
Timotej Jagrič, Sebastjan Strašek	
Evidence on the business cycle in Slovenia; is Industrial Production	49
a Coincident Indicator of Current Business Activity?	
Mzia Shelia	
Traditions of Social Protection in Georgia	75
Jemal Kharitonashvili	
Some Models of Market Economy	88
Paata Koguashvili	
Food Security in Georgia and its Main Characteristics	99
Tamar Gamsakhurdia	
The Practical Importance of Perfecting Tax and Budgetary System in	115
Achievement of the Stabilization of Economy	

СОДЕРЖАНИЕ

Paata Koguashvili, Hamlet Giorgadze	12
Региональные ориентиры производства продовольствия в Грузии	
Венхия Чочели	
"Синдром Теневой Экономики": низкое налоговое бремя –	33
низкий уровень экономического роста	
Паата Болашвили	
Стратегия и принципы финансового управления сферы муниципального обслуживания	48
Тимотей Джагрич, Себастьян Стражек	
Показатель бизнес-активности Словении: соответствует ли	65
объем промышленной продукции показателю бизнес-активности	
Мзия Шелия	
Традиции социальной защиты населения в Грузии	76
Джемал Харитонашвили	
Некоторые альтернативные модели рыночной экономики	89
Паата Когуашвили	
Продовольственная проблема Грузии и ее основные характеристики	100
Гамсахурдина Т. Г.	
Практическая значимость усовершенствования	116
налогово-бюджетной системы для достижения стабилизации экономики	

სურსათის წარმოების რეგიონული ორიენტირები საქართველოში

ბატა კოდუაშვილი, ჰამლეტ გიორგაძე
საქართველოს სახელმწიფო
აგრარული უნივერსიტეტი,
380031, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ
შემოვიდა: 2002 წლის 10 ოქტომბერს

რეზიუმე. სასურსათო პრობლემის გადაწყვეტის მიზნით შეფასებულია სურსათით უზრუნველყოფის არსებული მანევრებლები რეგიონულ ჭრილში და მის საფუძველზე დადგენილია სამამულო წარმოების ცალკეული სახის სასურსათო პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფის პროგნოზული პარამეტრები.

* * *

ეროვნული სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტა მოითხოვს მნიშვნელოვან ძალისხმევას, როგორც საერთო სახელმწიფოებრივ, ასევე რეგიონალურ დონეებზე. საერთო სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა განვითარება ცენტრსა და რეგიონებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა აამაღლებს ამ უკანასკნელთა როლსა და პასუხისმგებლობას სასურსათო უშიშროების პრობლემის გადაწყვეტაში.

რეგიონულ დონეზე გადასატრედი ამოცანები დამოკიდებულია სურსათის მწარმოებელ ამა თუ იმ რეგიონის არსებულ და პოტენციურ შესაძლებლობებზე. ამ შესაძლებლობათა საფუძველი უნდა მომზადდეს საერთო სახელმწიფოებრივ დონეზე სურსათის წარმოების სტიმულირების, მის შესასყიდად საჭირო საშუალებათა აკუმულირების, სურსათის სადაზღვევო და სამობილიზაციო მარაგების შექმნის გზით. არსებული მეთოდით ჩვენ გავიანგარიშეთ სურსათის საკმარისობის (ნატურალურ და დირებულეებით), ხელმისაწვდომლობის, სასურსათ-

საქართველოს
პარლამენტის
სახელმწიფო
სამსახური

თო თვითურუნველყოფის კოეფიციენტები ქვეყნის რეგიონების, აგრეთვე მთლიანად საქართველოს დონეების მიხედვით დინამიკაში 1990-2000 წწ. მიხედვით (იხ. ცხრ. 1).

**სასურსათო უზრუნველყოფის დონის შეფასების
კოეფიციენტები საქართველოსა და მის
რეგიონულ ჭრილში¹**

ცხრილი 1

	1990 წ.				1995 წ.				2000 წ.			
	ა	ბ	გ	დ	ა	ბ	გ	დ	ა	ბ	გ	დ
სულ საქართველო მათ შორის:	0,99	0,33	0,40	0,46	0,90	0,26	0,30	0,35	0,95	0,33	0,36	0,44
აჭარის არ.	0,98	0,28	0,41	0,34	0,95	0,28	0,38	0,30	0,97	0,28	0,39	0,39
აფხაზეთის არ.	1,82	0,38	0,42	0,37	—	—	—	—	—	—	—	—
სამხაბლო	0,90	0,25	0,37	0,35	—	—	—	—	—	—	—	—
იმერეთის მხარე	1,0	0,32	0,39	0,40	0,92	0,30	0,39	0,35	0,95	0,31	0,39	0,45
სამეგრელო და ზემო სვანეთი	0,99	0,35	0,40	0,41	0,90	0,27	0,28	0,37	0,92	0,30	0,29	0,40
გურია	1,0	0,39	0,46	0,55	0,82	0,22	0,25	0,25	0,83	0,24	0,26	0,30
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	0,97	0,32	0,35 ¹	0,34	0,90	0,26	0,30	0,30	0,91	0,30	0,33	0,40
შიდა ქართლი	0,98	0,34	0,37	0,42	0,91	0,28	0,31	0,38	0,95	0,33	0,36	0,45
მცხეთა-მთიანეთი	0,97	0,33	0,35	0,40	0,90	0,29	0,29	0,36	0,96	0,31	0,35	0,40
კახეთი	0,95	0,31	0,40	0,42	0,85	0,23	0,27	0,32	0,93	0,29	0,30	0,38
ქვემო ქართლი	0,99	0,39	0,42	0,47	0,98	0,38	0,40	0,42	0,99	0,40	0,42	0,48
სამცხე-ჯავახეთი	0,98	0,33	0,39	0,48	0,95	0,30	0,35	0,45	0,96	0,34	0,40	0,48

1. ცხრილი ჩვენს მიერ არის შედგენილი და გამოყენებულია (კოეფიციენტების გაანგარიშებისას) არსებული მეთოდით, ხოლო ციფრობრივი მასალები აღებულია შესაბამისი მხარეებისა და რაიონების, აგრეთვე ქვეყნის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან.

შენიშვნა: 1. ნატურალური მაჩვენებლის საკმარისობის კოეფიციენტი აღნიშნულია (ა); 2. სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი ღირებულებით გამოხატულებაში (ბ); 3. ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი (გ); 4. სურსათის თვითურუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი (დ); ასოებით, აღფავიტის თანმიმდევრობის მიხედვით.

ამ პერიოდში სურსათის უზრუნველყოფის დონე ყველაზე მეტად დაეცა გურიის, სამეგრელოს, კახეთის რეგიონებში, შედარებით მცირედ იმერეთსა და რაჭა-ლეჩხუმში. ქვემო ქართლის რეგიონში სხვა რეგიონებთან შედარებით დაცემის დონე მცირეა, ხოლო ხელმისაწვდომობამ და სასურსათო თვითუზრუნველყოფამ კიდევაც გადააჭარბა 90 წლის დონეს. ამ რეგიონში საკმარისობის კოეფიციენტი ნატურალურ გამოსახულებაში 2000 წელს 0,99-ის ტოლია. აღნიშნული მიუთითებს, რომ მოსახლეობის კვების რაციონის ფაქტიური ენერგეტიკული ფასეულობა 1 პროცენტით ნაკლებია მოხმარების რაციონალური ნორმებით გათვალისწინებულზე. ხოლო სურსათის საკმარისობის კოეფიციენტი 2000 წელს, ღირებულებით გამოხატულებაში - 0,40-ის. აღნიშნული სიდიდე ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ დღეისათვის ამ რეგიონის მოსახლეობა მართალია ვერ ახერხებს საკმარისი რაოდენობით მიიღოს ყველა აუცილებელი კვების პროდუქტი და მასში შემავალი ორგანიზმისათვის საჭირო საკვები ნივთიერებები, მაგრამ იგი სხვა რეგიონებთან შედარებით ყველაზე უკეთ კმაყოფილდება. ყველაზე მცირედ კი გურიის მხარე [1].

2000 წლის მონაცემებით ხელმისაწვდომობის კოეფიციენტი ყველაზე უკეთესია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში შემავალ რაიონების მოსახლეობაში, ყველაზე მცირე კი გურიაში. სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის ზოგადი კოეფიციენტი ყველაზე კარგია ქვემო ქართლის, განსაკუთრებით კი მარნეულის რაიონის მოსახლეობაში. რეგიონების, რაიონების, აგრეთვე მთლიანად ქვეყნის მიხედვით ამ კოეფიციენტებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი მოსახლეობა ჯერ კიდევ შორსაა საკუთარი წარმოების სასურსათო პროდუქტებით სრული უზრუნველყოფისაგან. ამასთან ერთად აჩვენა თუ როგორია რეგიონებს შორის სასურსათო უზრუნველყოფის დიფერენციაცია, დაცემის დონე და პროდუქტებით თვითუზრუნველყოფა 1990-2000 წწ. ე.ი. რეფორმირების პერიოდში და აყენებს მისი სრულყოფისათვის (ამაღლებისათვის) დონისძიებათა შემუშავების აუცილებლობას.

ჩვენს მიერ ასევე ჩატარებულ იქნა ძირითად სასურსათო პროდუქტებზე საბალანსო გაანგარიშებანი 1988-2000 წლების მიხედვით [2]. რამაც იგივე შედეგები მოგვცა და ანალოგიური დასკვნები გავვაკეთებინა. ამ გაანგარიშებით ნათელი გახდა სასურსათო რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებანი საქართველოში და მისი ცალკეული სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზონების მიხედვით. კერძოდ, საქსპორტო პროდუქტების (ჩაი, ციტრუსი, ყურძენი, ღვინო, ეთერზეთების პროდუქცია) მწარმოებელი ზონები უფრო მეტად არიან დახარალებული სასურსათო პროდუქტებით თვითუზრუნველყოფის საქმეში (რასაც განაპირობებს სპეციალიზებული დარგების წარმოების დაცემა და სამაგიერო ახალი მაკომპენსირებელი დარგების ჩაუნაცვლებობა მხარის ეკონომიკაში). მართალია, ამავე რეგიონებში მოსახლეობის მიერ მოხდა სპეციალიზებული დარგების (მევენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, ეთერზეთოვნების და სხვა) შეცვლა (ჩანაცვლება) სასურსათო პროდუქტების მწარმოებელი დარგებით (მარცვლეული კულტურების, მხესუმზირის, ბოსტნეულის, კარტოფილის), მაგრამ მან ვერ მიიღო ისეთი გაქანება, რომ კომპენსაცია მოეხდინა და აღრინდელი მაღალეფექტიანი დარგები შეეცვალა და ამით სასურსათო დეფიციტი დაეფარა. ეს პროცესი თვითდინებაზე მიშვებული და საჭიროა მისი რეგულირება. აღნიშნულის გათვალისწინებით ჩვენს მიერ შედგენილი იქნა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და მოხმარების ბალანსები ყველა სასურსათო პროდუქტზე. სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მოხმარების პერსპექტიულმა ბალანსებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს მოსახლეობის მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილდება საკუთარი წარმოების ისეთი პროდუქტებით, როგორცაა კარტოფილი, ბოსტნეული, ბაღჩეული, ხილი და ციტრუსები, კვერცხი, თევზი, რაც შეეხება ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ისეთი პროდუქტებით, როგორცაა პური და პურპროდუქტები, ხორცი და ხორცის პროდუქტები, რძე და რძის პროდუქტები, ეს კვლავ იმპორტით შევსების ხარჯზე მოხდება, მაგრამ აქაც აქვს თვისობრივ ცვლი-

ლებებს ადგილი იმ მხრივ, რომ იზრდება ამ პროდუქტებით (საკუთარი წარმოების პროდუქტებით) მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფა. მაგალითად, პურისა და პურპროდუქტებით უზრუნველყოფა იზრდება (მინიმუმიდან – მაქსიმუმამდე) – 36-დან 90%-მდე, ხორცის პროდუქტების 30-დან – 90%-მდე, რძისა და რძის პროდუქტებისა კი 40-90%-მდე.

გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის ადგილობრივი რესურსებით სასურსათო უზრუნველყოფის დონის ამაღლების ამოცანიდან გამომდინარე, პრიორიტეტული უნდა იყოს მარცვლეულის, კარტოფილის, მცენარეული ზეთის, ხილ-ბოსტნეულის და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, ხოლო შედარებით გრძელვადიან პერსპექტივაში კვლავაც ტრადიციულ საქსპორტო დარგებსა და ახალ პროდუქტებს მიეცეს უპირატესობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოვახდინეთ მიწების ტრანსფორმაცია და სასოფლო-სამეურნეო კულტურების გადაადგილება – განლაგება ქვეყნის მხარეების, რაიონებისა და ზონების მიხედვით.

მიწების ტრანსფორმაციით დადგინდა, რომ დამუშავებაში მყოფი მიწები 2010-2015 წლებისათვის შეიძლება გაიზარდოს 232-260 ათასი ჰექტრით. ხოლო ნათესი ფართობი 110-120 ათასი ჰექტრით, ნათესი ფართობის სტრუქტურაში შეიძლება მოხდეს შემდეგი სტრუქტურული ცვლილება: მარცვლეულის ნათესები გაიზარდოს 60-80 ათასი ჰექტრით, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა – 6-10 ათასი ჰექტრით, კარტოფილის 10-20 ათასი ჰექტრით, მზესუმზირის – 20-30 ათასი ჰექტრით, შაქრის ჭარხლის 3-5 ათასი ჰექტრით, ხოლო საკვები კულტურების 10-15 ათასი ჰექტრით. სახნავი მიწების ასეთი სტრუქტურული ტრანსფორმაცია საშუალებას იძლევა ქვეყანაში წარმოებული იქნეს „მარცვლისა“ და „სოიას“ სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მოცულობები. ეს კი ნიშნავს, რომ ერთ სულზე მარცვლეულის წარმოების მიხედვით სასურსათო უშიშროება ძირითადად მიღწეული იქნება (საკმარისობის მიხედვით). საჭიროა მხოლოდ, რომ ქვეყანაში ამაღლდეს დასაქმების და შემოსავლების დონე.

რათა სურსათი საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდეს.

ქართველ აგრარიკოს მეცნიერთა და უცხოელ ექსპერტთა ვარაუდით მეჩაიეობასა და მევენახეობაში შექმნილი მდგომარეობის გამოსასწორებლად 3-4, მებაღეობაში – 6-7, ხოლო მეციტრუსეობაში – 5-6 წელი იქნება საჭირო [3].

აუცილებელია გაგრძელდეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიერ მეჩაიეობის გადარჩენისა და რეაბილიტაციისათვის თანხების გამოყოფის არსებული პრაქტიკა, რასაც მომავალში მრავალწლიანი ნარგავების სხვა დარგებშიც უნდა მიეცეს მზარდი გამოყენება. ასევე, მნიშვნელოვანი ღონისძიებებია გასატარებელი მეცხოველეობაში, რადგან საქართველოში მეცხოველეობის აღდგენის, მისი ეფექტიანობის ამაღლების და დინამიკური განვითარების პრობლემის გადაჭრა ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. სოფლის მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის ყოველმხრივ განვითარება ორგანულად უკავშირდება მოსახლეობის მატერიალურ კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ამაღლების უზრუნველყოფას, და უწინარეს ყოვლისა, ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მაღალკალორიული შეუცვლელი პროდუქტების ხარჯზე კვების ულუფის სტრუქტურის სწორად დაბალანსებას. ამ თვალსაზრისით, მეცხოველეობის პოტენციალური განვითარების მაჩვენებლები ემყარება დარგში არსებულ ეკონომიკური ზრდის ინტენსიურ და ექსტენსიურ შესაძლებლობებს. პირველ რიგში საკვები ბაზის შექმნისა და სანაშენო საქმის ახლებურ ორგანიზაციას.

აღნიშნულის გათვალისწინებით 2005 წლისათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობამ შეიძლება მიაღწიოს 1496 ათას სულს, მათ შორის ფურის 906,7 ათას სულს, ღორის (ყველა ასაკის) 862,2 ათას სულს, ცხვრისა და თხის სულადობა 946 ათას სულს.

მეცხოველეობის პროდუქციის მწარმოებელი დღეს და პერსპექტივაში (2010 წელს) ძირითადად იქნებიან ოჯახური მეურნეობები, თუმცა შემდგომში, თანდათანობით, საჭირო გახდება მათი მსხვილ კონცენტრირებულ ფერმებში ორგანიზაცია.

ეს პროცესი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ხრდასთან ერთად კიდევ უფრო უნდა დაჩქარდეს.

2010 წლისათვის ყველა სახის ხორცის (დაკლული წონით) წარმოება შეიძლება განისაზღვროს 250 ათასი ტონით, ანუ 48,3%-ით მეტი 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით. შესაბამისად, რძის – 270 ათასი ტონა და 41,2%-ით, კვერცხის – 1.250 მლნ. ცალი და 87,5%-ით.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ამ დონის მიღწევისათვის, საკვები ბაზის გაფართოების მიზნით, პირველ რიგში, სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს ნათესი ფართობის სტრუქტურაში. მეცხოველეობის დარგი ძირითადად დაკმაყოფილდება ადგილობრივი წარმოების უხეში და წენიანი საკვებით, ხოლო კონცენტრირებული საკვები ძირითადად შემოტანილი (იმპორტული) იქნება. საკვებ-ულუფაში საკვებ-ერთეულებმა უნდა შეადგინოს ერთ პირობით მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე (საშუალოდ წლიურად) – სულ მცირე – 30-32 ცენტნერი საკვები-ერთეული, ხოლო მონელებადი ცილა (დღე-ღამეში) საშუალოდ – 100-110 გრამი.

საქართველოს ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, სახნავი ფართობების სიმცირე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში ბუნებრივი სათიბ-საძოვრების მაღალი ხვედრითი წონა, ზამთრისა და ზაფხულის საძოვრების არასასურველი თანაფარდობა (დისპროპორცია) აპირობებს პირუტყვის სახეობათა მიხედვით ასევე რაციონალურ სტრუქტურულ თანაფარდობას.

რაოდენობრივი ცვლილებების გამო მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხვედრითი წონა 2005-2010 წლებში 70,6-81,2 პროცენტამდე გაიზრდება. მათ შორის ფურების შესაბამისად 50,8-დან – 64,8 პროცენტამდე. ხოლო ღორის, ცხვრისა და თხის რაოდენობა შესაბამისად 15-დან – 9,8-მდე, 11,7-დან – 6,9 პროცენტამდე შემცირდება. სტრუქტურაში გაიზრდება მეფრინველეობისა და მეცხოველეობის ხვედრითი წონა.

ცხვარი და თხა ადრემწიფადია, მათი შენახვა არ მოითხოვს ძვირადღირებულ შენობა-ნაგებობებს, სხვა სახის პირუტყვთან შედარებით უკეთესად იყენებს მწირ, გვალვიან ზამთარ-

სა და მაღალი მთის ზაფხულის საძოვრებს. ამასთან, მეცხვარეობაში დიდი და პარსვა მინდვრის სამუშაოთა მოძალეზამდე მიმდინარეობს, რაც წლის ყველა სეზონში მუშახელის თანაბარი გამოყენების კარგ საშუალებას იძლევა, მაგრამ ასეთი ხელსაყრელი პირობების გამოყენებას ამ პერიოდში გარკვეულად აფერხებს ზამთრის საძოვრების უქონლობა და სათიბ-საძოვრული მეურნეობის მოუგვარებლობა. დღეისათვის არ გავგანხიი ქვეყანაში სათიბ-საძოვრების გამოყენების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ბაზა (კანონმდებლობა), არ მომხდარა ამ საძოვრების განაწილება და სარაიონთაშორისო გადანაწილება, რაც სერიოზული დამაბრკოლებელი მიზეზია მეცხვარეობის განვითარებისათვის.

მეცხვარეობის დარგის განვითარების სერიოზულ დაბრკოლებად იქცა აგრეთვე, მატყლის დამზადების სრული პარალიზება. ფაქტია, რომ უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში არ წარმოებს მატყლისა და ტყავის შესყიდვა, ამიტომაც ეს დარგი მწარმოებლისათვის არაეფექტიანი გახდა ბაზრის უქონლობის გამო. ეს ტენდენციები მეტად საგრძნობია – ყაზბეგის, დუშეთის, თიანეთის, ახალგორის, ჯავის, ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ყვარლის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს და საგარეჯოს რაიონებისათვის, რომელთა ეკონომიკაშიც მეცხვარეობა, ტრადიციულად დიდ როლს ასრულებდა. ვფიქრობთ, ეს კარგი ტრადიცია მომავალში კვლავაც უნდა აღდგეს.

გრძელვადიან პერსპექტივაში ცხერისა და თხის ხვედრითი წილი თანდათანობით უნდა ამადლდეს ამ რაიონების მეცხოველეობის საერთო სტრუქტურაში.

ჩვენი პროგნოზით, 2010 წლისათვის, დაძლეული იქნება მეფრინველეობის განვითარებაში უკანასკნელ წლებში შექმნილი მძიმე მდგომარეობა. (როგორც ცნობილია, რაიონების უმრავლესობამ ხელი აიღო საზოგადოებრივ მეურნეობებში ფრინველის ინდუსტრიული წესით მოშენების ორგანიზაციაზე. 69 რაიონიდან 61 რაიონში ფრინველი საზოგადოებრივ მეურნეობებს სრულიად არ ჰყავთ მაშინ, როდესაც 1990 წელს 100 ათასიდან მილიონამდე სულადობის ჯგუფში შედიოდა – 25 რაიონი

ნი). პერსპექტივაში მეფრინველეობის კონცენტრაციის დონის ამაღლება მიზანშეწონილია სააქციონერო საწყისებზე გადაყვანილ მსხვილ სპეციალიზებულ მეფრინველეობის ფაბრიკებსა და სახდვარგარეთის ქვეყნებთან ერთობლივად შექმნილ საწარმოებში.

ლიტერატურა:

1. სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა. ტენდენციები ციფრებში. სტატისტიკური ბიულეტენი №7, თბილისი, 2002.
2. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2000 წელი. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2001.
3. ვაშაკიძე ო. – აგრარული რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები და სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითადი მიმართულებები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტ. 1, თბილისი, 2000, „სიახლე“, 322 გვ.

REGIONAL TRENDS OF FOOD INDUSTRY IN GEORGIA

Paata Koguashvili, Hamlet Giorgadze
Georgian State Agrarian University
Alley of David Agmashenebeli, 13th km.
380031, Tbilisi, Georgia

Summary. For solving the food problems arising in the country, prevailing indications in providing food production of the entire region are being evaluated, on the basis of which forecasting parameters for providing the population with different kinds of national food production are stated here.

РЕГИОНАЛЬНЫЕ ОРИЕНТИРЫ ПРОИЗВОДСТВА ПРОДОВОЛЬСТВИЯ В ГРУЗИИ

Паата Когуашвили, Гамлет Гиоргадзе

*Грузинский государственный аграрный университет
Тбилиси, 380031, Аллея Давида Агмашенебели, 13-й км.*

Резюме. С целью решения продовольственной проблемы дана оценка существующих показателей обеспечения продовольствием в региональном плане и на ее основании установлены прогнозные параметры обеспечения населения отдельными видами продовольствия отечественного производства.

“ჩრდილოვანი ეკონომიკის სინდრომი”: დაბალი საგადასახადო ტვირთი - ეკონომიკური ზრდის დაბალი დონე

ვეფხია ჩოჩელი
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის
პაატა გუგუშვილის სახელობის
ეკონომიკის ინსტიტუტი,
380007, თბილისი, ქიქოძის ქ. № 14
შემოვიდა 2002 წლის 3 დეკემბერს

რეზიუმე. სტატიაში გაანალიზებულია ჩრდილოვანი ეკონომიკის ბუნება. დახასიათებულია მისი ზრდის გამომწვევი ფაქტორები (უსაფრთხოება, კორუფცია, საგადასახადო ტვირთი, რეგულირება, მწარმოებლურობა) არაოფიციალურ ეკონომიკის ზრდაზე მათი გავლენის შესაბამისად.

სტატიაში შემოდებულია ე. წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის სინდრომის“ ცნება, რომელიც გულისხმობს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის აბსოლიტური შემცირების პირობებში მის შეფარდებით ზრდას ცალკეული ჯგუფების, დარგებისა და რეგიონებისათვის, რაც ეკონომიკურ აგენტებს არათანაბარ პირობებში აყენებს და ეკონომიკური რესურსების არაეფექტიან გამოყენებას იწვევს. შედეგად, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში გადასახადების დაბალი ხვედრითი წილი და ეკონომიკური დაცუმა გვევლინება. შედეგად იზრდება “საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსების” გამოყენების არეალი.

* * *

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში საქართველომ მაკროეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პროცესში პრიორიტეტული მნიშვნელობა ღიბერალური საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბებას მიანიჭა.

აღნიშნული მიდგომა ეკონომიკური რეფორმის პირველივე წლებში საფუძვლიანად იქნა გამოკვლეული ვ. პაპავას მიერ, რომელიც საქართველოში ეკონომიკური აქტივობის ამოღების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად კრიმინოგენური ვითარების გაუმჯობესების პირობებში, გადასახადების შემცირებას განიხილავს (1). კერძოდ, საგადასახადო ტვირთის შემსუბუქების მიზნით გადასახადების განაკვეთების შემცირება მარტო მიწოდების სტიმულირებით არ შემოიფარგლება, რადგან ამით იმავედროულად მოთხოვნის სტიმულირებასაც შეეწყობა ხელი (ლაფერ-კეინზიანური სინთეზი) [2].

მიწოდების თეორიის ეს პოზიციები მეტ-ნაკლები წარმატებით გამოყენებულ იქნა განვითარებული ქვეყნების პრაქტიკაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც წესი, ამ ქვეყნებში ლაფერის მრუდის¹ საფუძველზე დამყარებული მიდგომა გამოიყენებოდა, უმთავრესად, საშემოსავლო გადასახადების განაკვეთების შემცირების მიზნით. დღევანდელ საქართველოში უფრო მნიშვნელოვანია იმ გადასახადების განაკვეთების შემცირება, რომელიც უშუალოდ ეხება კორპორაციულ საქმიანობას. მიწოდების თეორიის თანახმად, წარმოების სტიმულირების მიზნით, გადასახადების საერთო ოდენობა საწარმოს მთლიანი შემოსავლის ერთ მესამედს არ უნდა აღემატებოდეს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლები აღწევს მაქსიმალურ ოდენობას [1].

დღეს მეცნიერებისათვის ნაკლებ საკამათოა ის ფაქტი, რომ გრძელვადიან პერიოდში გადასახადების განაკვეთების შემცირება გარკვეულ პირობებში საგადასახადო შემოსავლების ზრდას გამოიწვევს. თუმცა აზრთა სხვადასხვაობაა, როგორი იქნება მოცემულ ქვეყნისათვის კონკრეტულ პირობებში გადასახადების შემცირების ეფექტი და რა დრო დასჭირდება გადასახადების განაკვეთების შემცირების გამო საბიუჯეტო შემოსავლებში „გარღვევის“ კომპენსაციას.

¹ 1974 წელს ამერიკელი ეკონომისტის ა. ლაფერის მიერ აღმოჩენილი იქნა ეფექტი, რომელიც საგადასახადო განაკვეთსა და საგადასახადო შემოსავლებს შორის დამოკიდებულებას აფიქსირებდა.

აღსანიშნავია ისიც, რომ ლაფერის მრუდი თავიდანვე მაკროეკონომიკურ ჭრილში იქნა ჩამოყალიბებული, რის გამოც ის გადასახადების არა ცალკეული სახეობათა, არამედ ე.წ. გასაშუალებული ერთობლივი გადასახადის მიმართ შეიძლება იქნეს გამოყენებული [3]. ამასთან, ძალიან ხშირად გასაშუალებული ერთობლივი გადასახადის ნაცვლად უპირატესობა საგადასახადო ტვირთის ცნებას ენიჭება, რომელიც წარმოადგენს მოლიანი საგადასახადო შემოსავლების თანაფარდობას მთლიან შიდა პროდუქტთან. თუმცა, ზოგიერთ გამოკვლევაში ზემოაღნიშნული იგივეობის (გასაშუალებული ერთობლივი გადასახადი = საგადასახადო ტვირთი) ჭეშმარიტება ეჭვქვეშ დგება [3].

საკმაოდ საინტერესოა ცნობილი მკვლევარის ე. ბალაცკის საგადასახადო ტვირთის განმარტება [5]. იგი განასხვავებს ზღვრულ, ნომინალურ და ფაქტობრივ საგადასახადო ტვირთს. კერძოდ:

ზღვრული საგადასახადო ტვირთი საწარმოს მიერ ბიუჯეტში გადახდილი გადასახადების ის სიდიდეა, რომლის გადახდის შემდეგაც საწარმოს განკარგულებაში გამარტივებული კვლავწარმოებისათვის საკმარისი მოგება რჩება.

ნომინალური საგადასახადო ტვირთი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საწარმოების მიერ გადასახადელი გადასახადების მოცულობაა, ხოლო საწარმოთა მიერ ფაქტობრივად გადახდილი გადასახადების სიდიდე ფაქტობრივ საგადასახადო ტვირთს წარმოადგენს.

მიზანშეწონილია ნომინალური საგადასახადო ტვირთის ნაცვლად პოტენციური საგადასახადო ტვირთის ცნება გამოვიყენოთ, რადგანაც ეს უკანასკნელი უკეთესად ასახავს ე.წ. ნომინალური საგადასახადო ტვირთის არსს: კერძოდ, გადასახადების არსებული განაკვეთების პირობებში ეროვნული ეკონომიკიდან შესაძლო, პოტენციურად მისაღებ შემოსავალის მოცულობას.

საგადასახადო ტვირთის სახესხვაობების შედარებითი ანალიზით შესაძლებელია ფისკალური პოლიტიკის ეფექტიანო-



ბა შეფასდეს. კერძოდ, თუ ზღვრული საგადასახადო ტვირთი ნომინალურ საგადასახადო ტვირთს აღემატება, ფისკალური კლიმატი ქვეყანაში სახარბიელოა. წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანაში ფისკალური “წნეხი” გადაჭარბებულია, რაც ქვეყანის ნორმალური კვლავწარმოების შესაძლებლობის არარსებობაზე მეტყველებს. რაც შეეხება ნომინალურ და ფაქტობრივ საგადასახადო ტვირთებს შორის განსხვავებას, იგი გადასახადებისაგან თავის არიდების მასშტაბებს გვიჩვენებს.

ნათელია, რომ სწორედ ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი გადასახადების იმ მოცულობას ახასიათებს, რომელიც რეალურად განაპირობებს საწარმოთა კვლავწარმოებით შესაძლებლობებს და უშუალო ზეგავლენას ახდენს მათ საინვესტიციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. განსაკუთრებით, ეს პოსტკომუნისტურ ქვეყნებს ეხება, რომლებიც საკრედიტო რესურსების მაღალი ფასის გამო იძულებულნი არიან დაფინანსების საკუთარ წყაროებს დაეყრდნონ.

2000 წლისათვის საქართველოში ფაქტობრივმა საგადასახადო ტვირთმა 1991 წლის შემდეგ ყველაზე მაქსიმალური სიდიდე – 9.98 პროცენტი შეადგინა [6]. მიუხედავად საქართველოში ფაქტობრივი „საგადასახადო ტვირთის“ ასეთი დაბალი დონისა, 2000 წლისათვის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 1.86 პროცენტისა იზრდა დაფიქსირდა [6]. ამასთან, 2000 წლისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ 1989 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის 14.4 პროცენტს ვერ გადააჭარბა [6].

მსგავსი ტენდენციები ელინდება 227 ქვეყნისათვის ჩატარებული კვლევის დროსაც. კერძოდ, 1991-2000 წლების ანალიზი მსოფლიო ბანკის მონაცემებზე [6] დაყრდნობით, გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ზრდის მაქსიმალური ტემპი (წლიური 2.12 პროცენტი) მიიღწევა, როცა საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 35-45 პროცენტს შორის მერყეობს. თუ საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი მთლიან პროდუქტთან მიმართებაში 8 პროცენტზე ნაკლებია, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი უარყოფითია.

და წლიურად - 0.3 პროცენტის დონეზე ფიქსირდება. იმ ქვეყნებისათვის კი, რომელთა საგადასახადო შემოსავლები შიდა პროდუქტის 40 პროცენტზე მეტს შეადგენს, აღნიშნული ზრდის ტემპი კლებულობს და დაახლოებით 2 პროცენტის დონეზე ფიქსირდება.

ზემოაღნიშნული შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნის გაკეთება: ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის ზომა პირდაპირპროპორციულ კავშირშია ეკონომიკურ ზრდასთან. თუმცა, თუ ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი მაქსიმალურია, ეკონომიკური ზრდის ტემპი მცირდება, წინააღმდეგ მინიმალური ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის არსებობის შემთხვევისა, როცა ეკონომიკური ზრდა ეკონომიკური დაცემით იცვლება. პირველადი შეფასებით აღნიშნული შედეგი მთლიანად აბათილებს მტკიცებას, რომ ეკონომიკა უკეთესად ფუნქციონირებს, როცა სახელმწიფოს ჩარევა მინიმალურია („უჩინარი ხელის“ პრინციპი).

თუ აღნიშნულ საკითხს კიდევ უფრო ჩავუღრმავებთ, აღმოვაჩინებთ ამ ერთი შეხედვით პარადოქსული სიტუაციის ახსნას, რომელიც ჩრდილოვან ეკონომიკას უკავშირდება.

თავდაპირველად რას წარმოადგენს ჩრდილოვანი ეკონომიკა და როგორ იზომება იგი?

ჩრდილოვანი ეკონომიკის ზუსტი განმარტება საკმაოდ რთულია, რადგან იგი საგადასახადო სისტემაში და სახელმწიფო რეგულირების წესებში ცვლილებების გათვალისწინებით განუწყვეტელი განვითარების პროცესშია.

ჩრდილოვან ეკონომიკას იატაკქვეშა, არაფორმალურ, პარალელურ ეკონომიკასაც უწოდებენ. იგი არა მარტო არალეგალურ საქმიანობას (მოპარული საქონლით ვაჭრობა, კონტრაბანდა, თაღლითობა და ა. შ.) მოიცავს, არამედ საქონლისა და მომსახურების ლეგალური წარმოებიდან მიღებულ არადეკლარირებულ შემოსავალსაც.

ჩრდილოვან ეკონომიკას სხვანაირად დაუკვირვებად ეკონომიკადაც მოიხსენიებენ. იგი განისაზღვრება როგორც ეროვნული ანგარიშების სისტემის მიხედვით ეკონომიკური წარმოე-

საქართველოს
პარლამენტის
ეკონომიკური
კომისია


ბის საზღვრებში განხორციელებული ფარული, არაკანონიერი, არაფორმალური, აგრეთვე ნებისმიერი სხვა ისეთი საწარმოო საქმიანობა, რომელიც არ არის მონაცემთა შეგროვების რეგულარული სტატისტიკური გამოკვლევებით მოცული [19].

მართალია, ოფიციალური სტატისტიკა დაუკვირვებლად ეკონომიკაზე დაკვირვებას არ აწარმოებს, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მისი გაზომვა არ ხდება. პირიქით, უკანასკნელ წლებში შემუშავდა მთელი რიგი მეთოდები [7, 8, 19] არაფორმალური, არალეგალური საქმიანობის გასაზომად და მისი მთლიან შიდა პროდუქტში გასათვალისწინებლად. რაც შეეხება, არალეგალური ეკონომიკის მოცულობის შესახებ მიღებულ სხვადასხვა მაჩვენებლებს, იგი სხვადასხვა წყაროებზე დაყრდნობით გაანგარიშებების სხვადასხვა მეთოდიკითაა გამოწვეული [9].

სტატისტიკურად დაუკვირვებელი ეკონომიკა მნიშვნელოვნად განსხვავდება საგადასახადო კუთხით დაუკვირვებელი ეკონომიკისაგან, რადგანაც ეს უკანასკნელი, ზოგადად თუ ვიტყვით, მხოლოდ ფარულ და არაკანონიერ საქმიანობას მოიცავს.

რაც შეეხება არაფორმალურ სექტორში ჩამოყალიბებული საწარმო ერთეულის საქმიანობის შემთხვევებს (მაგ. საკუთარ მამულში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, სოკოს, გარეული ხილ-კენკრის შეგროვება, თევზაობა, საკუთარი მოხმარებისათვის ქსოვა, კერვა და ა. შ.) რაიმე აუცილებლობა არაა, შეგნებულად აარიდონ თავი გადასახადების ან სოციალური უზრუნველყოფის შენატანების გადახდას [19]. აქედან გამომდინარე, არაფორმალური სექტორი საგადასახადო კუთხით დაუკვირვებელი ეკონომიკის შემადგენელ ნაწილად არ განიხილება.

მეცნიერთა ჯგუფის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ, რომელიც ეხება 84 ქვეყანას, ჩრდილოვანი ეკონომიკის შემდეგი დონეები დააფიქსირა.



ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილი მშპ-სთან მიმართებაში 1988-2000 წლებში¹ [7]

ცხრილი 1

ქვეყნების ჯგუფი	მშპ-ს პროცენტი
განვითარებადი	35-44
გარდამავალი	21-30
OECD ¹ ქვეყნები	14-16

1998-1999 წლებისათვის განვითარებად ქვეყნებიდან ნიგერიასა და ეკვატორში ჩრდილოვანი ეკონომიკის მაქსიმალური დონე დაფიქსირდა – მთლიანი შიდა პროდუქტის 77 პროცენტი, ტაილანდში – 70, ბოლივიაში – 67 პროცენტი. იმავე პერიოდისათვის სამხრეთ აფრიკას ჩრდილოვანი ეკონომიკა მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 11 პროცენტის დონეზე ჰქონდა, ჰონგ-კონგსა და სინგაპურს – 14, ხოლო ჩილეს – 19 პროცენტი.

პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის ჩრდილოვანი ეკონომიკის ყველაზე დიდი მასშტაბი ფიქსირდება საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის 64 პროცენტი, ყველაზე მცირე უზბეკეთში – მთლიანი შიდა პროდუქტის 9 პროცენტი. რაც შეეხება პოსტკომუნისტურ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს, ანალოგიური პერიოდისათვის ჩრდილოვანი ეკონომიკის ყველაზე მაღალი დონე ფიქსირდება ბულგარეთში – მთლიანი შიდა პროდუქტის 34 პროცენტი, ყველაზე დაბალი სლოვაკეთში – 9 პროცენტი.

განვითარებული ქვეყნებისათვის საბერძნეთში და იტალიაში დაფიქსირდა ჩრდილოვანი ეკონომიკის მაქსიმალური დონეები, შესაბამისად, მთლიანი შიდა პროდუქტის 30 და 27 პროცენტი.

¹ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია.

ცენტრი. მინიმალური – აშშ-სა და ავსტრიაში - 10 პროცენტი, შვეიცარიაში – 9 პროცენტი.

მთელი რიგი გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის გადახრა ნომინალური საგადასახადო ტვირთისაგან გამოწვეულია არა იმდენად ნომინალური საგადასახადო ტვირთის „სიმძიმით“, რამდენადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის მაშტაბებითა და, აქედან გამომდინარე, სახელისუფლო ძალის „ალტერნატიული ცენტრების“ [10] არსებობით.

მაღალი გადასახადები ერთ-ერთი და არა ძირითადი მასტიმულირებელი მოტივია საწარმოთა „ჩრდილში“ გადასასვლელად.

გადასახადების განაკვეთები და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები 2002 წლისათვის¹ [11]

ცხრილი 2

	ქვეყნები	მოგების გადასახადი	საშემოსავლო გადასახადი	დღგ-ს განაკვეთი	ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მშპ-ს მიმართ ¹
1	სამხ. აფრიკა	35	17-45	14	11
2	დიდი ბრიტანეთი	30	0-40	17.5	13.6
3	ჩეხეთი	31	15-32	22	11
4	ჰოლანდია	29-34.5	36-60	17.5	14
5	ნორვეგია	28	28	23	9
6	გერმანია	25	0-48.5	16	15
7	საფრანგეთი	34.33	10-54	20.6	13
8	კანადა	27-43	31	7	11.7
9	ფინეთი	29	5-37	22	13.3
10	დანია	30	41-60	25	17.8
11	საქართველო	20	12-20	20	64

ცალკეული ემპირიული და თეორიული გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ არალეგალური საქმიანობის შეზღუდვისათვის

¹ ჩრდილოვანი ეკონომიკის მონაცემები აღებულია 1998-1999 წლისათვის.

ინსტიტუციონალური ასპექტები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გადასახადების განაკვეთების შემცირება [13].

კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც საგადასახადო განაკვეთები და გადასახადების ამოღების მაჩვენებელი მაღალია, ამავე დროს ადამიანურ კაპიტალსა და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესში ინვესტიციის განხორციელების მეტი საშუალებაა. ამასთან, შესაძლებელი ხდება, რომ ეკონომიკურ აგენტებს უფრო მაღალ ხარისხიანი საზოგადოებრივი მომსახურება შესთავაზონ, რამაც მათი მხრიდან ლეგალური ეკონომიკის სასარგებლოდ არჩევანის გაკეთება უნდა უზრუნველყოს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ განვითარებადი და პოსტკომუნისტური, განსაკუთრებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის, რომლებსაც დაბალი ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი ახასიათებთ, გადასახადების განაკვეთების შემცირება სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს.

ცალკეული გამოკვლევები გვიჩვენებს რომ, ფულის გათეთრების დროს მისი საფასური გარიგების მთლიანი ღირებულების დაახლოებით 10 პროცენტია. გადასახადების 10-იანი შემცირებით, შესაძლებელი გახდება ლეგალური და ჩრდილოვანი შემოსავლების ამოღების პროცენტის გათანაბრება, თუმცა ამ შემთხვევაში სახელმწიფო შესაძლებელია საერთოდ გადასახადების გარეშე დარჩეს [4].

OECD-ს, პოსტკომუნისტური და განვითარებადი ქვეყნებისათვის ჩატარებულმა ანალიზმა აჩვენა, რომ არალეგალური საქმიანობის ძირითადი განმსაზღვრელი რეგულირებაში თავისუფალი მოქმედების ფართო დიაპაზონი და თვითნებობაა. კერძოდ, როდესაც რეგულირება არასავალდებულოა, ხოლო სამართლებრივი ნორმები გაურკვეველი, სამთავრობო სტრუქტურები ინდივიდუალურ გადაწყვეტილებს ყოველგვარი კონტროლის გარეშე ღებულობენ. შედეგად ვლუბულობთ კორუფციას (სახელმწიფო ძალაუფლების პირადი გამორჩენის მიზნით გამოყენება), რაც ეკონომიკური აგენტების "ჩრდილში" გადასვლას იწვევს.

ამავე მიმართულებით ჩატარებულ სხვა გამოკვლევებში ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის ფაქტორებში რეგულირების სხვა ფორმებზე კეთდება აქცენტი. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნებისათვის უფრო ხშირად ყურადღება სავაჭრო შეზღუდვებზე მახვილდება, ხოლო OECD ქვეყნებისათვის “ჭარბი” რეგულირება და განსაკუთრებით, სამუშაო ბაზრის რეგულირების მაღალი დონე ფიქსირდება.

არაფორმალური ეკონომიკის ცნობილი მკვლევარები შნაიდერი და ენსტე კი სოციალურ დაზღვევის სისტემას ზემოთ ჩამოთვლილ ფაქტორებთან ერთად ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის წყაროდ განიხილავენ [7].

საკმაოდ საინტერესოა მ. ალექსეევისა და ვ. პაილის ჩრდილოვანი ეკონომიკის ფაქტორების (უსაფრთხოება, კორუფცია, საგადასახადო ტვირთი, რეგულირება, მწარმოებლურობა) რეგრესიული ანალიზი, რომელიც 17 პოსტკომუნისტურ ქვეყანას ეხება [14]. ანალიზმა აჩვენა, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია რეგულირების პრობლემა, შემდეგ კორუფცია და მნიშვნელობის მიხედვით რიგით მესამე ფაქტორია უსაფრთხოება. რაც შეეხება საგადასახადო ტვირთს, იგი მნიშვნელობის მიხედვით მე-4 ადგილზეა.

თითქმის მსგავსი შედეგი ფიქსირდება ს. ჯონსონის, დ. კაუფმანისა და ა. შლეიფერის მიერ განხორციელებულ რეგრესიული ანალიზის დროს [15]. კვლევამ აჩვენა, რომ არაოფიციალური ეკონომიკის ზრდაზე გავლენის მიხედვით ფაქტორები შემდეგი რიგითობითაა წარმოდგენილი: კორუფცია, რეგულირება, უსაფრთხოება, მწარმოებლურობა და ბოლოს, საგადასახადო ტვირთი.

დღეისათვის გამოყენებითი ხასიათის ცალკეული გამოკვლევები არსებობს, რომელთა მიხედვითაც არაფორმალური ეკონომიკა უფრო კონკურენტუნარიანია და მისმა ზრდამ შესაძლებელია საერთო ეკონომიკური აღმავლობა გამოიწვიოს. თუმცა, ჩვენს მიერ ჩატარებული ემპირიული ანალიზი საწინააღმდეგოს ამტკიცებს.

კერძოდ, თუ გავაანალიზებთ 1991-2000 წლების [6] პერიოდს დაბალი დონის (არაუმეტეს 20 პროცენტი) ჩრდილოვანი ეკონომიკის ქვეყნების ჯგუფისათვის მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 18.7 პროცენტი შეადგინა. იმ ქვეყნების ჯგუფისათვის კი, სადაც ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი 40 პროცენტზე მეტია, მოსახლეობის ერთ სულზე მთლიანი შიდა პროდუქტის 3.15 პროცენტიანი კლება დაფიქსირდა.

მიზანშეწონილია განვიხილოთ ჩრდილოვანი ეკონომიკის 2 მოდელი:

პირველი, საგადასახადო ადმინისტრირება არაა იმდენად ძლიერი, რომ მან ეკონომიკის ყველა სეგმენტი მოიცვას [16] როგორც საშინაო მეურნეობებისა და მეწარმეთა ცალკეული ჯგუფების, ისე დარგებისა და რეგიონების მიხედვით. ამ შემთხვევაში ადამიანთა ცალკეული ჯგუფები თანაბრად არიდებენ გადასახადების გადახდას თავს, რაც მთლიანობაში გადასახადების ლიბერალიზაციის ანალოგიურ შედეგამდე მიჰყავართ. ე.ი. ჩრდილოვანი ეკონომიკის „სარგებელი“ ყველა ეკონომიკური აგენტისათვის ხელმისაწვდომი ხდება.

მეორე მოდელის თანახმად, ლეგალურ ეკონომიკას ჩრდილოვანი, კრიმინალური ეკონომიკა ცვლის, როდესაც ხელისუფლებასთან დაახლოებულ ადამიანთა გარკვეული ჯგუფი კანონმდებლობის ნაკლოვანებებისა და სახელმწიფო აპარატის ჩინოვნიკების კორუმპირებულობის ხარჯზე დებულობს ზემოგებას. ამ შემთხვევაში ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი თანაბრად არაა განაწილებული - ერთი ჯგუფი გადასახადებს საერთოდ არ იხდის, მეორე გაცილებით მეტს იხდის. განსხვავებები ფიქსირდება არა მარტო რეგიონებისა და დარგების, არამედ ცალკეული საწარმოებისა და მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების მიხედვითაც [17].

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის ზემოაღნიშნული პირველი და მეორე მოდელი წმინდა სახით არ არსებობს, და პრაქტიკაში იგი ძირითადად შერეული - პირველი და მეორე მოდელის ელემენტების სინთეზის სახით

არსებობს. განვითარებულ ქვეყნებში ჩრდილოვანი ეკონომიკის პირველი მოდელის ელემენტები ჭარბობს, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კი - მეორე მოდელის ელემენტები.

კერძოდ, OECD ქვეყნებისათვის ჩრდილოვანი ეკონომიკის ძირითადი მახასიათებელია შრომის ბაზრის გართულებული რეგულირება და მაღალი გადასახადები, განვითარებადი ქვეყნებისათვის - რეგულირების სისუსტე, კორუფცია და პოლიტიკური სისტემისადმი საყოველთაო უნდობლობა. რაც შეეხება გარდამავალ ქვეყნებს, ზემოთ განხილულ ფაქტორებთან ერთად, საყურადღებოა კომუნისტური მემკვიდრეობა, მოკლე პერიოდში მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებები, ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია.

აღსანიშნავია, რომ თუ განვითარებული ქვეყნებისათვის ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი ხვედრითი წილი მხოლოდ გამონაკლისს წარმოადგენს, განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნებისათვის იგი ნორმაა.

განვითარებადი და პოსტკომუნისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით განვითარებულ ქვეყნებში კორუფციის მაშტაბები მცირეა. თუმცა, მათი ძირითადი პრობლემა „ჭარბ რეგულირებაში“ მდგომარეობს.

ცალკეული გამოკვლევები, რომლებიც 84 ქვეყანას ეხება, გვიჩვენებს, რომ ეროვნული ეკონომიკის რეგულირების ინდექსის (მერყეობს 1-დან 5-მდე) 1 პუნქტით ზრდა ჩრდილოვანი ეკონომიკის 10 პროცენტთან ზრდას იწვევს [7].

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, მთლიანი შიდა პროდუქტი შესაძლებელია ორ ნაწილად დავეყოთ: პირველი მთლიანი შიდა პროდუქტის დაკვირვებადი და მეორე, მთლიანი შიდა პროდუქტის დაუკვირვებადი ნაწილი - არაფორმალური (ჩრდილოვანი) წარმოება.

გვექნება:

$$Y = Y_{\text{off}} + Y_{\text{sh}} \quad (1)$$

სადაც: Y_{off} - მთლიანი შიდა პროდუქტის დაკვირვებადი ნაწილია; Y_{sh} - ჩრდილოვან სექტორში წარმოებული მთლიანი შიდა პროდუქტია.

თუ ფაქტობრივ საგადასახადო შემოსავალს ავლნიშნავთ T-ასოთი, მაშინ ფაქტობრივ საგადასახადო ტვირთი იქნება

$$\frac{T}{(Y_{off} + Y_{in})} = \frac{T}{\alpha Y + (1-\alpha)Y} \quad (2)$$

სადაც α - მთლიან შიდა პროდუქტში ოფიციალური ეკონომიკის ხვედრითი წილია, ხოლო $1-\alpha$ - არალეგალური ეკონომიკის ხვედრითი წილი.

თუ დავუშვებთ, რომ $(1-\alpha)Y$ - დან გადასახადების აკრეფა არ ხდება, მაშინ ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი მოდის მხოლოდ αY ნაწილზე, ანუ

$$\frac{T}{\alpha Y} = \frac{T}{Y} \cdot \frac{1}{\alpha} \quad (3)$$

იმის გათვალისწინებით, რომ

$$\frac{T}{Y} = \eta \quad (4)$$

(3)-დან ვღებულობთ:

$$\eta \cdot \frac{1}{\alpha} = \gamma \quad (5)$$

სადაც, γ - დაკვირვებადი ეკონომიკის ფაქტიური საგადასახადო ტვირთია.

მაგალითად, თუ 2000 წელს საქართველოს ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი შეადგენს 9.8 პროცენტს, ხოლო ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრითი წილია 64 პროცენტი, მაშინ დაკვირვებადი ეკონომიკის ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი 15.3 პროცენტს გაუტოლდება.

როგორც ვხედავთ, ფაქტობრივი ტვირთის განსაზღვრაში მთლიანი შიდა პროდუქტის ჩრდილოვანი ნაწილი მხოლოდ ნო-

მინალურად მონაწილეობს, რაც ეკონომიკის ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის შესახებ არასწორ წარმოდგენას გვიქმნის. თუ ჩვენ ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის განსაზღვრის დროს მოვახდენთ მთლიანი შიდა პროდუქტის კორექტირებას აღურიცხავი ეკონომიკის ხვედრითი წილით, მივიღებთ კორექტირებულ ფაქტობრივ საგადასახადო ტვირთს, რომელიც ფაქტობრივ საგადასახადო ტვირთზე მნიშვნელოვნად მაღალი აღმოჩნდება.

საგადასახადო ტვირთის კორექტირება შესაძლებელია „საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსების“ მეშვეობითაც მოხდეს, რომელიც ერთი მხრივ გვიჩვენებს თუ რა დააკლო ან დამატებით რა მიიღო სახელმწიფოს ბიუჯეტმა საგადასახადო სამსახურში კორუფციის, შესაბამისად ზრდის ან შემცირების საფუძველზე, მეორე მხრივ, ფაქტობრივ საგადასახადო ტვირთის შეფარდებით ზრდას (შემცირებას) დარგების, რეგიონების, მეწარმეთა ცალკეული ჯგუფების მიხედვით. ამასთან, იგი გვიჩვენებს, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ჯგუფების გაფლენის ხარისხს.

1999 წელს საქართველოს საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით „საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი“ – 4.3 პროცენტის ფარგლებშია, რაც იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო სამსახურებში ადმინისტრირების გაუმჯობესების და ამ გზით კორუფციის მაშტაბების შემცირების ხარჯზე ყოველ ერთ ლარ პოტენციურ შემოსავალზე დამატებით 4.3 თეთრი მიიღო. განსხვავებული სიტუაცია საბაჟო დეპარტამენტის ხაზით სადაც „საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი“ 25.2 პროცენტის ტოლია (ყოველ ერთ ლარ პოტენციურ შემოსავალზე ბიუჯეტმა დაკარგა 25.2 თეთრი). რეგიონების მიხედვით „საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი“ მერყეობს +11 დან -15 პროცენტამდე, ხოლო დარგებში +24-დან (ენერგეტიკისა და ვაჭრობაში) – -30 პროცენტამდე (ჯანდაცვაში). სოფლის მეურნეობაში „საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსი“ 3 პროცენტს შეადგენს. რაც შეეხება არასაბიუჯეტო ფონდების ხა-

იმ ფონდებში იღებენ მსგავსი ფონდების ხაზით იმპორტი

ზით „საგადასახდლო კორუფციის პაპავას ინდექსს“, მან 12.9 შეადგინა პროცენტი [17].

ნათელია, „პაპავას საგადასახადო კორუფციის ინდექსები“ საქართველოში კორუფციის დიდ მასშტაბებს ასახავს, რაც სახელისუფლო ძალის „ალტერნატიული ცენტრების“ არსებობის მაჩვენებელია, როგორც დარგობრივ, ისე რეგიონალურ ჭრილში, რაც თავის მხრივ ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის სხვადასხვაობას, ცალკეული ჯგუფებისათვის შეფარდებით ზრდას ან შემცირებას იწვევს.

1999 წლისათვის საგადასახადო კანონმდებლობის უცვლელობის პირობებში საბაჟო დეპარტამენტის ხაზით ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი 39.4 პროცენტით შემსუბუქდა, საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით დაფიქსირებულ ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით. რაც იმას ნიშნავს, რომ საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით გადასახადები შეფარდებითად 39.4 პროცენტით გაიზარდა. ვაჭრობასა და ენერგეტიკის სფეროში ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი ჯანდაცვის სფეროსთან შედარებით 77 პროცენტით შემსუბუქდა, ანუ ჯანდაცვის სფეროში გადასახადები ვაჭრობისა და ენერგეტიკის სფეროსთან შედარებით 77 პროცენტით გაიზარდა. რაც შეეხება რეგიონალურ ჭრილში გადასახადების უცვლელობის პირობებში მაქსიმალური შეფარდებითი საგადასახადო ტვირთი 30.6-ით შეიცვალა [17].

ზემოთ დაფიქსირებული კორუფციის სხვადასხვა მაშტაბები განპირობებულია კორუფციის ე. წ. კლანური ბუნებით.

„პრივილეგირებული“ დარგების, რეგიონებისა და მეწარმეთა ცალკეული ჯგუფებისათვის გადასახადებისაგან თავის არიდება, გადასახადების უცვლელობის პირობებში არაპრივილეგირებული დარგების, რეგიონებისა და მეწარმეებისათვის გადასახადების შეფარდებით ზრდას იწვევს, რაც მთლიანობაში კონკურენტულ გარემოს სპობს, არათანაბარ სასტარტო პირობებში აყენებს ეკონომიკურ აგენტებს, იწვევს ეკონომიკურ სიგნალების დამახინჯებას, რაც საბოლოო ჯამში ეკონომიკური ზრდის შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება.

როგორც ვხედავთ, ხდება გადასახადების უმნიშვნელო ნესი პრინციპის - ნეიტრალურობის (ეკონომიკის ცალკეული სექტორები მომგებიანი უნდა იყოს როგორც გადასახადების გადახდამდე, ისე გადასახადის გადახდის შემდეგ) [18] დარღვევა, რაც ეკონომიკური სტიმულებში დისპროპორციას იწვევს.

კერძოდ, „ჩრდილოვანი“ ფირმები მოთხოვნის ოფიციალურიდან არაოფიციალურ ეკონომიკაში გადაადგილებას ახდენენ, რადგანაც ფასწარმოქმნაში გადასახადების გაუთვალისწინებლობის გამო მათ მიერ შეთავაზებული ფასები უფრო ნაკლებია, ვიდრე ლეგალური ეკონომიკის ფასები. ამასთან, აღრიცხვიანობიდან თავის არიდების გამო ჩრდილოვანი ეკონომიკისეთ სფეროებშია (ვაჭრობა, მომსახურება) კონცენტრირებული რომლებიც მოკლევადიან პერიოდისათვის მოგებაზეა ორიენტირებული და ეროვნული ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილებაზე უშუალო ზემოქმედებას ახდენს.

შედგად, ეკონომიკური რესურსები არაეფექტიანად ნაწილდება და ეკონომიკური აქტივობა მცირდება.

როგორც პირველ, ისე მეორე მოდელში კორუფცია ჩრდილოვანი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია. თუ ცივილიზებულ სამყაროში კორუფცია შეზღუდულია, განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში კორუფცია ჩრდილოვანი ეკონომიკის მფარველის როლს თამაშობს.

სწორედ, ჩრდილოვანი ეკონომიკის კორუფციული მექანიზმი ქმნის დაბალი საგადასახადო ტვირთის მეშვეობით ეკონომიკის ლიბერალიზაციის მაღალი ხარისხის ილუზიას, რათავის მხრივ ეკონომიკის დაცემას იწვევს.

ზემოაღნიშნულ მდგომარეობას „ჩრდილოვანი ეკონომიკისინდრომი“ შესაძლებელია ვუწოდოთ, რომელიც შემდეგ მდგომარეობს: კორუფციული ჩრდილოვანი ეკონომიკა მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთის აბსოლიტური შემცირების პირობებში მის შეფარდებით ზრდას ან შემცირებას იწვევს მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფების, დარგების, რეგიონებისათვის, რაც ეკონომიკურ ზრდის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს, რომლის შედეგად

გადაც მთლიან შიდა პროდუქტთან გადასახადების დაბალი ხვედრითი წილი და ეკონომიკურ დაცემა გვექვინება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ე. წ. „ჩრდილოვანი ეკონომიკის სინდრომის“ მოქმედების არეალი განვითარებული ქვეყნებისათვის უფრო შეზღუდულია, ვიდრე განვითარებადი და ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისათვის.

განსხვავებები გამოწვეულია იმით, რომ ცივილიზებული ქვეყნების უმრავლესობამ მიაღწია ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბურ შემცირებას, შეფარდებით დაბალი საგადასახადო და სახელმწიფო რეგულირების ტვირთით, სახელმწიფო სექტორში მაღალი ხელფასებით, მკაცრად განსაზღვრული საკანონმდებლო ნორმებისა და კორუფციის კონტროლის მეშვეობით. წინააღმდეგ განვითარებადი, ლათინური ამერიკისა და პოსტკომუნისტური ქვეყნებისაგან, სადაც დაფიქსირდა ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდი მაშტაბები შეფარდებითი მაღალი საგადასახადო ტვირთით და განუსაზღვრელი რეგულირებით, სუსტი საკანონმდებლო ბაზით, სახელმწიფო სექტორში დაბალი ხელფასებით, მექრთამეობის მაღალი ხარისხით, კორუფციის სუსტი კონტროლით.

ზემოთ ჩატარებული ანალიზი რამდენიმე დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს:

პირველი, ქვეყნის ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი პირობაა ქვეყანაში სახელისუფლო ძალის „ალტერნატიული ცენტრების“ არარსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ფაქტობრივი საგადასახადო ტვირთი, რომელიც მეწარმეებს აწევთ, ძნელი შესაფასებელია და ნებისმიერი საგადასახადო შედავათი აზრს კარგავს.

მეორე, კონკურენტული გარემოს შექმნა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობა ე. წ. კლანური ჩრდილოვანი ეკონომიკის დამარცხებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური ზრდის წინაპირობას წარმოადგენს.

მესამე, გადასახადების ლიბერალური სისტემა სტიმულს აძლევს არამარტო მიწოდების გაფართოებას, არამედ ის აუცილებელ პირობებს ქმნის მოთხოვნის სტიმულირებისათვის, ვი-

ნაიდან დაბეგვრიდან გამოთავისუფლებული თანხები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ინვესტიციებისათვის, რაც პრაქტიკულად ახალი საშუალო ადგილების შექმნასა და, მაშასადამე, სოციალური პრობლემების გადაჭრას უკავშირდება.

მეოთხე, ეკონომიკური აგენტების მხრიდან გადაწყვეტილებების მიღების დროს ლეგალური ეკონომიკის სასარგებლოდ, ზღვრული საგადასახადო განაკვეთების შემცირებას საშუალო საგადასახადო განაკვეთებთან შედარებით, უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

მეხუთე, საშუალოვადიანი პერიოდისათვის კერძო სექტორმა საწარმოო საქმიანობაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულოს. რაც შეეხება მთავრობას, იგი უნდა შემოიფარგლოს ძირითადი მომსახურების, ინფრასტრუქტურის, თავდაცვის, მართლწესრიგის, სოციალურად დაუცველი ფენებისა და გარემოს დაცვის უზრუნველყოფით.

ლიტერატურა:

1. Papava V., The Georgian Economy: From "Shock Therapy" to "Social Promotion". *Communist Economies & Economic Transformation*. 1996, Vol. 8, No. 8.
2. Papava V., The Georgian Economy: Main Directions and Initial Results of Reforms. In: *Systemic Change in Post-Communist Economies*. 1999, Selected Papers from the Fifth World Congress of Central and East European Studies, Warsaw, 1995. Ed. by P.G. Hare. London, Macmillan Press.
3. Папава В., Лафферов эффект с последствием. *Мировая экономика и международные отношения*. 2001, № 7.
4. Вишнеvский В., Липницкий Д., Оценка возможностей снижения налогового бремени в переходной экономике. *Вопросы экономики*, 2000, № 2.
5. Балацкий Е.В., Воспроизводственный цикл и налоговое бремя. *Экономика и математические методы*, 2000, Т. 36, Вып. 1.

6. World Development Indicators 2002 CD-RM. Washington. The World Bank, 2002
7. Scheider F., Enste D., Hiding in the Shadows The Growth of the Underground Economy. IMF Economic issues, 2002, No. 30.
8. Dupagne M., Henin P., Underground Economy and the Transition Process: a Quantative View. www.econometricsociety.org/conference/nasm2002/nasm2002.html. 2002 5th February.
9. Blades D., Roberts D., Measuring the non-observed economy. OECD. Statistics Brief. 2002, № 5.
10. Adelman A., Vujovic D., Institutional and Policy Aspects of Transition: An Empirical Analysis. [www.worldbank.org/eca.nsf/Attachments/AnticorruptionReferences/\\$File/references.pdf](http://www.worldbank.org/eca.nsf/Attachments/AnticorruptionReferences/$File/references.pdf). 1997.
11. Taxes income Tax and Economy worldwide. www.worldwide-tax.com
12. Shnaider F., Encte D., Increasing Shadow Economies all over the World- Fiction or Reality? discussion paper №26, 1998. www.Stockholm-network.org/pubs/Sneider.PDF.
13. Eilat Y., Zinnes C., The Shadow Economy in Transition Countries: Friend or Foe? www/people.fas.harvard.edu/~eilat/shadow.pdf. 2000, dezember 18.
14. Alexeev M., Pyle W., A Note on Measuring the Unoffilial Economy in the Former Soviet Republics. www.columbia.edu/cu/sipa/regional/hi/pyle/-FSU.pdf
15. Jonson S., Kaufmann D., Sleifer A., The Unofficial Economy in Transition. Brookings Papers on Economic activity. №2. www.hse.ru/icef/progs/courses/u/trans-econ.htm.
16. Макконнелл К.Р., Брю С.Л., *Экономикс: Принципы, проблемы и политика*, Т.1. Москва, Республика. 1992.
17. შვეარდნაძე კ., ჩეხელაშვილი რ., ზონელი ვ., ხადური ნ., *საგადასახადო კორუფციის პაპავას ინდექსები*. თბილისი, "იმპერიალი". 2000.
18. Инструменты и вопросы экономической политики., Вашингтон, МВФ. 1995.

19. დაუკვირვებადი ეკონომიკა საქართველოში: ცნებები, გაზომვის მეთოდები, შეფასებები. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, თბილისი, 2001.

“SYNDROME OF SHADOW ECONOMY”: LOW TAX BURDEN – LOW RATE OF ECONOMIC GROWTH

V. Chocheli

*Paata Gugushvili Institute of Economics,
The Georgian Academy of Sciences,
14, Kikodze st., 3800, Tbilisi, Georgia*

Summary. The paper deals with the analysis of the nature of shadow economy and determines factors favoring its development such as: safety, corruption, tax burden, regulation, productivity.

The introduced term “Syndrome of Shadow Economy” means relative growth of actual tax burden for separate groups, branches of economy and regions, in conditions of absolute decrease of actual tax burden in terms to GDP. This creates unequal conditions for economic agents and causes ineffective use of economic resources. As a result a low share of taxes relatively to GDP and economic fall takes place. The author in the work considerably expands the sphere of application of “Papava Indexes of Tax Corruption”.

“СИНДРОМ ТЕНЕВОЙ ЭКОНОМИКИ”: НИЗКОЕ НАЛОГОВОЕ БРЕМЯ – НИЗКИЙ УРОВЕНЬ ЭКОНОМИЧЕСКОГО РОСТА

Вепхия Чочели

*Институт экономики им. Паата
Тбилиси, 380007, ул. Кикодзе 14.*

Резюме: В статье анализируется природа теневой экономики, определяются факторы по мере их влияния на рост неофициальной экономики и способствующие ее развитию, такие как: безопасность, коррупция, налоговое бремя, регулирование, производительность.

В статье вводится понятие “Синдром Теневой Экономики”, что подразумевает относительный рост фактического налогового бремени для отдельных групп, отраслей и регионов в условиях абсолютного снижения фактического налогового бремени по отношению к ВВП. Это ставит экономических агентов в неравные условия и вызывает неэффективное использование экономических ресурсов, в результате чего проявляется низкая доля налогов относительно ВВП и экономический спад. В статье автор расширяет ареал использования “Индексов Налоговой Коррупции Папава”.

მუნიციპალური მომსახურების სფეროს ფინანსური მართვის სტრატეგია და პრინციპები

პაატა ბოლაშვილი

საქართველოს მუნიციპალურ პროგრამათა
განხორციელების საკოორდინაციო ცენტრი
380062, თბილისი, ჭავჭავაძის პრ. 60
Semovida: 2002 wlis 2 seqtembers

რეზიუმე. მუნიციპალური მმართველობის ეფექტიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით შესაძლოა გამოიყოს ხუთი ძირითადი მეთოდი: ფინანსური მართვის სისტემებისა და პროგრამული მიდგომის სრულყოფა; მომსახურების მიწოდების დაბალი ხარჯის მეთოდით განხორციელება; კაპიტალური ინფრასტრუქტურის შენახვის შესაბამისი თანხებით უზრუნველყოფა; კერძო სექტორთან ისეთი კონტრაქტების გაფორმება, რომელიც გამოიწვევს ხარჯების ეკონომიას; ეფექტიანობის გაუმჯობესების სქემების განხორციელება.

საქალაქო მომსახურების მიწოდებაში ცენტრალურ მმართველობას შეუძლია სამი ძირითადი როლის შესრულება: პასუხისმგებლობის მინიჭება (ფუნქციების გამიჯვნა), გრანტების ან სუბსიდიების გამოყოფა და სესხით პირდაპირი უზრუნველყოფა ან სპონსორობა. მუნიციპალურ მმართველობასთან მიმართებაში ცენტრალური ხელისუფლება ასრულებს ისეთ მნიშვნელოვან როლსაც, როგორცაა, მაგალითად, ეროვნული განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა, ადგილობრივი საგადასახადო სტრუქტურის შემუშავება და გადასახადების აკრეფის, წლიური ბიუჯეტის, ფინანსური და აუდიტური პროცედურების მართვის წესების დადგენა, ორგანიზაციული და საშტატო სტრუქტურების მართვა, ტრენინგებისა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა და სხვ.

* * *

პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე რადიკალური გარდაქმნების შემადგენელი ნაწილია მმართველობითი სისტემის რეფორმირების პროცესი. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ტიპის ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დამკვიდრებას. თავისი შინაარსის, ბუნებისა და სპეციფიკის მიხედვით ამ ამოცანის გადაწყვეტა უნდა დაეფუძნოს როგორც მსოფლიოში არსებულ დადებით გამოცდილებას, ისე ადგილობრივ მემკვიდრეობასა და ობიექტურ პირობებს. ამ თვალსაზრისით, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის დამკვიდრების საწყის ეტაპზე განსაკუთრებული როლი ენიჭება ქვეყანაში მიმდინარე გარდაქმნების პროცესში ადგილობრივი მმართველობის არსის რეალურად შეცნობას, მისი როლისა და მნიშვნელობის სწორად განსაზღვრას.

მუნიციპალური მმართველობა, რომელსაც აკისრია ადგილობრივ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგულირების მნიშვნელოვანი ფუნქცია, ამავე დროს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ისეთი სუბიექტია, რომელიც ასრულებს ერთი მხრივ, როგორც ადგილობრივი მმართველობის, ხოლო მეორე მხრივ, როგორც მოცემულ ტერიტორიაზე სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანოს ფუნქციას [1]. ეს თავისებურება ნათლად მიგვანიშნებს მუნიციპალური მენეჯმენტის მნიშვნელოვან როლზე ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და სხვა ხასიათის ამოცანების გადაწყვეტის დროს, მითუმეტეს - გარდამავალ პერიოდში.

მუნიციპალური მენეჯმენტის ზოგადი პრინციპების, ამოცანების, თავისებურებების განხილვა გვიჩვენებს, რომ მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა *მუნიციპალური მომსახურების სფეროს ფინანსური მართვა* [3].

ცნობილია, რომ გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მმართველობის ორგანოები ბოლო ათწლეულის მანძილზე აღმოჩნდნენ მწვავე ფინანსური პრობლემების წინაშე. ამ დროს

განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საქალაქო მომსახურებაზე მოთხოვნამ, მაშინ როდესაც ასეთი მომსახურების გაწევისა და საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარების პოტენციალი მნიშვნელოვნად არის შეზღუდული. ასეთ არაორდინალურ სიტუაციაში მმართველობის ორგანოებს მოეთხოვებათ კონკრეტულ მდგომარეობას მორგებული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელება. ამ თვალსაზრისით სამი ძირითადი მომენტი უნდა გამოიყოს:

პირველი. მუნიციპალიტეტებმა შესაძლოა გამოიხატონ დამატებითი შემოსავლების წყაროები, მაგალითად, მოსაკრებლებისა და გადასახადების (მათ შორის ადგილობრივი გადასახადების) ზრდა, ახალი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და ა.შ;

მეორე. მათ შეუძლიათ გააუმჯობესონ სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობა, გაზარდონ მოგება, სრულყოფილი დაგეგმვა და შესრულების ორგანიზაცია;

მესამე. გაზარდონ საქალაქო მომსახურებაში კერძო სექტორის მონაწილეობა.

დამატებითი შემოსავლების მოზიდვა ადგილობრივი მმართველობის მხრიდან გარკვეული ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მათ ტერიტორიაზე არსებული საფინანსო რესურსების კომპლექსური (დიფერენცირებული) ანალიზი, საქალაქო მომსახურების ორგანიზებაში მონაწილე თითოეული სუბიექტის შესაძლებლობათა ობიექტური შეფასება, მმართველობის ორგანოსა და სუბიექტს შორის ურთიერთკავშირის გაძლიერების ზომების (რა პასუხისმგებლობას იღებს მუნიციპალიტეტი, ვთქვათ, მისი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის გაჯანსაღებისათვის) შემუშავება.

ცნობილია, რომ მუნიციპალურ მმართველობებს აქვთ შემოსავლების სამი ძირითადი წყარო: მათ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისაგან და აქ განლაგებული საწარმოებიდან აკრეფილი საგადასახადო შემოსავლები (საშემოსავლო, ქონების გადასახადი, მოსაკრებელი მომსახურებაზე, ლიცენზი-

ებზე და სხვ.), არასაგადასახადო შემოსავლები (მოგება საკუთარი საწარმოებიდან, შემოსავლები შენობების იჯარიდან და აქტივების გაყიდვიდან და სხვ.) და ის შემოსავლები, რომლებსაც მუნიციპალიტეტი იღებს ზედა დონის ბიუჯეტიდან (ტრანსფერი, სუბსიდია და სხვ.).

ადგილობრივი მმართველობებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ობიექტურად შეფასდეს ის შესაძლებლობები, რომლებიც გაზრდის შემოსავლებს საკუთარი წყაროებიდან. აქ მიზანშეწონილი იქნება ყურადღება გამახვილდეს შემდეგ რეზერვებზე:

- არსებული ადგილობრივი საგადასახადო ბაზის, განსაკუთრებით, ქონების გადასახადის განახლება და კონტროლი;
- ადგილობრივი საგადასახადო სისტემის გაუმჯობესება, აღმინისტრირებისა და აკრეფის ორგანიზაციის სრულყოფა, თანამედროვე კომპიუტერიზებული ანგარიშგების მეთოდების შემოღება-დანერგვა;
- ახალი ადგილობრივი საგადასახადო შემოსავლების წყაროების მოძიება-ამოქმედება;
- მომგებიანი საწარმოების ჩამოყალიბება.

აღნიშნულთან დაკავშირებით ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ ზოგიერთი საკითხი, რომელთა გადაწყვეტა საკმაოდ ეფექტიანი შეიძლება აღმოჩნდეს მუნიციპალიტეტებისათვის.

მომსახურების გადასახადი. მუნიციპალური შემოსავლები შესაძლოა გარკვეულად გაიზარდოს, თუ მუნიციპალიტეტები სათანადო ყურადღებას დაუთმობენ საქალაქო მომსახურებაზე გადასახადების დაწესებას და მათი შეგროვების ორგანიზაციას. ამ დროს მკაფიოდ უნდა იქნეს ჩამოყალიბებული ადგილობრივი მმართველობის მიზნები და გათვალისწინებული იქნეს ორი ზოგადი აღტერნატივა: გადასახადი განისაზღვროს იმ ოდენობით, რომ შესაძლებელი გახდეს მხოლოდ გაწეული ხარჯების დაფარვა, თუ მოხდეს შემოსავლების “მაქსიმიზაცია” მუნიციპალურ ბიუჯეტში. ამავე დროს, მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი მოსახლეობა სრულად იყოს ინფორმირებული მომსახურების, მისი მიწოდების პირობებისა და წყაროების შე-

სახებ. წილობრივი ბიუჯეტი [2], რომელიც ეფექტიანად გამოიყენება პარანას შტატის (ბრაზილია) მუნიციპალიტეტებში აღნიშნულის რეალიზების ერთ-ერთი გზაა (შევნიშნავთ, რომ წილობრივი ბიუჯეტის საკითხი პარანას შტატში ითვალისწინებს მოსახლეობის მიერ ინიცირებული კონკრეტული მომსახურებისათვის სპეციალური ბიუჯეტის ფორმირებას მათივე მონაწილეობით, სადაც მოსახლეობის წილი შეადგენს შესაბამისი პროექტის მოცულობის დაახლოებით 20%-ს. დანარჩენ თანხას გაიღებს მუნიციპალიტეტი თავისი ბიუჯეტიდან, ან სესხულობს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან).

მომგებიანი საწარმოები. ადგილობრივ მმართველობებს შეუძლიათ ჩამოაყალიბონ საკუთარი საწარმოები, რომელთა მიზანია მოგების მიღება ადგილობრივი შემოსავლების შესავსებად. საზოგადოდ, ასეთი საწარმოები განსხვავდებიან საზოგადოებრივი მომსახურების საწარმოებისაგან, რომელთა პირველადი ფუნქციაა მოსახლეობის საზოგადოებრივი მომსახურება. მომგებიანი საწარმოებიდან მიღებული მოგება, როგორც წესი, მთლიანად გამოიყენება შიდა ინვესტიციების დასაფინანსებლად.

მსოფლიო გამოცდილება მოწმობს [5], რომ ადგილობრივი მმართველობებისთვის უფრო უკეთესია თავიდან აიცილონ საწარმოების პირდაპირი მართვა და ფართოდ ისარგებლონ ერთობლივი საწარმოების დაფუძნების ან ფრანჩაიზული შეთანხმების საშუალებით, სადაც ადგილობრივი ორგანოს რისკი მნიშვნელოვნად მცირეა.

საქართველოში ბოლო პერიოდში მუნიციპალური სექტორის რეფორმირების სამუშაოებმა (მაგალითად, [6]) აჩვენეს, რომ მუნიციპალური მომსახურების სფეროს ფინანსურ მართვაში შესაძლოა გამოიყოს ეფექტიანობის გაუმჯობესების ხუთი ძირითადი მეთოდი: ფინანსური მართვის სისტემისა და პროგრამული მიდგომის სრულყოფა; მომსახურების მიწოდების დაბალი ხარჯის მეთოდით განხორციელება; კაპიტალური ინფრასტრუქტურის შენახვის შესაბამისი თანხებით უზრუნველყოფა; კერძო სექტორთან ისეთი კონტრაქტების გაფორმება, რომელიც

გამოიწვევს ხარჯების ეკონომიას; ეფექტიანობის გაუმჯობესების სქემების განხორციელება.

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მართვის სისტემისა და პროგრამირების გაუმჯობესება. მაქსიმალური ეფექტიანობა უშუალოდ უკავშირდება თითოეულ დონეზე დაგეგმვის, პროგრამირებისა და საბიუჯეტო სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესებას.

პრაქტიკა ადასტურებს, რომ საზოგადოებრივმა ორგანოებმა უმჯობესია ჩამოაყალიბონ დანახარჯები შუალედური პროგრამებით, რომლებიც მოიცავენ კაპიტალურ და მიმდინარე ხარჯებს ფინანსირების წყაროებთან ერთად. პროგრამის ხანგრძლივობა განისაზღვრება პროექტის მიხედვით. ჩვეულებრივად, 3 წელი მინიმალური პერიოდია ასეთი მიზნისათვის. პროგრამის მომზადებისას პირველ რიგში უნდა შეფასდეს შესაბამისი ორგანოს მთლიანი ფინანსური რესურსი, ხოლო შემდეგ დამუშავდეს მისი გამოყენების პირობები, რომელიც მოიცავს როგორც კაპიტალური განვითარების პროექტებს, ისე მიმდინარე დანახარჯებს ოპერაციებზე, ადმინისტრაციასა და სესხის მომსახურებაზე.

დაბალი ხარჯების ანუ ხარჯების მინიმიზაციის მეთოდი. პროგრამის ფორმულირების ძირითად ნაწილი უნდა იყოს პროექტის დასაბუთება, რომელიც შეაჯერებს ძირითადი მიზნების მიღწევის ალტერნატიულ გზებს ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის გამოყენებით.

მინიმალური ხარჯების მიდგომა, ანუ ხარჯების მინიმიზაციის მეთოდი ყოველთვის არ არის ოპტიმალური. ზოგიერთ შემთხვევაში, კაპიტალური საინვესტიციო პროექტებისადმი ამგვარი მიდგომა იწვევს შენახვის ხარჯების ზრდას. მაგალითად, მშენებლობის დაბალი სტანდარტები ცნობილია, რომ უკავშირდება ექსპლუატაციის მაღალ ხარჯებს.

ოპერაციებისა და შენახვის ადეკვატური ფონდების უზრუნველყოფა. დანახარჯების პრიორიტეტების დადგენისას მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს არსებული საქალაქო ინფრასტრუქტურის საოპერაციო და შენახვის ხარჯების ადე-

კვატურ უზრუნველყოფას, შენახვისა და ეფექტიანი ოპერაციებისათვის საჭირო თანხების ნაკლებობამ შეიძლება ძვირადღირებული მოწყობილობები სწრაფად დააზიანოს, რაც, თავის მხრივ, გამოიწვევს მეტ ხარჯებს და, შესაბამისად, აქტივით უფრო სწრაფად ამოიწურება. მაგალითად, გზები, რომლებიც ოპტიმალურ ვადებში არ გაკეთდა, ხშირად მოითხოვს მნიშვნელოვან შეკეთებას. ანალოგიურად, საკანალიზაციო მიწებზე, რომლებიც რეგულარულად არ გაიწმინდა, შეიძლება ვერ გაატაროს წყალი და დააზიანოს შენობები.

მრავალი მაგალითი მოწმობს, რომ საოპერაციო და შენახვის ხარჯების სტანდარტულ დონეზე ქვემოთ არსებობა არ არის დანახარჯების შემცირების ეფექტიანი გზა, რადგან იგი მომავალში ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდის საფუძველი ხდება.

კერძო სექტორთან კონტრაქტი მომსახურების მიწოდებისათვის. ადგილობრივ მმართველობას გააჩნია მნიშვნელოვანი პოტენციალი ხარჯების ეკონომიის მხრივ, თუ კონტრაქტების საფუძველზე საქალაქო მომსახურების ფართო სპექტრს შეასრულებს კერძო სექტორი. ტრადიციულად, ადგილობრივი მმართველობები კონტრაქტის საფუძველზე გადასცემენ მომსახურების მხოლოდ შეზღუდულ სპექტრს და პარალელურად სრულყოფენ კონტრაქტის მართვისა და კონტროლის სისტემებს.

ამგვარად, მმართველობის ორგანოებმა უნდა გაანალიზონ მომსახურების ხარჯი და განსაზღვრონ დამატებითი ღონისძიებები, რომლებიც გადაეცემა კერძო სექტორს კონტრაქტორების მიერ შემოთავაზებული ფასების ხარჯებთან შედარების საფუძველზე.

ეფექტიანობის გაუმჯობესების სქემების განხორციელება. მრავალმა ადგილობრივმა მმართველობამ საქართველოში (მაგალითად, ფოთის მერიამ, რუსთავის მერიამ [6]) საგრძნობლად გააუმჯობესა ეფექტიანობა ამგვარი სქემების განხორციელებით, აგრეთვე ფინანსური და საადრიცხო სისტემების მართვის, გადასახადების ადმინისტრირების კომპიუტერიზაციის, მენეჯმენტის სრულყოფის, პერსონალის სწავლებისა და ტრე-

ნიბების მეშვეობით. თუმცა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები სისტემატურად საჭიროებენ ინსტიტუციური გაძლიერების პროგრამების დაგეგმვასა და პრაქტიკულ განხორციელებას.

განვიხილოთ კერძო სექტორის მონაწილეობის შესაძლებლობა საქალაქო მომსახურების მიწოდებაში. საქალაქო მომსახურების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის მზარდი დაშორება აიძულებს მმართველობის ორგანოებს გადასცენ შერჩეული საქალაქო მომსახურების მიწოდების პასუხისმგებლობა თვითდაფინანსებად ორგანიზაციებს. ამ შემთხვევაში ზოგიერთმა ორგანომ შესაძლოა უარი თქვას გარკვეული ღონისძიების განხორციელებაზე და გადაანაწილოს დაზოგილი რესურსი სხვა ძირითად მომსახურებაზე.

მონაწილეობის სქემებს, მათი შინაარსის მიხედვით, შესაძლოა ეწოდოს სხვადასხვა სახელი - „თვითდახმარება“, „მონაწილეობა“, „თვითშენახვა“. ამ სქემების ძირითადი საკითხები შემდეგია: საქალაქო მომსახურების რომელი ტიპია ყველაზე მისაღები თვითდახმარებადი მომსახურების მიწოდებისათვის; რომელია ყველაზე მისაღები პროცედურები და ინსტიტუციური სტრუქტურები ამ მომსახურების მიწოდებისათვის; რა როლი უნდა შეასრულოს ადგილობრივმა მმართველობამ თვითდახმარებადი პროგრამების ინიცირებასა და ხელშეწყობაში.

საქალაქო მომსახურების მიწოდებაში კერძო სექტორის როლის ზრდამ შესაძლოა მთლიანად გაათავისუფლოს მმართველობის ორგანოები იმ მომსახურებათა მიწოდებისაგან, რომელიც ბუნებით კერძო სექტორის საქმიანობაა და რომელთა განხორციელების სურვილიც თავისუფალი ბაზრის პირობებში გააჩნია კერძო სექტორს.

უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი სექტორის ღონისძიებების შემცირება ყოველთვის არ იწვევს კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდას. თუ საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობის შემცირებას ადგილი აქვს იმ მომსახურებებში, რომელთაც „საზოგადოებრივი საქონლის“ დამახასიათებელი

ამიტომ იფიქროს ინტერესებისა და ინტერესების
მოძრაობა მიწოდებისა და მიწოდებისათვის. თითქმის ძირითად

ნიშნები გააჩნია, კერძო სექტორს, როგორც წესი, უჭირს მათი შესრულება.

კერძო საწარმოები შეიძლება გამოყენებული იქნეს იმ მომსახურების მიწოდებაში, სადაც კლიენტი, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, იხდის მომსახურების გადასახადს და შესაძლებელია, რომ გადაუხდელობის შემთხვევაში შეუწყდეს აღნიშნული მომსახურება. კერძო საწარმოს შეიძლება უპირატესობა გააჩნდეს საზოგადოებრივთან შედარებით იმიტომ, რომ იგი უზრუნველყოფს მეტ ეფექტიანობას, ნაკლებად არის პოლიტიკურად შეზღუდული, შეუძლია იმოქმედოს კონკურენტულ გარემოში, არ ექვემდებარება იმ ადმინისტრაციულ პროცედურებსა და მოთხოვნებს, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია საზოგადოებრივი ორგანოებისათვის. ამავე დროს, მას შეუძლია ეფექტიანად გამოიყენოს კაპიტალური წყაროები, რომლებიც შესაძლოა ხშირად არ იყოს ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი სტრუქტურებისათვის.

მმართველობის დონეთა როლი საქალაქო მომსახურების უზრუნველყოფაში. საქალაქო მომსახურების მიწოდებაში მმართველობის სხვადასხვა დონემ შეიძლება შეასრულოს რამდენიმე როლი, რომელთა ეფექტიანობა, მრავალ ფაქტორთან ერთად, დამოკიდებულია სამართლებრივ ჩარჩოზე, პოლიტიკურადმინისტრაციულ სტრუქტურასა და თითოეული დონის ეკონომიკურ სიძლიერეზე.

საქალაქო მომსახურების მიწოდებაში ცენტრალურ ხელისუფლებას შეუძლია სამი ძირითადი როლის შესრულება: პასუხისმგებლობის მინიჭება (ფუნქციების გამიჯვნა), გრანტების ან სუბსიდიების გამოყოფა და სესხით პირდაპირი უზრუნველყოფა ან სპონსორობა.

პასუხისმგებლობის მინიჭება. საქალაქო მომსახურების უზრუნველყოფის პასუხისმგებლობის მინიჭებისას მთავრობას გააჩნია ოთხი ძირითადი არჩევანი: მთლიანად დააკისროს მოვალეობა შემსრულებელს (ან ნაწილობრივ - ადგილობრივ მმართველობას) მისივე დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების ჩათვლით, სპეციფიკური ფუნქციებისათვის დაარსოს

ეროვნული კორპორაციები, მიამაგროს ისინი შესაბამის სამინისტროებს ან დეპარტამენტებს, ან დაუტოვოს გარკვეული სფერო კერძო სექტორს. არჩევანი რთულია და ხშირად უკავშირდება მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებს. მხედველობაშია მისაღები კონტროლის ხარისხიც, რომელიც ცენტრალურ მმართველობას, როგორც წესი, სურს რომ განახორციელოს. ასეთ ვითარებაში ყველაზე არსებითია ის, რომ პასუხისმგებლობა და ფინანსური წყაროები ნათლად იყოს განსაზღვრული. ამ პირობის შეუსრულებლობა წარმოშობს როლების გაბნევის, პოლიტიკური მიზნების დაპირისპირების, პროგრამების არაკორდინირებული დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველს, რასაც შეიძლება მოჰყვეს არასასურველი შედეგები.

გრანტები და სუბსიდიები. ადგილობრივი მმართველობები დიდად არიან დამოკიდებულნი ცენტრალური დონიდან მიღებულ ფინანსურ ტრანსფერებზე. გრანტის სამი სახეობა არსებობს: „ბლოკ“ გრანტები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა მიზნისათვის და ექვემდებარება ფართო კონტროლს; „სპეციფიკური“ გრანტები, რომლებიც გამოყენებულ უნდა იყოს სპეციფიკური მომსახურების, მიზნების ან ინდივიდუალური პროექტებისათვის და ექვემდებარება დამტკიცებას ცენტრალური მთავრობის მიერ; „დეფიციტური“ გრანტები, რომლებიც გამოიყოფა ადგილობრივი ორგანოების შემოსავლების დეფიციტის დასაფარად.

სესხება. სესხი აშკარა და ჩვეული გზაა კაპიტალური ფინანსების მოზიდვისათვის ისეთ პროექტებში, როგორცაა დასახლების განვითარება, წყალმომარაგება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი და სხვა, რომელთაც გააჩნია პირდაპირი ფინანსური შედეგი. ადგილობრივ მმართველობებს შეუძლიათ აიღონ სესხი არაშემოსავლიანი პროექტებისათვის, რომელიც დაიფარება საერთო შემოსავლებიდან, თუმცა ასეთი მოქმედება არაპოპულარულ ნაბიჯად ითვლება.

ცენტრალურმა მმართველობამ სესხით ფინანსირებაში შეიძლება შეასრულოს სამი ძირითადი როლი:

1. ადგილობრივი მმართველობების დახმარება მათთვის საჭირო პროექტების დასაფარად.

პირველი. იგი შეიძლება იყოს პირდაპირი მსესხებელი. ეს განსაკუთრებით მიღებულია იქ, სადაც პოლიტიკა მოითხოვს სასესხო პირობების სუბსიდირებას ან სადაც გადახდის პერიოდი უფრო გრძელია იმ ვადაზე, რომელიც ჩვეულებრივ გამოყოფილია კომერციული სესხებისათვის.

მეორე. ცენტრალურ მთავრობას შეუძლია სპონსორობა გაუწიოს ადგილობრივ, ან გარე ორგანოებიდან მიღებულ სესხს. ადგილობრივ ბაზარზე ასეთმა მოქმედებამ შეიძლება მიიღოს სამთავრობო გარანტიის ფორმა მსესხებელი ორგანოსათვის. ცენტრალურ მთავრობას, აგრეთვე, შეუძლია შეამციროს საპროცენტო განაკვეთი ან უზრუნველყოს შედარებით იაფი ფონდები მსესხებელი ინსტიტუტებისათვის.

მესამე. ცენტრალურმა მთავრობამ შესაძლოა შეასრულოს ადგილობრივი ორგანოების მიერ აღებულ სესხებზე ნებართვის გაცემისა და კონტროლის როლი.

მთავრობის სხვა როლი. მუნიციპალურ მმართველობასთან დაკავშირებით ცენტრალური მთავრობა ასრულებს სხვა მნიშვნელოვან როლსაც, მაგალითად, ეროვნული განვითარების სტრატეგიის განსაზღვრის, ადგილობრივი საგადასახადო სტრუქტურის შემუშავებისა და გადასახადების აკრეფის, წლიური ბიუჯეტის, ფინანსური და აუდიტური პროცედურების მართვის წესების დადგენის, ორგანიზაციული და საშტატო სტრუქტურების დონეების მართვის, ტრენინგებისა და ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის როლს.

ადგილობრივ მმართველობებს გააჩნიათ მრავალი ფუნქცია, რომელიც უკავშირდება ადგილობრივი საზოგადოებრივი სექტორის საქონლისა და მომსახურების მიწოდებას. ეკონომიკურ თეორიაში საზოგადოებრივი საქონელი და მომსახურება განსხვავდება კერძო საქონლისა და მომსახურებისაგან. ცნობილია, რომ კერძო სექტორს არ გააჩნია ფინანსური სტიმული, რათა უზრუნველყოს „საზოგადოებრივი საქონელი“, რადგან კერძო ფირმებისათვის არ არსებობს პრაქტიკული საშუალება მიიღონ შემოსავალი ინდივიდუალური მომხმარებლებისაგან ასეთ საქონელსა და მომსახურებაზე. ამ სახის საქონელსა და

მომსახურებას შემდეგი პრობლემაც უკავშირდება: როდესაც ისინი უკვე შესრულებულია, ძნელია მიაღწიო იმას, რომ არ მოიხმაროს იმ მომხმარებელმა, რომელიც არ იხდის შესაბამის გადასახადს. ადგილობრივი საზოგადოებრივი საქონლის მაგალითებია ქუჩები და ტროტუარები, ქუჩების განათება, ჰაერის დაბინძურების კონტროლი და ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა.

ადგილობრივი მმართველობის მრავალ ფუნქციას, რომელიც უკავშირდება მომსახურების მოწოდებას, ავტომატურად ვერ შეასრულებს კერძო სექტორი, თუ ადგილობრივი მმართველობა უარს იტყვის მათ უზრუნველყოფაზე. ამიტომ საზოგადოებრივი საქონლისა და მომსახურების დაფინანსების საუკეთესო ხერხია დაბეგვრა, თუ ისინი დაგეგმილი, ორგანიზებული და უზრუნველყოფილია ადგილობრივი მმართველობის მიერ. მიუხედავად ამისა, კერძო სექტორს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მრავალი მომსახურების უზრუნველყოფაში, მაგალითად, კონტრაქტების საფუძველზე გზების მშენებლობა, მათი შენახვა და სხვ.

საზოგადოდ, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მოვალეობაა უზრუნველყონ ისეთი სახის მომსახურება, რომელიც ყველაზე ეფექტიანად და შედეგიანად იქნება მიწოდებული მთავრობის დეცენტრალიზებული რგოლების მიერ. ადგილობრივი მმართველობები პასუხისმგებელი არიან აკონტროლონ ტერიტორიის განვითარება და გამოყენება, აგრეთვე მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახადონ ძირითადი საქალაქო ინფრასტრუქტურის მომსახურება - წყლის მიწოდება, გზები, კანალიზაცია, პარკები და დასასვენებელი ადგილები.

არაეფექტიანი და ხარჯიანი იქნებოდა ცენტრალურ მმართველობას პირდაპირ უზრუნველყო ამ სახის ადგილობრივი საქალაქო ფუნქციები, რადგან ისინი საკმაოდ დაშორებულია ადგილობრივი საზოგადოებისაგან. დეცენტრალიზაცია მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს ადგილობრივ მმართველობას ადგილობრივი მომსახურების დაგეგმვასა და ორგანიზებაში, რადგან ეს მმართველობები ახლოს არიან საზოგადოებასთან და უფრო სწრაფად რეაგირებენ მოსახლეობის საჭიროებებზე.

ამრიგად, ზემოაღნიშნული მიმართულებებით ადგილობრივი მმართველობის როლი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ცენტრალური მმართველობის მიერ მინიჭებული ფუნქციების ეფექტიანად და შედეგიანად განხორციელება; მოსახლეობის საჭიროებების მომსახურების უზრუნველყოფა; ამ ფუნქციების შესასრულებლად რესურსების მობილიზება; მოსახლეობის საჭიროებათა გათვალისწინებით საქალაქო საზოგადოებრივი მომსახურების ეფექტიანად მიწოდების შესაბამისად ბიუჯეტის ფორმირება; საქალაქო მომსახურების მიწოდებისათვის სამთავრობო დონეებთან კოორდინაცია და მათთვის ანგარიშების მომზადება; მიღებული გრანტებისა და სესხების ეფექტიანად გამოყენება.

ლიტერატურა:

1. ბოლაშვილი პ., მუნიციპალური განვითარების სოციალური და ეკონომიკური პრობლემები, თბილისი, შპს "ფორმა", 2000.
2. საქართველოს პრეზიდენტის რეგიონული პოლიტიკისა და მართვის სამსახური, მუნიციპალურ პროგრამათა განხორციელების საკოორდინაციო ცენტრი, საინფორმაციო ბიულეტენი № 6, 1999.
3. Aziewicz Tadeusz, The Transformation of the Public Utility Sector, Published by: Oficyna Wydawnicza "Rewasz", Warszawa, Poland, 1994.
4. Bird Richard, Ebel Robert, Wallich Christine, Decentralization of the Socialist State, Intergovernmental Finance, Washington, D.C. USA, The World Bank, 1995.
5. McMaster James, Urban Financial Management, Washington, D.C. USA, The World Bank, 1991.
6. Final Report for Restructuring of Municipal Utility Enterprises in Georgia, Severn Trent Water International, MDDP, 2001.

STRATEGY AND PRINCIPLES OF MUNICIPAL SERVICE FINANCIAL MANAGEMENT

Paata Bolashvili

*Municipal Programs Implementation Coordination Center of Georgia
Chavchavadze Ave. 60, 380062, Tbilisi, Georgia*

Summary. In terms of improving the efficiency of municipal management there can be marked out 5 main methods: perfection of financial management systems and programme attitude; service provision with low cost method; capital infrastructure maintenance with relevant funds; signing such contracts with private sector that can economize expenditures; implementation of efficiency improvement schemes.

In urban service delivery central government can assume three basic roles: assigning responsibilities (delimitation of functions), allocating grants or subsidies and direct provision with loan or sponsoring. In relation with municipal management central government carried out such important role as, for example, definition of national development strategy, elaboration of local tax structure and definition of rules for tax collection and the management of annual budget, financial and audit procedures, management of organizational and staff structures, providing trainings and technical assistance etc.

The research was supported by a grant from the CERGE-EI Foundation under a program of the Global Development Network. Additional funds for grants in the Balkan countries have been provided by the Austrian Government through WIRW Vienna. All rights expressed are those of the authors and have not been endorsed by CERGE-EI, WIRW or the GDN.

СТРАТЕГИЯ И ПРИНЦИПЫ ФИНАНСОВОГО УПРАВЛЕНИЯ СФЕРЫ МУНИЦИПАЛЬНОГО ОБСЛУЖИВАНИЯ

Паата Болашвили

*Координационный центр осуществления
муниципальных программ Грузии
Тбилиси, 380062, пр. Чавчавадзе 60.*

Резюме. Для улучшения эффективности муниципального управления можно выделить пять основных методов: совершенствование систем финансового управления и программного подхода; предоставление услуг методом низких затрат; обеспечение содержания капитальной инфраструктуры соответствующей суммой; оформление контрактов с частным сектором, который обеспечит экономию расходов; осуществление схем повышения эффективности.

В предоставлении городского обслуживания центральное правительство может выполнить три основные роли: предоставление ответственности (разграничение функций), выделение грантов и субсидий, прямое обеспечение займами или спонсорство. Относительно муниципального управления центральное правительство выполняет также такую значительную роль, какой является, например, определение стратегии национального развития, разработка местной налоговой структуры и установление правил сбора налогов, правления годового бюджета и финансовых и аудиторских процедур, управление организационных и кадровых структур, обеспечение трейнингов и технической помощи и пр.

World Bank, 1991.
6. Final Report for Restructuring of Municipal Utility Enterprises in Georgia, Severn Trent Water International, MDDP, 2001.

EVIDENCE ON THE BUSINESS CYCLE IN SLOVENIA: IS INDUSTRIAL PRODUCTION A COINCIDENT INDICATOR OF CURRENT BUSINESS ACTIVITY?¹

Timotej Jagrič, Sebastjan Strašek

University of Maribor, Slovenia

Razlagova 14, 2000 Maribor, Slovenia

Summary. The purpose of this paper is to examine, if industrial production is a coincident indicator of current business activity in transition economy. We test this hypothesis for Slovenia on monthly data for the period 1992-2000. In this paper multivariate spectral analysis is used to study this relationship. Spectral techniques decompose a time series into a series of frequencies representing fixed-length cycles. Multivariate spectral analysis assesses the strength of this wavelength relationship between economic indicators. We find that the gross domestic product leads with average lead-time of 1,6 months, so our results seem to provide support for the coincidence.

1. Introduction

For many years a system of leading, coincident, and lagging economic indicators has been widely used in advanced economies to appraise the state of business cycle. Since these indicators cover a wide variety of economic processes that have been found to be important in business cycles, the construction of the composite leading indicator seems to be of the utmost importance in transition economy as well. Transition economies are

¹ This research was supported by a grant from the CERGE-EI Foundation under a program of the Global Development Network. Additional funds for grantees in the Balkan countries have been provided by the Austrian Government through WIIW, Vienna. All opinions expressed are those of the authors and have not been endorsed by CERGE-EI, WIIW, or the GDN.

increasingly approaching to advanced economies in the terms of a functioning market economy and capacity to withstand competitive pressure. Therefore a construction of a composite leading indicator for transition economy could significantly improve the quality of economic policy measures. Such an indicator requires a method for measuring current business activity. There are two alternative strategies for obtaining a time series that represents current business activity on a monthly level: either adopt a single series as the variable of interest or use a function of several variables. Both approaches have long traditions in empirical macroeconomics. For example, the empirical literature on the monthly money-income relationship focuses on the predictability of monthly Industrial production. Alternatively, Burns and Mitchell (1946) constructed a reference series by averaging several different major aggregate time series; this reference series was then used to date their reference cycles.

There are two main reasons why should one adopt the second of these two approaches. First, all aggregate time series are measured with error, and this measurement error is arguably more important at the monthly level than at longer sampling intervals. For example, Miron and Zeldes (1987) describe the difficulty of reconciling industrial production with another measure of production derived from the monthly statistics on inventories and sales. If measurement error is imperfectly correlated across series, then using average of several series can in principle reduce this source of inaccuracy. Second, the business cycle is generally viewed as reflecting common movements in multiple series, not just movements in a single measure of output (Burns and Mitchell 1946, Lucas 1977).

The construction of leading economic indicators however, demands a monthly and up-to-date series. Another important issue is the fact, that in transition economies time series can cover only a short time-period (less than a decade). This makes it difficult to determine, whether the selected time series has the characteristics of coincident indicator. In order to check industrial production as a single monthly series that describes economic activity, we decide to test following three hypotheses:

H1: The industrial production should contain the cyclical component, which corresponds to the definition of business cycle proposed by Mitchell and Burns

H2: The movement of industrial production should be linked with actual business activity.

H3: The industrial production should possess the same cyclical characteristics as gross domestic product (GDP).

According to the lack of data for transition economies, we decide to test all three hypotheses on Slovene economy. Slovenia possesses namely a typical economic structure of a transition economy with important share of industry and its significant impact on total economic activity.

As it can be seen in some applications, spectral analysis can be a valuable tool for studying business cycles, see for example Sargent (1987), Englund, Persson, and Svensson (1992), Reiter (1995), and Woitek (1997). It has been used to study the existence of cycles in RBC models by Watson (1993), Söderlind (1994), Cogley and Nason (1995), and Wen (1998), and it has been suggested as an econometric method for measuring the goodness-of-fit for RBC models, Watson (1993). We choose multivariate spectral analysis to study the relationship between industrial production and current business activity. The selected method is used to estimate the strength of wavelength relationship between economic indicators.

The remainder of the paper is organized as follows: after introduction, we set out in Section II analytical framework. In Section III we present basic procedures, which we apply on selected time series. Section IV summarizes the main findings and concludes.

2. Analytical framework

The task of quantifying comovements with the business cycle is conceptually difficult. Burns and Mitchell (1946) quantified comovements in terms of leads or lags at turning points of each series relative to the reference cycle and in terms of their index of conformity. More recent work has focused on the second moment of the joint distribution of the series of interest. For example, Hymans (1973) summarized cyclical timing by estimating phases in the frequency domain at business cycle frequencies. This perspective – focusing on the second moment properties of the series – is adopted here.

To apply the multivariate spectral analysis, it is desirable to have a minimum of 200 observations and the economic indicators must be

stationary. Let $\{y_t\}_{t=-\infty}^{\infty}$ be a stationary, stochastic n -dimensional vector process with mean vector $E(y_t) = \mu$ and the τ 'th autocovariance matrix given by:

$$(1) \quad \Gamma(\tau) \equiv E[(y_t - \mu)(y_{t-\tau} - \mu)']$$

If the sequence of matrix autocovariances $\{\Gamma_\tau\}_{\tau=-\infty}^{\infty}$ is absolutely summable and if z is complex scalar, the matrix autocovariance generating function of y_t is given by:

$$(2) \quad F_y(z) = \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \Gamma(\tau) z^\tau$$

where $F_y(z)$ is $(n \times n)$ -dimensional matrix of complex numbers.

If we evaluate the matrix autocovariance generating function at the value $z = e^{-i\omega\tau}$ and divide by 2π , we have the multivariate spectrum – cross-spectral density function:

$$(3) \quad S_y(\omega) = \frac{1}{2\pi} \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \Gamma(\tau) e^{-i\omega\tau}$$

where $S_y(\omega)$ is an $(n \times n)$ matrix.

The diagonal elements are the power spectrum of the individual processes, which are real-valued and nonnegative for all ω . The off-diagonal elements are the cross spectra. The cross spectrum is in general a complex number at each frequency. If we consider the case for $n=2$, where $\{y_t\}_{t=-\infty}^{\infty}$ and $\{x_t\}_{t=-\infty}^{\infty}$ are two jointly stationary stochastic processes with continuous power spectra, then the multivariate spectrum is given by:

$$(4) \quad S_y = \begin{bmatrix} y_t & x_t \end{bmatrix} = \begin{bmatrix} S_{yy}(\omega) & S_{yx}(\omega) \\ S_{xy}(\omega) & S_{xx}(\omega) \end{bmatrix} = \frac{1}{2\pi} \begin{bmatrix} \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yy}(\tau) e^{-i\omega\tau} & \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yx}(\tau) e^{-i\omega\tau} \\ \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{xy}(\tau) e^{-i\omega\tau} & \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{xx}(\tau) e^{-i\omega\tau} \end{bmatrix}$$

By using basic trigonometric rules and Euler's relations, the multivariate spectra for $n=2$ can be formulated as:

$$(5) \quad S_y = \frac{1}{2\pi} \left[\begin{array}{cc} \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yy}(\tau) \cos(\omega\tau) & \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yx}(\tau) \{\cos(\omega\tau) - i \sin(\omega\tau)\} \\ \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{xy}(\tau) \{\cos(\omega\tau) - i \sin(\omega\tau)\} & \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{xx}(\tau) \cos(\omega\tau) \end{array} \right]$$

As it was stated before, the cross-spectrum is complex quantity. In order to estimate it, we will use a polar decomposition. So it is possible to reformulate the cross-spectrum in terms of two real quantities, the cospectrum and quadrature spectrum:

$$(6) \quad \begin{aligned} S_{yx}(\omega) &= co_{yx}(\omega) + i qu_{yx}(\omega) \\ co_{yx}(\omega) &= \frac{1}{2\pi} \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yx}(\tau) \cos(\omega\tau) \\ qu_{yx}(\omega) &= \frac{1}{2\pi} \sum_{\tau=-\infty}^{\infty} \gamma_{yx}(\tau) \sin(\omega\tau) \end{aligned}$$

The cospectrum between y_t and x_t at frequency ω has the interpretation of the covariance between y_t and x_t that is attributable to cycles with frequency ω . The quadrature spectrum from x_t to y_t at frequency ω is proportional to the portion of the covariance between x_t and y_t due to cycles of frequency ω . Cycles of frequency ω may be important for both x_t and y_t individually as reflected by large values for $S_x(\omega)$ and $S_y(\omega)$ yet fail to produce much contemporaneous covariance between the variables because at any given date the two series are in different phase of the cycle. For example, the variable x_t may respond to economic recession later than y_t . The quadrature spectrum looks for evidence of such out-of-phase cycles.

Business cycles are characterized by a high correlation between several macroeconomic variables over the business cycle. Multivariate time series analysis in the frequency domain can be used to analyze this phenomenon by using coherence (Coh) and phase (Ph):

$$(7) \quad \begin{aligned} \text{Coh}(\omega) &= \frac{|S_{yx}(\omega)|^2}{S_{yy}(\omega)S_{xx}(\omega)}, \quad 0 \leq \text{Coh}(\omega) \leq 1 \\ \text{Ph}(\omega) &= \text{atan} \left(\frac{qu(\omega)}{co(\omega)} \right), \quad \text{lead / lag} = \frac{\text{Ph}(\omega)}{\omega} \end{aligned}$$

The coherence between two or more time series can be used to measure the extent to which multiple time series move together over the business cycle. The phase gives the lead of y over x at frequency ω . There is close relationship between the concept of the phase of two time series and the business cycle research of isolating leading, coincident and lagging indicators. Furthermore, the concept of phase is closely connected to the concept of Wiener-Granger causality (Granger, 1980; Granger, 1988).

It is common that the cross-spectrum shows no regularities. This is because there is not enough information in the original signals to obtain a well-behaved curve. Using a longer series does nothing to help this problem. The answer is to use smoothing and filtering procedures.

Filters are normally applied on the input signals. They are used for two general purposes: separation and restoration. Signal separation is needed when a signal has been contaminated with noise. Signal restoration is used when a signal has been distorted in some way. An example of this problem can be seen in Lucas (1972), where rational agents solve a signal separation and restoration problem in order to react optimally to an observed price change where it is unknown whether the price change reflects a change in the general price level or change in real demand on the individual market.

Although the spectral density diagram is an asymptotically unbiased estimate of the spectrum, it is not consistent. A whole set of literature has been developed on smoothing methods for the spectral density function, which are referred to as spectral windows. Care, however, must be exercised not to introduce a cyclical peak solely due to the smoothing technique.

3. Data

The monthly macroeconomic data were obtained from the Bank of Slovenia (2001) and are for January 1992 to August 2000. Despite the fact, that in the beginning of the development of the analysis of cyclic characteristics of variables researchers did not pay sufficient attention to differ between real and nominal data, the elimination of inflatory effects represents a standard first step in the research of time series (Zarnowitz and Boschan, 1977). Deflation of time series with a suitable price index ensures intertemporal comparison of observations.

Almost each time series includes the impact of seasons in its movement. The use of such original monthly series can bring us to absolutely wrong conclusions about the further development of the observed phenomenon. It is therefore reasonable to employ special procedures in order to separate the seasonal component from other components. Of course, it is desired as well as necessary that the series does not lose its characteristics in this process.

One of the traditional approaches in assessing the stated components is the regression method. It is a simple and easily comprehensive method, but can lead to a wrong choice of the polynomial, which is supposed to describe the trend-cycle. The second traditional approach is represented with the method of moving averages. The non-seasonal component is determined with the use of symmetric operator of moving averages. It is calculated as a difference between the original and the estimated nonseasonal component. Estimates are calculated with iterative method that is with the reiteration of the calculation of moving averages.

A well-known example of the use of the method of moving averages is the Method II – version X11 from 1968. The main weakness of this method, and also the weakness of all other traditional procedures, lies in neglecting the fact that the seasonal component has a stochastic character, and that it is related to other components. It is thus better to use seasonal models ARIMA (Bundesbank, 1999). Despite the fact that numerous programmes have been developed, which enable the use of the mentioned methods, we use programme X11ARIMA (Statistics Canada, 1999) in the empirical part of our research.

Stationarity of time series is a common phenomenon, especially in periods with stable conditions. Nonstationary time series may have the “typical

spectral shape" of Granger (1966), which makes impossible to detect business cycle frequencies. Differentiation of time series can eliminate the presence of nonstationarity, but also has its drawbacks (Charemza and Deadman, 1992). Differentiation does also affect long-term relationships between economic variables.

In the stationarity test, the selected data series are (marked as Y_t), analyzed with the equation:

$$(8) \quad Y_t = \rho Y_{t-1} + u_t$$

If it is found out with the Dickey-Fuller (DF) test that the coefficient ρ in Y_{t-1} equals 1, we are faced with the problem of unit root and non-stationary time series. If the coefficient in Y_{t-1} is absolutely smaller than one, we can assume that Y_t is a stationary and integrated series of the order 0, which can be put down as $I(0)$. The changed form of the upper equation is thus analyzed, by the inclusion of the first difference in the observed variable (Y_t):

$$(9) \quad \Delta Y_t = \delta Y_{t-1} + u_t$$

or,

$$(10) \quad \Delta Y_t = \beta_1 t + \delta Y_{t-1} + u_t$$

When both equations are compared, it becomes obvious that the zero hypothesis is being checked $\delta = 0$. If we suspect that the residuals u_t are autocorrelated (which is a regular phenomenon in the analysis of time series with monthly data), the following equation is used for the analysis of stationarity:

$$(11) \quad \Delta Y_t = \alpha + \beta t + (\rho - 1)Y_{t-1} + \sum_{i=1}^m \lambda_i \Delta Y_{t-i} + \varepsilon_t$$

The testing of stationarity has been done in two steps. In the first step, we tested series without the use of linear trend, which is marked in the Table 1 as the coefficient β . In the second step, we added the linear trend. The testing of de-seasoned data showed that series are not stationary, if the model does not include the trend. With the inclusion of trend series become stationary. This is why the observed series need to be remodelled in the

consequent testing. As the use of different forms of differenciation may bring negative influence on the results of further testing we decided to eliminate long-term linear trend by using Hodrick-Prescott filter ($\lambda = 14400$, suggested value for monthly data).

The discussion in Canova (1998) and Burnside (1998) makes clear that different detrending methods emphasize different frequency ranges in the data, and that many stylized facts are sensitive to the choice of detrending method. As we apply the same procedure on both series (GDP and industrial production), it seems, that in our application, this method gives good results.

4. Results and conclusion remarks

In our analysis we employed the monthly index of industrial production (1992=100) and monthly index of GDP (1992=100) under the assumption, that the latter represents the current business activity. Such a choice enabled us sufficient number of observations for empirical testing. Since time series have to be stationary and must not include the trend, the long-term trend was subtracted from original time series.

The results of testing are presented in Figure 1. The first graph present spectral density diagram for GDP. We find one spectral peak at the frequency of 34,3 months. The spectrum of GDP is rather flat which suggest that the cyclic component is not so strong. In the second graph the spectral density diagram for industrial production is presented. We find again one spectral peak with the same frequency but the peak diverges stronger. In this way the first hypothesis is confirmed - the frequency corresponds to the length of typical business cycle proposed by Mitchell and Burns. The presence of one peak only can be attributed to the seasonal adjustment of original time series.

By using the spectral analysis, we were able to estimate the length of the business cycle in Slovene economy in the years from 1992 to 2000. Following the results from our analysis we can conclude, that first years of Slovenian transition were marked by typical transformation depression. This is not surprising, since Slovenian economy was hit by a series of market losses: the collapse of CMEA markets; the Gulf War and the collapse of the Yugoslav internal market. This collapse has heavily

influenced the economic activity and the financial position of the economy. The production was pushed down rapidly to a decline by 9,3 percent in 1991 and 6,0 percent in 1992.

Our analyses determine June 1993 as a trough and as a start of a new cycle (we used inverse real discrete Fourier transform). This was confirmed by Mencinger (1995), who also found that in the middle of 1993 Slovenia suddenly reached the bottom of depression. The revival, which followed, can be explained by an increase in aggregate demand in which moderate growth of foreign demand coincided with fast growth of domestic demand. The peak was reached in January 1995. The turnaround could be attributed to Holland disease and to debt crises in Slovene economy. The peak was also preannounced by Surveys on Business Trends published by Statistical office of the Republic of Slovenia (1994), which reported on continued worsening of export demand since October 1994 (the diffuse index was steadily growing from 34 percent in October to 43 percent in December). The end of the first cycle was reached in June 1996. After reaching a trough, economic developments improved in the second part of the year mainly due to economic recovery in Europe and improved export competitiveness. According to Institute of Macroeconomic Analysis and Development (1997) export competitiveness (measured in terms of unit labor costs in the basket of currencies) improved in the 1996 by 7,3 percent after a market drop of 11,9 percent in 1995. Competitiveness improved as a consequence of increased productivity, the lower tax burden on wages and the real depreciation of the Tolar.

Acceleration in rate of growth of the world economy as a whole and in particular of the European Union enables Slovene economy to extend the expansion into 1997. Improved economic performance of main economic partners was the primary factor enabling the export to rise in 1997 without an increase in export competitiveness. That year the consensus between the social partners on wages has been reached in time. Thus adequate income policy mechanism were adopted which succeeded in keeping the growth in wages lagging behind the growth in labor productivity.

The slowdown in economic growth and export market growth in the most important trading partners in the last quarters 1997 and 1998 hold back growth in Slovenian exports and with some lag economic activity as well.

Extremely high value of the export multiplier of Slovene economy (0,6) explains the high degree of sensibility of Slovene macroeconomic activity to the changes in export growth. The deceleration of cycle in 1998 was therefore not a surprise, since contagion effects of Asian crises spread to Europe. We may conclude, that real events in Slovene economy in 1990's confirm our second hypothesis, namely that the movement of industrial production should be linked with actual business activity in Slovenia.

The cross-spectral density diagram confirms hypothesis of relationship between cyclical component of GDP and cyclical component of industrial production. The spectral peak is again at frequency of 34,3 months. The peak is statistically significant, which is confirmed with the maximum value of coherency at the selected frequency (fourth graph in Figure 1).

The fifth graph shows the time lag between oscillations of cyclical components of GDP and industrial production. At the significant frequency of 34,3 months, the GDP leads with an average lead-time of 1,6 months. The time lag between industrial production and GDP is small, so our results seem to provide strong support to our third hypothesis.

Due to the results of our empirical testing and confirmations of all three hypothesis, we may conclude, that the index of industrial production in Slovenia seems to be a good coincident indicator of current business activity.

TABLE 1: TEST OF STATIONARITY FOR INDUSTRIAL PRODUCTION AND GDP

Variable	$(\rho - 1)$	λ	α	β	ADF
GDP	-0,004339 (-0,135034)	-0,617541 (-7,568582)	0,857351 (0,302721)		-0,135034
GDP	-1,044142 (-6,941399)	-0,100119 (-1,006669)	75,23791 (6,937483)	0,32 763 (7,02 674)	-6,941399
IND	-0,103149 (-1,575833)	-0,493997 (-5,550995)	10,05175 (1,602682)		-1,575833
IND	-0,577055 (-5,021685)	-0,263390 (-2,812601)	49,98694 (4,972623)	0,10 880 (4,81 913)	-5,021685

*Critical values by MacKinnonu (N=101):


-3,4979	at 1%
-2,8900	at 5%
-2,5818	at 10%

Note: In each field we have first the value of coefficient and then t-statistics.

GDP Gross domestic product (1992=100) – deseasoned data

IND Industrial production (1992=100) – deseasoned data

FIGURE 1: CROSS-SPECTRAL ANALYSIS (GDP, INDUSTRIAL PRODUCTION)



 REFERENCES

- Bank of Slovenia.** "<http://www.bsi.si>". 2001.
- Bundesbank.** "Der Übergang vom Saisonbereinigungsverfahren Census X-11 zu Census X-12-ARIMA". *Monatssbericht*, September 1999.
- Burns, A., F. and Mitchell, W., C.** "*Measuring Business Cycles*". NBER, New York, 1946.
- Burnside, C.** "Detrending and business cycles facts: A comment". *Journal of Monetary Economics*, 1998, 41(3), pp. 513-532.
- Canova, F.** "Detrending and business cycle facts". *Journal of Monetary Economics*, 1998, 41(3), pp. 475-512.
- Charemza, W., W. and Deadman, D., F.** "*New directions in econometric practice: General to specific modelling, cointegration and vector autoregression*". Edward Elgar, Aldeshot, 1992.
- Cogley, T. and Nason, J., M.** "Effects of the Hodrick-Prescott filter on trend and difference stationary time series. Implications for business cycle research". *Journal of Economic Dynamics and Control*, 1995, 19, pp. 253-78.
- Englund, P., Persson, T., Svensson, L., E., O.** "Swedish business cycles: 19861-1988". *Journal of Monetary Economics*, 1992, 30, pp. 343-71.
- Granger, C., W., J.** "The Typical Spectral Shape of an Economic Variable". *Econometrica*, 1966, 34, pp. 150-161.
- Granger, C., W., J.** "Testing for Causality". *Journal of Economic Dynamics and Control*, 1980, 2, pp. 329-352.
- Granger, C., W., J.** "Some Recent Developments in a Concept of Causality". *Journal of Econometrics*, 1988, 39, pp. 199-211.
- Hymans, S.** "On the Use of Leading Indicators to Predict Cyclical Turning Points". *Brookings Papers on Economic Activity*, 1973, 2, pp. 339-384.
- Institute of Macroeconomic Analysis and Development.** "*Slovenian Economic Mirror*", 1997, 6, pp. 3-8.
- Lucas, R., E.** "Expectations and the Neutrality of Money". *Journal of Economic Theory*, 1972, 4, pp. 103-125.

Lucas, R., E. "Understanding Business Cycles". Carnegie-Rochester Conference Series on Public Policy, 5, reprinted in Lucas, R. E. (1981), *Studies in Business Cycle Theory*. Cambridge, 1977.

Mencinger, J. "The macroeconomic framework". in E. Lah (Ed.), *Some Features of the Slovenian Financial System Development*, The Bank Association of Slovenia, Ljubljana, 1995.

Miron, J., A. and Zeldes, S., P. "Production, Sales, and the Change in Inventories: An Identity that Doesn't Add Up". manuscript, NBER, Cambridge, MA, 1987.

Reiter, M. "The dynamics of business cycles". Munich, 1995.

Sargent, T., J. "Macroeconomic Theory, 2. ed.". Academic Press, New York, 1987.

Söderlind, P. "Cyclical properties of real business cycle model". *Journal of Applied Econometrics*, 1994, 9, pp. S113-S122.

Statistics Canada "X11ARIMA version 2000". Ottawa, Canada, 1999.

Statistical Office of the Republic of Slovenia "Surveys on Business Trends". Ljubljana, 1994.

Watson, M., W. "Measures of fit for calibrated models". *Journal of Political Economy*, 1993, 101(6), pp. 1011-1041.

Wen, Y. "Can a real business cycle model pass the Watson test". *Journal of Monetary Economics*, 1998, 42, pp. 185-203.

Woitek, U. "Business cycles. An international comparison of stylized facts in historical perspective". Physica-Verlag, Berlin, 1997.

Zarnowitz, V. and Boschan, C. "Cyclic Indicators: An Evaluation and New Leading Indexes". In *Handbook of Cyclic Indicators*, U. S. Department of Commerce, Bureau of Economic Analysis, 1977.

სლოვენიის ბიზნეს-აქტივობის მაჩვენებელი: შეესაბამება თუ არა ბიზნეს-აქტივობის მაჩვენებელი სამრეწველო პროდუქციის მოცულობას?

ტიმოთე ჯაგრიჩი, სებასტიან სტრაჟეკი

მარიბორის უნივერსიტეტი, სლოვენია

2000 მარიბორი, რაზლაგოვას ქ. 14, სლოვენია

რეზიუმე. სტატიაში სლოვენიის მაგალითზე გაანალიზებულია გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში გამოშვებული პროდუქციის მოცულობასა და ბიზნესის აქტივობის მაჩვენებლებს შორის შესაბამისობის საკითხი. განხილულია ეკონომიკური მაჩვენებლების ყოველთვიური მონაცემები 1992-2000 წ.წ. კვლევისათვის გამოყენებულ იქნა მრავალცვლადიანი სპექტრალური ანალიზი, რისთვისაც ჩატარდა დროითი მწკრივების წარმოდგენა ფიქსირებული სიგრძის სისწორული ციკლების სახით. შედეგად დაფიქსირდა მაღალი კორელაცია ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილების საშუალო წინმსწრები დრო 1,6 თვეს შეადგენს.

Granger, C. W. J. "Causality and the Leading Index". *Journal of Econometrics*, 1973, 9, pp. 199-211.

Huyghe, S. "On the Use of Leading Indicators to Predict Cyclical Turning Points". *Brookings Papers on Economic Activity*, 1973, 2, pp. 339-384.

Institute of Macroeconomic Analysis and Development. "Slovenian Economic Mirror", 1997, 6, pp. 3-8.

Lucas, R. E. "Expectations and the Neutrality of Money". *Journal of Economic Theory*, 1972, 4, pp. 103-125.

ПОКАЗАТЕЛЬ БИЗНЕС-АКТИВНОСТИ СЛОВЕНИИ: СООТВЕТСТВУЕТ ЛИ ОБЪЕМ ПРОМЫШЛЕННОЙ ПРОДУКЦИИ ПОКАЗАТЕЛЮ БИЗНЕС-АКТИВНОСТИ?

Тимотей Джагриц, Себастиан Страшек
Мариборский Университет, Словения
Марибор, 2000, ул. Разлагова 14, Словения

Резюме. В статье на примере Словении исследуется вопрос соответствия между показателями бизнес-активности и объемом промышленной продукции в странах с переходной экономикой. Были рассмотрены ежемесячные данные в период 1992-2000 гг. Для исследования был использован метод многофакторного спектрального анализа, с помощью которой временные данные были представлены в виде частотных циклов фиксированной длины. В результате исследования выявилась высокая корреляция между вышеперечисленными экономическими показателями. В частности обнаружилось, что в среднем, изменение величины валового внутреннего продукта опережает изменению показателя бизнес-активности на 1,6 месяцев.

სოციალური დაცვის ტრადიციები საქართველოში

მზია შელია

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

დემოგრაფიისა და სოციოლოგიური

კვლევის ინსტიტუტი

380005, თბილისი, პუშკინის ქ. №5/7

შემოვიდა 2002 წლის 20 დეკემბერს

რეზიუმე. სოციალური დაცვის სისტემის ელემენტების არსებობა საქართველოში სახელმწიფოებრივ დონეზე ძველთაგანვე შეინიშნება. IX საუკუნეში ბაგრატ კურაპალატის დროს დაარსებული სახელმწიფო საქველმოქმედო თანხა „გლახაკთა ნაწილი“ გაიცემოდა სოციალურად დაუცველ პირებზე XIII საუკუნემდე. სოლიდარობის პრინციპზე აგებული ურთიერთობა საზოგადოებასა და ინდივიდს შორის ამ პერიოდისათვის სახელმწიფოებრივ დონეზეა ასული.

შემდგომ პერიოდში, სახელმწიფოს დაქუცმაცების მიუხედავად, ეს ურთიერთობები არ შეცვლილა და გამოხატულებას პოულობდა ცალკეულ დონისძიებებში სამთავროს, თუ თემის დონეზე.

უკვე არსებული და ჩვენს მიერ მოძიებული ისტორიული წყაროები გვიჩვენებენ, რომ საქართველოში კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპზე აგებული სოციალური დაცვის სისტემა, რა თქმა უნდა, არც მთლად სრულყოფილი სახით, ძველთაგანვე არსებობს. ამ პრინციპზე აგებულმა ურთიერთობებმა ქართველ ხალხს საშუალება მისცა, საუკუნეების განმავლობაში თავი დაეცვა უამრავი უბედურებისაგან. ამიტომ, სოციალური დაცვის ახალი სისტემის მშენებლობის პროცესში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის ტრადიციები და სისტემის ფორმირებისას სახელმწიფო

სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპი ისტორიულად გამოცდილ ამოსავალ პრინციპად უნდა იქნეს მიჩნეული.

* * *

ცივილიზაციის მთელი ისტორიის მანძილზე სოციალურად დაუცველი ფენების დახმარება საზოგადოების მიერ სხვადასხვა ფორმითა და წესით ხდებოდა, რაც საზოგადოების განვითარების კვალდაკვალ სისტემატურ ტრანსფორმაციას განიცდიდა.

პირველად დახმარების ძირითადი ფორმა ინდივიდუალური იყო და ხორციელდებოდა მატერიალურად უზრუნველყოფილი ფენის ცალკეულ პირთა ქველმოქმედების სახით. მდიდრები საკუთარი შეხედულების მიხედვით გასცემდნენ სახსრებს ფულადი თუ ნატურალური სახით. შემდგომ, რელიგიური მსოფლმხედველობის განვითარების შესაბამისად, კერძო პირებთან ერთად, საქველმოქმედო საქმიანობა ეკლესიამაც იტვირთა. იგი განიკითხავდა დარიბებს, უძღურთ და სწეულთ.

დროთა განმავლობაში ჩაისახა სახელმწიფოს მხრიდან დახმარების ესა თუ ის ფორმაც. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ძველ საბერძნეთში, ათენში, ყოველდღიურად ეხმარებოდნენ უძღურებსა და მოხუცებს პურით; ძველ რომში არსებობდა მოხუცთა სახლების თავისებური ფორმა [15].

სახელმწიფოს მხრიდან უსასო, უკიდურეს მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის დაცვის ღონისძიებებს ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეებშიც, რაც ხშირად საკანონმდებლო აქტებითაც გამოიხატებოდა. მაგალითად, ინგლისში 1601 წ. მიღებული იქნა კანონი „ღარიბთა შესახებ“; 1712 წელს პეტრე პირველმა გამოსცა ბრძანება ყველა გუბერნიაში დაერდომილთა თავშესაფრების მოწყობის თაობაზე [16], საფრანგეთში კოლბერის დროს არსებობდა იდეა მეფის მეზღვაურებისათვის პენსიის მიცემის შესახებ [18], მაგრამ სოციალური დაცვის სახელმწიფოებრივი სისტემის ჩამოყალიბება ძირითადად XIX საუკუნის ბოლოდან იწყება გერმანიაში, საიდანაც ვრცელდება

იგი ევროპის სხვა ქვეყნებსა და აშშ-ში. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ის მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში სხვადასხვა მოდელების სახით ჩამოყალიბდა და დღემდე განიცდის სრულყოფას.

რა თქმა უნდა, სახელმწიფო სოციალური დაცვის სისტემის განვითარებასთან ერთად არ გამქრალა ქველმოქმედება, რომელმაც არა მხოლოდ ინდივიდუალური წესით არსებობა განაგრძო, არამედ მას ზოგჯერ კოლექტიური ხასიათი მიეცა, გაფართოვდა მოღვაწეობის სფეროც და შეიცვალა მისი მიმართულებებიც. კერძოდ, თუ ადრე ის მხოლოდ ღარიბთა და სნეულთა დახმარებისაკენ იყო მიმართული, შემდგომ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმის დაცვა-აღორძინებასა და სხვა საქმიანობასაც ემსახურება.

ჩვენი ქვეყნის ისტორიამ ცალკეულ პირთა ქველმოქმედების უამრავი მაგალითი შემოგვინახა. მაგალითად, ცნობილია დუხტია დედოფლისა და ბაკურიოსის საქველმოქმედო საქმიანობა IV-V სს-ში სამცხეში. მეფე ბაკურს „არაჩვეულებრივად უყვარდა გლახაკნი, თავის ღირსების დამცირებად არ მიაჩნდა, როცა თავის სასახლეში მათთვის სხვადასხვანაირ საჭმელებს ამზადებინებდა; შემდეგ ეს საჭმელები კალათებით თვითვე მიჰქონდა ღამელამობით მის მიერვე გლახაკთათვის აგებულ თავშესაფარში და ვინც იქ იწვნენ, მათ თავისი ხელით აჭმევდა“ [7]. მისმა მეუღლე დუხტიამ კი თავისი ძვირფასი სამკაულების გაყიდვით მიღებული თანხა გლახაკთ გაუნაწილა. გაქრისტიანების პირველივე წლებიდან არსებობდა ე.წ. სააღაპოები, სადაც ღარიბთ საჭმელს აჭმევდნენ.

როგორც ი. ჯავახიშვილი აღნიშნავს, ქართველი ხალხის ძირითადი ზნეობრივი შეხედულება სახარების მოძღვრებაზე იყო დამყარებული. პავლე მოციქულის მითითებით კი, მათხოვრობით ცხოვრების უფლება მხოლოდ უძღურთ, სნეულთ, ბუნებრივი ნაკლის მქონეთ და წერილშვილის პატრონ ღარიბთ ჰქონდათ. ამასთან, მაშინდელი საზოგადოებრივი აზრით, ადამიანისათვის იმ ფულისა და ქველსაქმარის მიცემა შეიძლებოდა, რომელიც ადამიანს თავისი ოფლითა და შრომით ჰქონდა

შექმნილი. „მაშინდელი მოწინავე საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ საკუთარის მუშაობით შექმნილი ქონება აკეთილშობილებდა ადამიანს“ [11].

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის გადმოცემით, მეფეს ღარიბთათვის სპეციალური ქისა „ეისაკი მცირე“ ჰქონდა, რომელსაც საკუთარი ქონებიდან ადებული ფულით ავსებდა და „გლახაკთა და უპოვართ“ ურიგებდა. მის მიერვე იყო მოწყობილი დავრდომილთა და სნეულთა თავშესაფარი, ქსენონი, რომელსაც მომვლელები ე.წ. „ზედამდგომელნი“ მიუჩინა. ის თურმე ხშირად ნახულობდა დავრდომილთ: „მოიხიდნის, მოიკითხნის და ამბორ უყვს თვითეულსა და განამხნევის მოთმინებისა მიმართ“ [10]. იგი პირადად აკონტროლებდა მათ საყოფაცხოვრებო პირობებს. „მონახის თვისითა ხელითა ცხედრები, სამოსლები და საგებელი მათი, პინაკი და ყოველი სახმარი მათი“ [10].

ერთი სიტყვით, დიდი ისტორიკოსის მიერ მოყვანილ ფაქტებზე დაყრდნობით, დავით აღმაშენებლის მიერ აგებული ქსენონი კარგად ორგანიზებული და ადამიანური სიტბოთი გამთბარი დაწესებულება იყო. ეს მაშინ, როცა ინგლისში შექმნილი ღარიბთა სამუშაო სახლები იმთავითვე „საშინელებათა სახლებად“ იქნა მონათლული [14].

უდიდეს ქველმოქმედ ადამიანებად შემოგვინახა ჩვენმა ისტორიამ გიორგი III-ის, მისი დის რუსუდანის, მეფე თამარის, ქეთევან წამებულის, ერეკლე მეორისა და სხვათა სახელები. მეტად საგულისხმოა ამ თვალსაზრისით თამარ მეფის დახასიათება იოანე შავთელის მიერ: „მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა, შიშველთ სამოსად მონიჭებული, მოხუცებულთა შრომით რებულთა სიმტკიცის კვერთხად მისაყრდნობელი.“ [8, გვ. 485].

საქველმოქმედო საქმიანობა ცალკეულ ადამიანთა „სულიერი საქმე“ იყო. მათი დამოკიდებულება შრომისუნაროთა, „გლახაკთა“ და უპოვართა მიმართ ზნეობრივი სიმაღლის ერთ-ერთ ძირითად საზომად ითვლებოდა. საზოგადოების შეგნება კი ამ სიმაღლემდე ერთბაშად არ მისულა. ეს ხდებოდა თანდა-

თანობით, ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, დროთა განმავლობაში იკვეთებოდა პოზიცია, რომელიც მიანიშნებდა იმას, რომ ნებისმიერი ადამიანის სოციალური უბედურება საზოგადოების უბედურებად უნდა იქნეს მიჩნეული, რაზეც კოლექტიური პასუხისმგებლობა უნდა იქნეს აღებული.

სოციალურ დაცვაში კოლექტიური პასუხისმგებლობის სისტემის არსებობა სახელმწიფო დონეზე საქართველოში IX საუკუნეში შეიმჩნევა. ცნობილია, რომ ბაგრატ კურაპალატმა დააწესა „გლახაკთა ნაწილი“, სახელმწიფო საქველმოქმედო თანხა, რომლითაც ღარიბთა და შრომისუუნაროთა დახმარება ხდებოდა. სოციალური დახმარების ეს ორგანიზაცია, როგორც ი. ჯავახიშვილი მიუთითებს თამარის მემბტიანეზე დაყრდნობით, XIII საუკუნემდე არსებობდა. ბასილი ეზოსმოდვრის სიტყვებით, სახელმწიფო დახმარების ორგანიზაცია ძალზე მკაცრად კონტროლდებოდა. „ყოვლისა სამეფოსა მისსა შემოსავალნი, რაცა იყო შინათ და გარეთ ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებლად ერთისა ქრთილისა მარცულამდეცა“ [6]. ამ საქმეს პროფესიონალი მოხელენი „ხედამდგომენი“ ასრულებდნენ. მაშასადამე, ამ დროისათვის საქართველოში ქველმოქმედების ჰუმანური იდეა სახელმწიფოებრივ დონეზე აყვანილი და მიუთითებს საზოგადოების მაღალ შეგნებაზე და ამავე საზოგადოების სოციალურად დაუცველი პირებისადმი პროგრესულ დამოკიდებულებაზე.

მნიშვნელოვან ფაქტად მიგვაჩნია ისიც, რომ სოციალურად დაუცველი მოქალაქეების დახმარებაზე მიდიოდა სახელმწიფო შემოსავლებისა და დაპყრობილი ქვეყნების ხარაჯის 10%. მაშასადამე, საქართველოში, ფაქტობრივად, სოციალური დაცვის მიზნით სახსრების გაცემა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე ხდებოდა. ეს მაშინ, როცა ასეთივე სახის 10%-იანი გადასახადით დასავლეთ ევროპაში მოსახლეობის სოციალურ დაცვას მცირე ხნით ეკლესია ახორციელებდა [9].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებასა და ინდივიდს შორის სოლიდარობის პრინციპზე

აგებული ურთიერთობა ამ პერიოდისათვის სახელმწიფოებრივ დონეზეა ასული.

საქართველოს ოქროს ხანის შემდგომ პერიოდშიც, სახელმწიფოს დაქუცმაცების მიუხედავად, ეს ურთიერთობა არ შეცვლილა, რაც გამოსატულებას პოულობდა ცალკეულ დონისძიებებში ამა თუ იმ სამთავროს თუ თემის დონეზე. ამ მხრივ, ვფიქრობთ, მეტად საინტერესოა XIV-XV საუკუნის სვანეთის წერილობითი ძეგლები, რომელიც მოიძია და გამოსცა პროფ. ვ. სილოგავამ. მათი გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო საბუთმა „დაწერილი იონაშელთა ერთობისა“ და „ჰადიშის ხევის საბუთებმა“, რომლებშიც თემის წევრთა გაჭირვებისას ურთიერთდახმარების პირობაა დადებული. განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის წერილობითი ძეგლი „დაწერილი ჰადიშელთა ერთპირობისა“. მასში აღნიშნულია, რომ თემის „შიგა ამოსაღებისა მესამედი ვის ჰავი სჭირდეს, მისი იყოს, ორი ნაწილი ქუყენისა იყოს“ [4]. საბუთი მიუთითებს იმაზე, რომ თემის მიერ აკრეფილი გადასახადებით მიღებული შემოსავლის ორი მესამედი მის საერთო ხარჯებს უნდა მოხმარებოდა, ხოლო მესამედი ნაწილი განკუთვნილი იყო პირთათვის, რომლებიც განიცდიდნენ მატერიალურ გაჭირვებას, ეს იქნებოდა ქერივი, ობოლი, ან პირი, რომელმაც რაიმე ზარალი განიცადა სტიქიური უბედურებით. ერთი სიტყვით, ეს საბუთი ერთგვარი საკანონმდებლო ძეგლია, რომელშიც წერილობითაა განმტკიცებული ხევის საერთო პასუხისმგებლობა მისი წევრების სოციალური უბედურების შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მსგავსი დამოკიდებულების არსებობას ჩვეულებითი სამართლის ძეგლებშიც ვხვდებით. განსაკუთრებით გვინდა გამოვეყნოთ თუშთა ჩვეულება. მათ საერთო სარგებლობის მიწებში, კარის მიწასა და სახატე მიწასთან ერთად ჰქონდათ სახალე მიწა, რომელსაც ერთობლივად ამუშავებდნენ და განკუთვნილი იყო მხოლოდ ქერივ-ობლებისათვის. ამ მიწაზე მოყვანილი მოსავალი მხოლოდ ამ უკანასკნელთ ხმარდებოდა [3]. ასეთი ჩვეულების არსებობა, ალბათ, მარტო სახარების მოძღვრებაზე არსებული ზნეობრივი იდეოლოგიიდან როდი მოდიოდა. სავარაუ-

დოა, რომ მისი ფესვები წინაქრისტიანულ ხანაშია, რაც ცალკე კვლევის საგანია.

ქვრივ-ობლებისადმი (დღევანდელი ტერმინოლოგიით მარჩენალდაკარგულებისადმი) განსაკუთრებული დამოკიდებულება ასახულია ერეკლე მეორის მიერ 1783 წელს დაწერილ დოკუმენტში: „ნუსხა ზემო ქართლის საქვეყნო ხარჯისა, მიცემული ერეკლე მეორის მიერ თეიმურაზ ჯავახიშვილისადმი“. „ქ. ჩვენი ბრძანება არის ჯავახიშვილო თეიმურაზ, მერმე ამ სიით ეს საქვეყნო ვისაც შესწერებოდეს, ეს ასე უკლებლივ გაარიგებინო, თეთრი და ფქვილი მოატანინო და თავთავის თაველიდრებს მიაბარო. ეს სრულად უნდა აიღო. ამის დაკლება არ იქნება, ან არ დააგვიანო, ამაში ქვრივს, ობოლს, აყრილს და ამოწყვეტილს გამოვსულვართ“ [3]. მაშასადამე, მარჩენალდაკარგულნი საქვეყნო გადასახადისგან განთავისუფლებულნი იყვნენ.

XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნეში ადამიანთა ურთიერთდახმარების სისტემამ ამქრებთან და ამხანაგობებთან გადაინაცვლა. მაგალითად, პ. გუგუშვილი ა. ჰაქსტაუზენის 1856 წელს ამიერკავკასიის შესახებ დაწერილი ეთნოგრაფიული გამოკვლევის საფუძველზე მიუთითებს, რომ გიორგი XII განაჩენით, ამქარს თავისი სალაროდან დახმარება უნდა გაეწია თავისი გაღარიბებული წევრებისათვის [1]. მსგავსი შინაარსის ცნობას იძლევა თბილისელ იუველიერთა ამქრის წესდებაც [1].

ვფიქრობთ, მეტად საინტერესო ინფორმაციას იძლევა ჩვენს მიერ მოტანილი წერილობითი ძეგლები იმაზეც, როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში სოციალურად დაუცველი ფენების დაფინანსების წყაროები და მოცულობა. თუ IX-XIII საუკუნეებში შემოსავლის მეთაფი გაიცემოდა ამ მიზნით, XIV-XV საუკუნის წერილობით ძეგლებით, ის შემოსავლის მესამეფია, XVIII საუკუნეში, სავარაუდოა, რომ ის შემოსავლის მეხუთეფი ნაწილი იყო, რისი თქმის საფუძველს, ვფიქრობთ, იძლევა ერეკლე მეორის ძე ვახტანგის მიერ მოწოდებული ცნობა მამამისის ქველმოქმედების შესახებ, სადაც აღნიშნავს, რომ „აქვნდა... შემოსავალთაგან თვისთა ხუთის თავი გადადუბული სულიერთა საქმისათვის, ძვირად ვინმე დაშთებოდის

უკეთუ სცნია განსაცდელი შემთხვეული ვინმე სიკვდილით თუ სხვაგვარად მისგან შექძებით და შესაფერად უმწურო და უნუგეშისცემო“ [2]. ეს ცნობები დაახლოებით წარმოდგენას გვაძლევს იმაზე, თუ როგორ იცვლებოდა მოსახლეობის საარსებო მინიმუმი, მათი შემოსავლები და გადახდისუნარიანობა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ თუ სოციალური დაცვის ღონისძიებათა დაფინანსების წყარო IX-XIII საუკუნეებში ძირითადად სახელმწიფოს შემოსავლები იყო, თემის დონეზე საერთო გადასახადებს შორის ფიგურირებს გადასახლებისთვის გადაებული შემოსავალი. როგორც ი. ზოიძე მიუთითებს, ა. ხახანაშვილის მოწოდებული ცნობით, ხევში „თემი იღებს ყველა ზომას თავისი წევრების დასამაგრებლად, რათა გადასახლების ცუდმა მაგალითმა არ შეარყიოს ყოფის საფუძვლები. გადასახლებულნი ფარის ნახევარს უტოვებდნენ თავიანთვე სოფლის ღარიბთა და უპოვართ“ [5]. ეს ცნობა არანაკლებ საინტერესოა მიგრაციის პრობლემების მკვლევართათვის. ჩვენი ყურადღება კი ამ შემთხვევაში სოციალურად დაუცველი ფენების დაფინანსების წყაროს არსებობამ მიიპყრო.

საბოლოოდ, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოში სოციალური დაცვის სისტემამ ადრე დაიწყო ჩამოყალიბება. იგი ძირითადად აგებული იყო კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპებზე. სოციალური უბედურება არ გადადიოდა მხოლოდ ოჯახის წევრთა მხრებზე. მას თავის თავზე იღებდა სახელმწიფო, სამთავრო თუ თემი. სოლიდარობის პრინციპზე აგებულმა ურთიერთობებმა ქართველ ხალხს საშუალება მისცა, თავი დაეცვა საუკუნეების განმავლობაში უამრავი უბედურებისაგან. ვერც იმას აუუვლით გვერდს, რომ 1990-იანი წლების დამანგრეველი კრიზისის წლებში სახელმწიფო სოცუზრუნველყოფის მწირი ხარჯების გამო დაუცველი ფენების უზრუნველყოფა სოლიდარობის ძლიერი ტრადიციების მქონე ნათესავთა, მეგობართა, მეზობელთა და ახლობელთა მხრებზე გადავიდა. ნიშანდობლივად გვეჩვენება, რომ საქართველოში დღეს სიღარიბის მახასიათებელთა შორის, ერთ-ერთად ნათესავთა ნაკლებობა იქნა მიჩნეული [12, 13].

ვეიქრობთ, რომ ამჟამინდელი სოციალური დაცვის სისტემის მშენებლობის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ მხრივ ჩვენი ქვეყნის ტრადიციები და ამ სისტემის ფორმირებისას სახელმწიფო სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპი, უკვე ისტორიულად გამოცდილი, ამოსავალ პრინციპად უნდა იქნეს მიჩნეული.

სოციალური დაცვის ძირითად მიმართულებათა ღონისძიებები სოციალური სოლიდარობის პრინციპის საფუძველზე უნდა განხორციელდეს, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ფულადი და სოციალური რესურსების გადანაწილების სისტემის არსებობას გადასახადებისა და დახმარებების საშუალებით. მითუმეტეს დიდი ხანია ცნობილია ის ფაქტი, რომ სოციალური კეთილდღეობის არათანასწორი განაწილება სოციალური არასტაბილურობისა და კრიმინალური აქტივობის საფუძველია [17].

ლიტერატურა:

1. გუგუშვილი პ. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XXსს. ტ. 5. თბილისი, 1962
2. ისტორიკობრივი აღწერა ვახტანგ ირაკლის ძის მიერ. ტფილისი, 1914
3. მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის. ნაწ. III თბილისი, 1955
4. სვანეთის წერილობითი ძეგლები. ტ. I თბილისი, 1986
5. ქართული ჩვეულებითი სამართალი. კრებული 2. თბილისი, 1990
6. ქართლის ცხოვრება. ტ. II თბილისი, 1959
7. ზაქარია ქართველი. ცხოვრება პეტრე იბერიისა. თბილისი, თსუ, 1988
8. ჩვენი საუნჯე. II თბილისი, 1960
9. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, ნაწ. 2 ნ. 2, ტფილისი, 1929
10. ჯავახიშვილი ი. ქართველი ერის ისტორია ტ. I თბილისი, 1965

11. ჯავახიშვილი ი. ზნეობრივი მოძღვრების ისტორია. გაზ. „ივერია“, 1906 წ.
12. ჭუმანური განვითარების მოხსენება. საქართველო. 1995
13. ჭუმანური განვითარების ანგარიში. საქართველო. 1996
14. Валич Э.И. законы о бедных в английской публицистике конца XVIII в. и теория нищеты Чарлза Холля. Москва, 1990
15. Гордин В.Э. Чем старостьобеспечим. Москва, Мысль.1988
16. Королёва. Г. Социальная защита: Вчера, сегодня, завтра. Ж. Человек и труд. №6, 2001.
17. Холостова Е. И. Социальная политика. Москва, Инфра.-М. 2001
18. Kessler D. Histoire et avenir du systeme de retraite. dans le livre: “Le France dans deux generation”. Paris, 1992

TRADITIONS OF SOCIAL PROTECTION IN GEORGIA

Mzia Shelia
Institute of Demography and Sociological Studies
Georgian Academy of Sciences
5/7, Pushkini St., 380005, Tbilisi, Georgia

Summary. Historical sources existing already and found by us indicate that the system of social protection in Georgia created on the principles of collective responsibility did not exist in a complete way in the past. Relations created on these principles enabled Georgian people to protect themselves from many misfortunes in the past centuries. Therefore, at present, in the process of building of new system of social protection, our countries traditions must be taken into account and during the formation of system the principle of the state social responsibility must be considered as a historically experienced initial principle.

ТРАДИЦИИ СОЦИАЛЬНОЙ ЗАЩИТЫ НАСЕЛЕНИЯ В ГРУЗИИ

Мзия Шелия

Институт демографии и социологических
исследований АН Грузии.

Тбилиси, 380005, ул. Пушкина 5/7.

Резюме. Существующие до настоящего времени и собранные нами исторические источники показывают, что в Грузии созданная на принципе коллективной ответственности система социальной защиты, естественно, не совсем в совершенном виде существовала издревле. Сформированные на этом принципе отношения позволили грузинскому народу на протяжении веков противостоять многочисленным бедствиям. Поэтому в настоящее время, в процессе создания новой системы социальной защиты населения надо учесть традиции нашей страны и при формировании этой системы принцип государственной социальной ответственности признать исторически испытанным исходным принципом.

საბაზრო ეკონომიკის ზობიერთი ალტერნატიული მოდელი

ჯემალ ხარიტონაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
380002, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2.
შემოვიდა: 2002 წლის 2 ოქტომბერს

რეზიუმე. სტატიაში აღნიშნულია, რომ საბაზრო მეურნეობის სოციალური მოდელების მთელი სპექტრი ჩამოყალიბდა XX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან. ფრანგმა როჟე გაროდიმ შექმნა საბაზრო ეკონომიკის კიბერნეტული მოდელი. ახალი საბაზრო მეურნეობის მოდელი შექმნეს ყოფილი იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის თეორეტიკოსებმა ო. შიკმა, ი. სვიტაკმა, ე. კარდელმა, ვ. ბაკაროჩმა და სხვ. ჯაო ძიანმა, დენ სიო პინმა და სხვ. შექმნეს საბაზრო სოციალიზმის ჩინური მოდელი. საბაზრო ეკონომიკის საინტერესო მოდელი ფუნქციონირებს სამხრეთ კორეაში. სტატიაში გაანალიზებულია ზემოთ ჩამოთვლილი მოდელების ძირითადი პოსტულატები.

* * *

საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე მოდელების ნაირსახეობიდან შეიძლება გამოვეყოთ ორი ძირითადი სახის მოდელი: 1. ლიბერალური და 2. სოციალურად ორიენტირებული, თუმცა წმინდა სახით ისინი არსად არ არსებობენ.

ლიბერალური მოდელი ხასიათდება კერძო საკუთრების გაბატონებული მდგომარეობით, ხოლო სოციალურად ორიენტირებული მოდელი გამოირჩევა საკუთრების სხვადასხვა ფორმების ორგანული ურთიერთშეთანაწყობით და, კერძოდ, სახელმწიფო საკუთრების საკმაოდ მაღალი ხვედრითი წილით. შესა-

ბამისად, სახელმწიფოს აქტიური მონაწილეობით ეკონომიკური და სოციალური განვითარების რეგულირებაში.

აღნიშნული მოდელები განსხვავდებიან აგრეთვე ადამიანთა სოციალური დაცვის საკითხების გადაწყვეტისადმი მიდგომით. აღნიშნულ მოდელებს გააჩნიათ როგორც ღირსებები ისე ნაკლოვანებები.

თანამედროვე საქართველოს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ტრანსფორმაციისა და საბაზრო რეფორმების მსვლელობაში ყველაზე გულდასმით შესწავლას იმსახურებს გერმანიის საზოგადოებრივ-ეკონომიკური მოდელი. მეურნეობის სპეციფიკური გერმანული მოდელს საფუძვლად უდევს სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორია, რომელიც შესამჩნევად განსხვავდება ამერიკული ნიშუშის ლიბერალიზმისაგან. ეკონომიკაში სახელმწიფოს გარკვეული ზომით ჩარევა დასაშვებად მიაჩნიათ გერმანულ ნეოლიბერალებს. სოციალური საბაზრო მეურნეობა პალეოლიბერალიზმისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ცნობს სამეურნეო ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევას, რეფორმებისა და სოციალური ღონისძიებების გატარებისათვის. სიტყვა „სოციალური“ მიანიშნებს ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის დოზას, ფორმასა და მასშტაბს. მისი პრაქტიკა განხორციელდა ლუდვიგ ერჰარდის ხელმძღვანელობით ომის შემდგომ რეფორმებში, რომელმაც უზრუნველყო არა მარტო დანგრეული მეურნეობის სწრაფი აღდგენა, არამედ მისი გარდაქმნა თავისუფლების, პასუხისმგებლობისა და წესრიგის პრინციპებზე. სოციალური საბაზრო მეურნეობის თეორიასა და პრაქტიკას ლ. ერჰარდი თვლიდა მთელი საზოგადოების კეთილდღეობის, საყოველთაო კეთილდღეობის წყობილების შექმნის აუცილებელ პირობად. ას საკითხს მან მიუძღვნა ცნობილი წიგნი „კეთილდღეობა ყველასთვის“ [1]. ამ წიგნში ლ. ერჰარდი მიუთითებს, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობის პრაქტიკული განხორციელების შემდეგ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკაში კაპიტალიზმმა შეიცვალა თავისი არსი. იგი გახდა სახალხო კაპიტალიზმი, რომელშიც ხდება საკუთრების დაქსაქსვა და კაპიტალის დემოკრატიზაცია, სამუდამოდ აღმოიფხვრა

ეკონომიკური კრიზისები, გაქრა კლასები და კლასობრივი წინააღმდეგობანიო. ლ. ერჰარდისა და მისი მიმდევრები აღნიშნავენ, რომ სოციალური საბაზრო მეურნეობა წარმოადგენს ეკონომიკური დემოკრატიის ცხოვრებაში გატარებასო. ასეთი მეურნეობის პირობებში მათი მტკიცებით ფაქტიურად აღმოფხვრილია მონოპოლიების ძალაუფლება. ამ მოდელის გარდა თანამედროვე მსოფლიოში არსებობს საბაზრო მეურნეობის ალტერნატიული მოდელები, რომელთა მეცნიერული ანალიზი დღეს დიდ აქტუალობას იძენს. ამ მოდელებში შექმნილი გამოცდილება წარმატებით შეიძლება გემოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბების საქმეში.

საბაზრო მეურნეობის სოციალური მოდელების მთელი სპექტრი ჩამოყალიბდა XX საუკუნის 60-იანი წლების შუახანებიდან.

ფრანგმა სოციოლოგმა როჟე გაროდიმ [2] შექმნა კიბერნეტიკული მოდელი. ამ შემთხვევაში კიბერნეტიკა რომელიც გულისხმობს უკუქცევით მოქმედებას სისტემის ელემენტებიდან მისი ცენტრისაკენ. საზოგადოების მიშართ ეს, — რ. გაროდის აზრით, — ნიშნავს ისეთ მდგომარეობას, როცა საზოგადოებაში სხვადასხვა ღონისძიებათა ინიცნატივა მომდინარეობს ქვემოდან, რიგითი ადამიანებიდან.

რ. გაროდი მხარს უჭერდა საზოგადოებრის ისეთ მოდელს, რომლის დროსაც წესდება მრეწველობის მართვის სრული დეცენტრალიზაცია და მყარდება საბაზრო ურთიერთობა. ამას რ. გაროდი უწოდებს საზოგადოების აღდგენას კიბერნეტიკული ნიშნის მიხედვით, როგორც ბენიერების მოდელს, სიცოცხლის სილამაზის მოდელს.

რ. გაროდი საზოგადების მშენებლობის საფუძვლად თვლის უკუქცევით კავშირს — მხოლოდ ადგილობრივ ინიციატივას და არაერთარ წარმართველ ზემოქმედებას ზემოდან. მისი აზრით ასეთი მოდელის ტიპური მაგალითია ჩინური მოდელი. ხუნვეიბინების მოქმედებას ჩინეთში იგი თვლიდა ქვემოდან ინიციატივად: საბაზრო სოციალიზმის საინტერესო მოდელი მოქმედებს დღევანდელ ჩინეთში. XX საუკუნის 80-იანი წლების

დასაწყისიდან ჩინეთში ჯაო ძიანის ინიციატივით დაიწყო ეკონომიკური რეფორმის განხორციელება. ჯაო ძიანის მიერ დაწყებული რეფორმა შემდგომ გააგრძელა დენ სიაო პინმა. მისი პროექტით ჩინეთში აშენებულ იქნა ახალი თანამედროვე ქალაქი ჯენ იანი და სხვა თავისუფალი ეკონომიკური ზონები, სადაც მიღწეულ იქნა წარმოების დიდი ეფექტიანობა. მაგრამ ასეთ ეფექტს არც თუ იშვიათად საფუძვლად უდევს არასრულწლოვანი ჩინელი ბავშვების შრომა, რაც ჩინელთა მნიშვნელოვანი ნაწილის შეშფოთებას იწვევს.

ჩინეთში არსებობს ძლიერი სოციალური ძალები, რომლებიც გარკვეულ ჩარჩოში ამყოფებენ საბაზრო ელემენტებს. ჩინეთში მოქმედებს მტკიცე ანტიმონოპოლისტური კანონმდებლობა, რომელიც მსხვილი კაპიტალის შევიწროებისაგან იცავს მოსახლეობის საშუალო და დაბალშემოსავლიან ფენებს.

ჩინელთა ერთიანი გარჯისა და შრომისმოყვარეობის შემდეგ საერთო პროდუქციის წარმოების მხრივ ჩინეთი მოწინავე პოზიციაზე დგას დღევანდელ მსოფლიოში.

ახალი საბაზრო მეურნეობის მოდელი შექმნეს ყოფილი იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის თეორეტიკოსებმა ე. კარდელმა, ვ. ბაკარიჩმა, ზ. ჩეპომ, ო. შიკმა, გაეკმა, ი. სვიტაკმა, ვ. მანდელმა და სხვ. [3]. ისინი ილაშქრებდნენ ტოტალიტარული, დიქტატორული სოციალიზმის წინააღმდეგ. მათი ანტიტოტალიტარიზმი გულისხმობდა ეკონომიკის დეცენტრალიზაციას (სახელმწიფოს როლის შემცირებას), თვითმართველობაზე გადასვლას, წვრილი საწარმოების გახსნას, განსახოგადოებელი მიწების გადაცემას კერძო მესაკუთრეებისადმი და სხვ.

აღნიშნული თეორეტიკოსებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა წარსულში ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი ოტა შიკი [4].

აქ უნდა შევნიშნოთ, რომი თავისუფალ კონკურენციას წარმოების კონცენტრაციამდე მიყვავართ, ხოლო ამ უკანსკნელს გარკვეულ საფეხურზე — მონოპოლიამდე. სწორედ მონოპოლიზმი ამძიმებს საქმეს, ეს იქნება კერძო თუ საზოგადოებრივ საკუთრების, რომელიც ხელს უწყობს ადმინისტრაცი-

ულ-მმართველობით აპარატს თავისი პირობები უკარნახოს მწარმოებლებსა და მშრომელებს, წაართვას მათ არჩევის საშუალება.

საინტერესოს წარმოადგენს აღმოსავლეთის რიგი ქვეყნების გამოცდილება. ამ ქვეყნებმა განვლეს ეკონომიკის განვითარების ინტენსიური გზა და მოკლე დროში მაღალ დონეს მიაღწიეს. ამ მხრივ საყურადღებოა სამხრეთ კორეის მაგალითი, რომელსაც უნდა გავეცნოთ და შეძლებისდაგვარად გამოვიყენოთ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი სახრეთ კორეის რესპუბლიკის ეკონომიკა წმინდა აზიური იყო. სოფლის მეურნეობა, მცირე რესურსები და მჭიდროდ დასახლებული მოსახლეობა, რომლის უდიდესი ნაწილი მიწათმოქმედებას მისდევდა. გაზაფხული დადგებოდა თუ არა მოსახლეობის უმეტესობა მთებს მიაშურებდა. რათა ხეებისათვის ქერქი გაეძროთ და დამშეული ცოლ-შვილი დაეპურებინათ.

XX საუკუნის 50-იან წლების შუა პერიოდში, ეკონომიკური განვითარებით სამხრეთ კორეა მიეკუთვნებოდა ჩამორჩენილი ქვეყნების ჯგუფს. მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე 100 დოლარს არ აღემატებოდა მაშინ ძნელად თუ წარმოიდგენდა ვინმე, რომ სამხრეთ კორეა თავს დაადწევდა სიღატაკს.

მსოფლიო არ ელოდა, რომ სამხრეთ კორეა მიაღწევდა განვითარების რეკორდულ მაჩვენებლებს.

50-იანი წლების დამლევს ამერიკელები წერდნენ: "კორეელები მსოფლიოში უზარმაცესი ხალხიანო. ისინი კონფერენციებზე კი არასოდეს ცხადდებიან დროულადო" [5, 4]. როდესაც ეკონომიკამ სწრაფი განვითარება დაიწყო, სამხრეთ კორეელები პუნქტუალური გახდნენ. ისინი მიხვდნენ, რომ დროის პუნქტუალური დაცვა საერთაშორისო ბაზარზე წარმატებული ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

წარმატებულმა ეკონომიკურმა განვითარებამ ხალხიც უფრო აამუშავა. რაც უფრო ვითარდებოდა სამხრეთ კორეის მრე-

წველობა, ბიზნესიც უფრო და უფრო საქმიანი ხდებოდა. კორეელები დღეს ზარმაცები არ არიან. ამერიკელები კი ამბობენ, რომ კორეელები ყველაზე ბეჯითი ხალხია მსოფლიოში.

სამხრეთ კორეის ეკონომიკის ძირეული ცვლილებები მოხდა ერთი თაობის თვალწინ. სამხრეთ კორეა XX საუკუნის მეორე ნახევარში განასახიერებდა აზიის განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის დინამიზმს. სამხრეთ კორეა არ ფლობს მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსებს. იგი აწარმოებს მსოფლიო მთლიანი პროდუქტის 2%-ს და გააჩნია მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობის მხოლოდ 0,8%.

როგორც ცნობილია, ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირება უზრუნველყოფილია არა მარტო შრომითი და ბუნებრივი რესურსებით, კაპიტალით, ტექნიკითა და ტექნოლოგიით, არამედ რაციონალური შერწყმის უნარით, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობას და წარმოებული პროდუქტების გასაღების ბაზრებს.

სამხრეთ კორეის ეკონომიკურ განვითარებაში რამოდენიმე პერიოდი გამოიყოფა. პირველი მათგანი მოიცავს 1948-61 წლებს, მეორე 1961 წლიდან 70-იანი წლების შუახანებამდე, ხოლო მესამე — 70-იანი წლების ბოლოდან 90-იან წლებამდე.

პირველ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი ეკავა სოფლის მეურნეობას. მეორე ადგილი მეურნეობის სტრუქტურაში ვაჭრობას ეკავა. ეს პერიოდი ხასიათდებოდა აგრარულ-სანედლეულო მიმართულებით, განვითარების დაბალი დონით, ჩამორჩენილი სტრუქტურით.

შემდგომ პერიოდში ეკონომიკური განვითარება ეყრდნობოდა ადგილობრივი მრეწველობის აღმავლობას. ტარდებოდა პროტექციონისტული ღონისძიებები. 1961 წელს კორეაში შედგენილი იქნა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ხუთწლიანი გეგმა. გეგმა ითვალისწინებდა ხუთი მთავარი საწარმოო პროექტის ფაქტორის გამოუმუშავებას. ესენია: ელექტრობა, ცემენტი, სასუქი, ნავთობქიმია, რკინა-ფოლადი. ეს ამოცანები იჭრებოდა საკუთარი ინიციატივების წახალისების გზით, საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვით, რომლებსაც ხელს უწყობდა

სახელმწიფო აპარატი [5, 4].

კორეის ეკონომიკური წინსვლა შეუძლებელი იქნებოდა თუ არა ქვეყნის მთავრობისა და კერძო ბიზნესმენების ერთობლივი მონდომება.

ტრადიციული ხერხები, რომელსაც რიგი განვითარებადი ქვეყნები იყენებენ ეკონომიკური განვითარების დონის ასამაღლებლად, სამხრეთ კორეას არ ადგებოდა. მას არ გააჩნდა მნიშვნელოვანი ნედლეულის წყაროები საექსპორტო შემოსავლების გაზრდისათვის. ერთადერთი გამოსავალი იყო გადაამამუშავებელი მრეწველობის განვითარება.

ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისათვის აუცილებელი იყოს არსებული დარგების რეკონსტრუქცია, ახალი კაპიტალდამბანდებელი წარმოებებისათვის საფუძვლის ჩაყრა, სამრეწველო ინფრასტრუქტურის გაფართოება და მოდერნიზაცია. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის პროცესს 60-იანი წლების შუა ხანებში თან ახლდა საექსპორტო მოდელის განვითარებისაკენ გადასვლა.

ექსპორტორიენტირებული წარმოების შექმნა ხორციელდებოდა შიდა ბაზარზე პროტექციონიზმის შენარჩუნებით. ამით ცდილობდნენ მიეღწიათ მიმდინარე ოპერაციების საგადასახადო ბალანსის დადებით სალდოსათვის და ზრდის მაღალი ტემპებისათვის, რომლებიც ჩერდებოდა საშინაო ბაზრის მცირე ზომების გამო. ნებისმიერ განვითარებად ქვეყანას შეუძლია თავისი წარმოების განვითარება და მაღალი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნება, თუ შეძლებს შრომატევადი საქონლის ექსპორტირებას საზღვარგარეთის ბაზრებზე.

პრაქტიკულად მხოლოდ რამოდენიმე განვითარებად ქვეყანას აღმოაჩნდა ამის განხორციელების უნარი. სამხრეთ კორეის ეს უნარი პოლიტიკური მიზეზებით აიხსნებოდა. იგი ემსახურებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს სოციალიზმის წინააღმდეგ. მიზანი ხორციელდებოდა იდეოლოგიური დოქტრინის ფარგლებში: "მოგება კომუნიზმთან ეკონომიკურ შეჯიბრებაში" ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ სამხრეთ კორეა უზრუნველყო გასაღების აუცილებელი ბაზრებით.

1950-1994 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მეურნეობის სტრუქტურაში. სოფლის მეურნეობის წილი შემცირდა, ხოლო მრეწველობის წილი გაიზარდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა გადამამუშავებელი მრეწველობის სტრუქტურაში. 50-იანი წლების მეორე ნახევარში და 60-იანი წლების დასაწყისში ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ორიენტაცია შრომატევადი დარგებისაკენ (საფეიქრო, ფეხსაცმლის, კვების ხის გადამამუშავებელი მრეწველობა) შიდა ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით. შემდეგ პერიოდში, რომელიც დაკავშირებული იყო ექსპორტის ორიენტაციასთან, სწრაფად ვითარდებოდა მასალატევადი და ენერგოტევადი დარგები — შავი მეტალურგია, გემთმშენებლობა, ნავთობგადამამუშავება. 70-იანი წლების ბოლოდან განსაკუთრებით ვითარდება ენერგოტევადი წარმოება — ელექტრონიკა, კომუნიკაციური საშუალებები, ავტომშენებლობა. ყოველივე ამის შემდეგ სამხრეთ კორეამ შესამჩნევი ადგილი დაიკავა მსოფლიოს წარმოებაში. უპირველეს ყოვლისა გემთმშენებლობაში, ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ტელევიზორების, ავტომობილების წარმოებაში.

ეკონომიკური განვითარების შემთავებელ ფაქტორად რჩება სოფლის მეურნეობა. აგრარული რეფორმების გატარებს შემდეგ იგი დარჩა წვრილსაქონლური. მიწის რეფორმის კანონით გათვალისწინებული იყო მიწის არა უმეტეს 3 ჰექტარის ქონა. იკრძალებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა, არენდა. ასეთ პირობებში სოფლის მეურნეობას შეუძლია დაეყრდნოს მხოლოდ სახელმწიფოს მხარდაჭერას.

ეკონომიკური დახმარება და სასესხო კაპიტალი ხელს უწყობდა ძირითადი მწარმოებლური დარგების შექმნას და სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უცხოური ტექნოლოგიების სესხმა. საზღვარგარეთ მოწყობილობების შესყიდვას თან ახლდა ტექნოლოგიური პროცესების გამოყენების უფლებების შექმნაც. საზღვარგარეთიდან შემოტანილია მოწინავე ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყო ახალი წარმოების შექმნას.

წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ხარისხის ზრდას.

60-80-იან წლებში ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს შრომითი რესურსები, მათი ხვედრითი წილი მთლიანი შიდა პროდუქტის მატებაში შეადგენდა 30,8%-ს, ინვესტიციების წილად მოდიოდა 23,5%, ტექნოლოგიების დანერგვის წილად — 18,7%, რესურსების რაციონალური დანერგვის წილად — 9,2%. მთლიანობაში ეკონომიკური განვითარების დონით, მეურნეობის სოციალური სტრუქტურით სამხრეთ კორეა გაუთანაბრდა საშუალოდ განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს.

სამხრეთ კორეის მეურნეობის სოციალური სტრუქტურის განმასხვავებელი ნიშანია მძლავრი სახელმწიფო სექტორის შექმნა. სახელმწიფო საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი შეიქმნა 60-70-იან წლებში სპეციალური კანონის ბაზაზე, რომლის მიზანია მრეწველობის განვითარება და ექსპორტ-ორიენტირებული ეკონომიკის ჩამოყალიბება. სახელმწიფო საკუთრება მოიცავს ელექტროენერგეტიკას, გზატკეცილების მშენებლობას, შავი ლითონების, ქიმიური სასუქების წარმოებას, ჰიდრორესურსების გამოყენებას და სხვ.

სამხრეთ კორეის ეკონომიკისა და ტექნოლოგიის ინსტიტუტის პრეზიდენტის სანგ სენგ პარკის აზრით, მთავრობამ უნდა მიიღოს საწარმოო და ფინანსური გეგმები, ქარხნები და სხვადასხვა ობიექტები კი კერძო სექტორებმა აშენონ.

სამხრეთ კორეაში ურთიერთდახმარე ნედლეულის საწარმოები მთავრობის დახმარებით აიგო. ცემენტის, სასუქების ქარხნები და ნავთობ-ქიმიური ობიექტები კერძო ფირმებმა ააშენეს და გამართეს კორეის მთავრობის ხელშეწყობით.

ახალი საწარმოო ობიექტების ამუშავების შემდეგ ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელ ძალად წარმოებული პროდუქციის ზრდა იქცა. წარმოებული პროდუქცია მატულობდა და ეს პროცესი დღემდე არ შეჩერებულა.

მრეწველობის განვითარებამ შესაძლებელი გახადა იმპორტის შეცვლილი იყო ადგილობრივი წარმოებით.

სახელმწიფოს ხელშეწყობით მიმდინარეოს კაპიტალიზმის განვითარება სოფლის მეურნეობაში. აგრარული სფეროს განვითარებაში მთავარი იყო კოოპერირება. აქ ჩვენ უნდა გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის აზრი, რომელიც სოფლის მეურნეობის წინაშე დამდგარ პრობლემების გადაჭრის შესაძლებლად მიიჩნევს სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის შექმნის გზით. "თუ ახლავე არ ვუშველეთ თავს, ჩვენი ჩაქმე წასულია, ამიტომაც ყოველსავე ეკონომიკურ სარბილზე ნაშრომს, საღვაწს, საწარმოებელს... ამხანაგური კრებული უნდა ავურჩიოთ, რაკი ცალ-ცალკე ამისათვის უღონონი ვართ" — წერდა ი. ჭავჭავაძე. მისი თქმით "იქ საცა თითოეული უღონოა, ღონიერი არიან ყველანი ერთად" [7].

სამხრეთ კორეაში 60-იანი წლებში მიმდინარეობდა მომარაგებითი, სამომხმარებლო და საკრედიტო კოოპერატივების შექმნა. 70-იან წლებში ყალიბდებოდა "მიწის ერთობლივი დამუშავების კოოპერატივები. 1978 წელს დაიწყო სამეურნეო კოოპერატივების შექმნა სახელმწიფოს კონტროლქვეშ. ეს ორგანიზაციები გაკოტრებულ გლეხებს უზრუნველყოფდნენ სამუშაოთი.

სამხრეთ კორეის საკრედიტო სისტემა იმყოფება მკაცრი სახელმწიფო კონტროლის ქვეშ. 60-იანი წლების დასაწყისში მიმდინარეობდა ბანკების ნაციონალიზაცია, მაგრამ შემდეგ პერიოდში, კვლავ პრივატიზაცია. ფინანსური ინსტიტუტები რომლებიც იმყოფებოდნენ სახელმწიფო კონტროლის ქვეშ ან მის საკუთრებაში, ძირითადად მიზნობრივ კრედიტებს იძლეოდნენ და თვალყურს ადევნებდნენ მათ გამოყენებას. აქ კვლავ უნდა მოვიშველიოთ ი. ჭავჭავაძის აზრი, რომლის მიხედვითაც "კრედიტის ეკონომიკური საგანი ის არის, რომ იგი საზოგადოებაში მოხმარებული იქნეს წარმოების გასავითარებლად. სწორედ ამით იზრდება "ქვეყნის ნივთიერი კეთილდღეობა და სიმდიდრე" — აღნიშნავდა ის. ილია ჭავჭავაძე კრედიტის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, მოითხოვდა, რომ ბანკიდან სესხი მხოლოდ ბეჯით ადამიანებს მისცემოდათ. არავის არ უნდა ჰქონოდა იმედი, რომ ბანკი თავის საღაროებს უქნარებს

გაუხსნიდა" [7].

სამხრეთ კორეაში კრედიტებს აძლევდნენ ხანგრძლივი ვადით. შეღავათიან პირობებში, სანამდე კომპანია საერთაშორისო კონკურენტუნარიანობას არ შეიძენდა. მთავრობა აკონტროლებდა კაპიტალდაბანდებების 2/3, ამასთან ერთად 60-იან წლებში იგი აფინანსებდა კაპიტალდაბანდებების 20%-ს, 1972-75 წლებში - 14,5%-ს, 1976-1980 წლებში - 20%-ს, 1981-1984 წლებში 24,4%-ს.

სამხრეთ კორეის საგარეო ვაჭრობის სწავმა ზრდამ განაპირობა როგორც საშინაო ვაჭრობის, ასევე ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაფართოება.

ინდუსტრიალიზაციის ყველა ეტაპზე სამხრეთ კორეის უმთავრესი სავაჭრო პარტნიორებად გამოდიან იაპონია და აშშ. 1994 წელს იაპონიის წილად მოდიოდა სამხრეთ კორეის ექსპორტის 14,1% და იმპორტის 24,8%, აშშ-ს წილად, შესაბამისად 21,1% და 21,1%. ამჟამად რამდენადმე შემცირდა აშშ-ის და იაპონიის მნიშვნელობა. მტკიცდება კავშირები ევროპის და აზიის სხვა ქვეყნებთან. მათ წილზე მოდის სამხრეთ კორეის ექსპორტის 14,3% და იმპორტის 5%. მოცემულ რეგიონში უდიდეს სავაჭრო არტნიორად გამოდის სინგაპური [6].

სამხრეთ კორეის ეკონომიკური განვითარების მოდელს ბევრი საერთო აქვს იაპონურთან, მაგრამ მთავრობის როლი ეკონომიკურ რეგულირებაში აქ უფრო მაღალია, ფართოდ გამოიყენება დიქტატორული მეთოდები.

1987 წელს გადაიდგა ნაბიჯები სახელმწიფო რეგულირების შესუსტებისაკენ. მიღებული იქნა ლიბერალიზმის ხელშემწყობი ზომები და უცხოური მრეწველობისათვის იქმნებოდა უფრო ღია ეკონომიკა. როგორც ვხედავთ ისევე, როგორც გერმანიაში აქაც გამოიყენება განვითარების სპირალისებური მეთოდი; ზიგზაგისებური გზა — საწყის პერიოდში პროტექციონისტული მოდელები ჭარბობს, შემდეგ ფართო გზა ეხსნება ლიბერალიზმს. ჩვენს სწორედ ასეთ მოქმედებას ვუწვევთ რეკომენდაციას დღევანდელ საქართველოში.

ბოლოს უნდა დავასკვნათ, რომ ეკონომიკის განვითარების სწრაფმა ტემპმა განამტკიცა სამხრეთ კორეელთა რწმენა: "თუ

ჩვენი თავის სიკეთე გვინდა, აუცილებლად გავაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც შეგვიძლია. იმისათვის, რომ განვითარებულ ქვეყნების ცხოვრების სტანდარტებს დაეწიო, საჭიროა ბეჯითი შრომა, აღნიშნავენ კორეელები“. საჭიროა ეს აზრი განზოგადებული იქნეს საქართველოში.

ლიტერატურა:

1. А. Эрханд, Благосостояние для всех, Москва, 1991
2. R. Garaudy, Le grand fournat du socialisme, Paris, 1969
3. გ. ჭანუყვაძე, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, ნაწ. IV, თბილისი, 1969
4. Н. В. Хессин, "Новая модель" социализма О Шака Проблем буржуазной и ревизилнистской идеологии в экономической науке, Москва, 1970
5. სანგ სენგ პარკი, კორეის გამომცემლობა, გაზ. „ბანკი“, 10.07.1993
6. მსოფლიო ეკონომიკა, თბილისი, 2001
7. ი. ჭავჭავაძე, შინაური მიმოხილვა, 1883 წ. იანვარი, თხზ. ტ.5.

SOME ALTERNATIVE MODELS OF MARKET ECONOMY

Jemal Kharitonashvili

Tbilisi State University

Universiteti Str., 2, 380002, Tbilisi, Georgia

Summary. In the article it is mentioned that social models of market economy developed in the middle of 60 of 20 century. French scientific Roje Garodi has created the cybernetic model of market economy. The

model of new market economy has been created by former Yugoslavian and Czechoslovakian scientist O. Shick, I. Svitk. E. Kardel, V. Bakarich; by Jao Dzian, Den Saio Pin has been created the model of Chinese specific socialism. The interesting model of market economy functions in South Korea. There is highlighted in the article basic principle of these models what was mentioned above.

НЕКОТОРИЕ АЛТЕРНАТИВНЫЕ МОДЕЛИ РЫНОЧНОЙ ЭКОНОМИКИ

Джемал Харитонашвили
Тбилисский Госсударственный Университет
Тбилиси, 380002, Ул. Университетская 2.

Резюме. В статье показывается, что весь спектр социальных моделей рыночной экономики сформулировался в 60-ых годах XX века. Французский ученый Роже Городи создал Кибернетическую модель рыночной экономики. Новую модель рыночного хозяйства предложили экономисты из бывшей Югославии и Чехословакии О. Шик, И. Свитак, Е. Кардель, В. Бакарич и др. Джао Дзиаи, Ден Сяопин и др. являются авторами китайской модели рыночного социализма. Интересная модель рыночной экономики существует в Южной Корее. В статье проанализированы основные постулаты указанных моделей.

სასურსათო პრობლემა საქართველოში და მისი ძირითადი მახასიათებლები

პაატა კოლუაშვილი

საქართველოს სახელმწიფო

აგრარული უნივერსიტეტი,

380031, თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ

შემოვიდა: 2002 წლის 20 ოქტომბერს

რეზიუმე. საქართველოში მიმდინარე აგრარული რეფორმის შეფასების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ არ მოხდა სასურსათო პრობლემის გადაჭრის მიზნით სწორი და მიზანმიმართული ღონისძიებების გატარება. შედეგად ქვეყანაში სერიოზული სიძნელეები შეიქმნა მოსახლეობის სამამულო წარმოების სურსათით დაკმაყოფილების საქმეში. დარღვეულია და კრიტიკას ვერ უძლებს სასურსათო კალათით განსაზღვრული პროდუქტების მოხმარების ბალანსი. ნაჩვენებია ამ მდგომარეობის გამომწვევი ძირითადი ფაქტორები. გაკეთებულია დასკვნები ასკ-ს ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლების, დარგთაშორისი და შიგადარგობრივი ეკონომიკური კავშირების აღდგენის აუცილებლობაზე.

* * *

საქართველოში სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. იგი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებისა და სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფის ერთ-ერთი გზაა.

XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისიდან მკვეთრად გაუარესდა საქართველოს სასურსათო კომპლექსისა და მისი პროდუქციის ბაზრის მდგომარეობა, სტრუქტურა და დინამიკა. წლიდან წლამდე მცირდებოდა სურსათის ეროვნული წარმოებისა და მოხმარების მოცულობები, უარესდებოდა მათი სტრუქტურა. უკანასკნელ პერიოდში სიტუაციის რამდენადმე გამოს-

წორების მიუხედავად, ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 30-35% რეალურად შიმშილობის ზღვარს მიღმა იმყოფება.

ქვეყნის მოსახლეობის კვების დონისა და ხარისხის დაქვეითება ცხოვრების ხარისხის გაუარესების შედეგია. ისეთი უმნიშვნელოვანესი მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით, როგორცაა მოსახლეობის სულადობრივი შემოსავალი, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, სურსათის მოხმარების კალორიულობითი დონე და ხარისხი, საქართველო ნაკლებ განვითარებულ ქვეყანათა რიცხვს განეკუთვნება.

სამამულო სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრმა დაცემამ მიგვიყვანა იქამდე, რომ ამჟამად ჩვენი სასურსათო ბაზრის 50%-ზე მეტს შეადგენს იმპორტული კვების პროდუქტები, მაშინ როდესაც ამ მაჩვენებლის ზღვრულად დასაშვებ ნორმად მიჩნეულია 10-20%. სასურსათო ბაზრის ასეთი ძლიერი დამოკიდებულება იმპორტზე ეკონომიკური კრაზია ქვეყნისთვის, რომელიც ფლობს მრავალფეროვანი და ხარისხიანი კვების პროდუქტების წარმოებისათვის საჭირო ბუნებრივ საწარმოო რესურსებს.

აგრარულ სექტორში რეფორმების განხორციელების ძირითად მიზანს, ასკ-ს პოტენციალის სრულად გამოყენებით, ქვეყნის სასურსათო უშიშროების მიღწევა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცება წარმოადგენდა, რაც გულისხმობს მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა, მრავალფეროვანი სასურსათო პროდუქტებით მაქსიმალურ უზრუნველყოფას მისაღებ ფასებში. ამასთან, მან უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის დასაქმება, შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის მყარი პოზიციების მოპოვება და საექსპორტო შემოსავლების ზრდა.

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის გამო მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით წელიწადში კვების პროდუქტებით მოხმარებაზე წარმოდგენას იძლევა ცხრილი 1.

კვების პროდუქტების საშუალო წლიური მოხმარება (პილობრამი ერთ სულზე)¹

ცხრილი 1

	1980წ	1985წ	1990წ	1995წ	1996წ	1997წ	1998წ	1999წ	2000წ	2000 წ % 1980 წ შედარებით
პური და პურ- პროდუქტები	180	175,1	184,6	153,5	161,3	154,2	151,0	141,1	128,8	109,6
კარტოფილი	55	46,6	37,3	26,8	42,0	44,7	47,3	47,6	48,5	104,1
ბოსტნეული სულ	95	78,7	71,7	55,8	85,6	81,2	48,2	55,2	79,4	108,8
ხილი, კენკრა, ყურძენი	75	60,1	48,3	36,7	66,3	60,2	57,8	43,5	48,3	80,3
შაქარი	35	20,2	17,0	6,0	21,0	23,0	21,8	21,8	21,1	104,5
მცენარეული ზეთი	7,6	7,01	4,46	3,27	3,75	3,95	4,5	4,61	4,8	68,4
ხორცი და ხორცის პროდუქტები	46,0	41,5	36,5	12,5	14,6	15,6	20,8	19,8	19,2	46,3
რძე და რძის პროდუქტები	310	321,0	311,0	97,9	178,4	217,6	212,5	209,0	161,9	50,4
კვერცხი	230	149,3	140,0	66,1	105,0	107,0	122,5	124,6	129,0	86,4
თევზი	10,5	10,9	8,09	0,56	1,0	1,29	1,80	1,95	2,6	19,3

1. ცხრილი შედგენილია საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის მასალების საფუძველზე.

მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ საშუალოდ ქვეყანაში კვების პროდუქტების მოხმარება 1985 წლიდან 1990 წლამდე იზრდება, ხოლო 1990 წლიდან 1995 წლამდე მკვეთრად მცირდება. 1995 წლის შემდგომ პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, თუმცა, არც ერთი ეს მაჩვენებელი არ აკმაყოფილებს კვების მეცნიერულად დასაბუთებულ ფიზიოლოგიურ ნორმებს.

მოსახლეობის საშუალო შემოსავლებისა და სასურსათო პროდუქტების წარმოების ზრდამ შესაბამისი გავლენა მოახდინა სასურსათო პროდუქტების მოხმარებაზე. კერძოდ, მოსახლეობის ერთ სულზე ხორცისა და ხორცის პროდუქტების მოხმა-

რება 2000 წელს 1995 წელთან შედარებით 12,5 კგ-დან 19,2 კგ-მდე გაიზარდა, რძე და რძის პროდუქტების შესაბამისად - 97,5-დან 161,9 კგ-მდე, კვერცხის - 66,1-დან 129,0-მდე, თევზისა და თევზის პროდუქტების - 0,65-დან 2,6 კგ-მდე, ბოსტნეულის - 55,8-დან 79,4 კგ-მდე, კარტოფილის - 26,8-დან 48,5 კგ-მდე, ხილის, კენკრისა და ყურძნის - 36,7-დან 48,3 კგ-მდე, შაქრის - 6-დან 21,1 კგ-მდე, მცენარეული ზეთისა - 3,27-დან 4,8 კგ-მდე. მიუხედავად იმისა, არც ერთი მაჩვენებელი არ სწვდება მინიმალური სასურსათო კალათის ნორმებს, მითუმეტეს კვების მეცნიერული ნორმით დადგენილ ნორმებს.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობის მიერ მოხმარებულ პროდუქტებში სასურსათო კალათით განსაზღვრულ მინიმალურ ნორმებზე მეტი იხარჯება პური და პურ-პროდუქტები, შაქარი, ყველი, რაც იმის ნათელ სურათს იძლევა, თუ როგორია ქვეყნის შესაძლებლობები მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის საქმეში და ძირითადად რით იკვებება იგი, მითუმეტეს, როცა ცალკეული პროდუქტების ადგილზე წარმოება (საკუთარი წარმოების პროდუქტები) ბევრად ჩამორჩება მოთხოვნილებას.

მოსახლეობის არასათანადო სასურსათო უზრუნველყოფაზე ძირითად გავლენას ახდენს მათი დაბალი შემოსავლიანობა. 2000 წელს საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი მამაკაცებისათვის თვეში საშუალოდ შეადგენდა 120,5 ლარს, ხოლო მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავალი - 45 ლარს. ამავე პერიოდში მოსახლეობის მიერ სასურსათო საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯების სტრუქტურაში ყველაზე მაღალი ხვედრითი წონით წარმოდგენილი იყო პურპროდუქტებისა და ფქვილ-ბურღულეულის ნაწარმის შეძენაზე გაწეული ხარჯები (35,0%), შემდეგ მოდის ხორცისა და ხორცის პროდუქტები (12,0%), ბოსტნეულისა და ბალახეულის (9,0%), მცენარეული და ცხოველური ცხიმების (8,2%), შაქრისა და შაქრიანი საკონდიტრო ნაწარმის (7,8%), რძისა და რძის პროდუქტების (6,6%), შეძენაზე გაწეული ხარჯები. მთლიანად სასურსათო საქონლის შეძენაზე გაწეული ხარჯების ხვედრითმა წილმა სამომხმარებ-

ლო საქონლისა და მომსახურების შესაძენად გაწეული ხარჯების მთლიან მოცულობაში 53,4% შეადგინა [1].

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ მოსახლეობის მიერ მოხმარებული ძირითადი პროდუქტების მოცულობა ფულად გამოსახლებაში, ქვეყნის აგრარულ ბაზარზე 1999 წლის საშუალო ფასებით შეადგენდა 2,35 მლრდ ლარს, რაც 49%-ით ნაკლებია საქართველოს მოსახლეობისათვის (4,6 მლნ 1999 წლის იანვრის მდგომარეობით) საჭირო კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებული ძირითადი საკვები პროდუქტების მოცულობაზე (4,8 მლრდ ლარი). ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, ნაცვლად კვების ფიზიოლოგიური ნორმით განსაზღვრული 1036 ლარი ღირებულების საკვები პროდუქტებისა, წლის განმავლობაში მოხმარებული სურსათის ღირებულება შეადგენდა საშუალოდ 537 ლარს, რაც თვეში შეესაბამება საშუალოდ 44 ლარის ღირებულების სურსათს, ნაცვლად 120 ლარისა.

კვლევამ ცხადყო, აგრეთვე, რომ საქართველოს მოსახლეობა საშუალოდ მხოლოდ 50%-ით იკმაყოფილებს სურსათზე კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებას. სოფლად ეს მაჩვენებელი უკეთესია და 10-15 პროცენტული პუნქტით აღემატება ქალაქის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის ამავე მაჩვენებელს. ფულად გამოსახლებაში, სამამულო წარმოების ძირითადი სასურსათო პროდუქტების ღირებულება ქვეყნის აგრარულ ბაზარზე არსებული ფასებით 1999 წელს – 1,7 მლრდ ლარის ეკვივალენტი იყო და მისი ხვედრითი წილი მოსახლეობის მიერ ოფიციალურად აღრიცხული და მოხმარებული სურსათის მოცულობის (2,35 მლრდ ლარი) – 72%-ს შეადგენს [2].

რაც შეეხება სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქციის ხვედრით წილს მოსახლეობის კვების ფიზიოლოგიური ნორმით გათვალისწინებულ ძირითად საკვებ პროდუქტების მოთხოვნილებაში, ფულად გამოსახლებაში 35,4%-ია. ამასთან, ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ქვეყანაში იწარმოებოდა კერძო სექტორში, მათ შორის მარცვლეულის 86%, კარტოფილისა – 99%, ბოსტნეულის – 99%, ხილისა – 98,7%, ყურძ-

ნის - 99,3%, ხორცის - 98,7%, რძის - 99,7%, კვერცხის - 99,9% [3].

უნდა აღინიშნოს, რომ 2000 წელს სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი ფულად გამოსახულებაში (1,5 მლრდ ლარი) მოსახლეობის (4,4 მლნ 2002 წლის იანვრის მდგომარეობით) მიერ ოფიციალურად აღრიცხული და მოხმარებული ძირითადი საკვები პროდუქტების მოცულობაში (2,3 მლრდ ლარი) კიდევ უფრო გაუარესდა და 65% შეადგინა. ამ წელს მოსახლეობას კვების ფიზიოლოგიური ნორმების შესაბამისად რომ დაექმყოფილებინა სურსათზე მოთხოვნილება, სამამულო წარმოების პროდუქციის ხვედრითი წილი ფულად გამოსახულებაში, ამ მოცულობის მხოლოდ 32,9% იქნებოდა.

აქედან გამოგვაქვს დასკვნა, რომ ქვეყნის აგრარულ-სამრეწველო, სასურსათო სექტორი დღეისათვის ვერ უზრუნველყოფს იმ რაოდენობის სასურსათო პროდუქციის წარმოებას, რაც დააკმაყოფილებდა სურსათზე მოსახლეობის არა თუ კვების ფიზიოლოგიური ნორმებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებას, არამედ მის გადახდისუნარიან მოთხოვნასაც კი. სამამულო წარმოების სასურსათო პროდუქციის ხვედრითი წილი მოსახლეობის ძირითად საკვებ პროდუქტებზე მოთხოვნილება-სა და ფაქტიურ მოხმარებაში, საშუალოდ 1999-2000 წლებში ფულად გამოსახულებაში, შესაბამისად 33% და 67%-ია.

მიუხედავად ამისა, ქვეყანაში სურსათის დეფიციტი არ აღინიშნება, ვინაიდან, მისი შევსება ხორციელდება იმპორტული საკვები პროდუქტების ხარჯზე, რომელთა ხვედრითი წილი ძირითადი საკვები პროდუქტების მოთხოვნილებაში 16,3, ხოლო ფაქტიურ მოხმარებაში კი 33 პროცენტია.

აღსანიშნავია, რომ დღეისათვის არსებული რეზერვების გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობა ადგილობრივი წარმოების რესურსებიდან მთლიანად შეიძლება დაკმაყოფილდეს სიმინდის ფქვილით, პარკოსნებით, კარტოფილით, ბოსტნეულით, ხილით, ციტრუსებით, ღვინით, მინერალური წყლებით, ჩაით, ყველით, კვერცხით, ხილ-ბოსტნეულის კონსერვებით და ა.შ. მეტიც, ღვინის, მინერალური წყლებისა და ჩაის, ციტ-

რუსების, აგრეთვე ეთერზეთების რესურსები იძლევა მათი ექსპორტის საშუალებასაც. ამას ვერ ვიტყვით ხორცისა და ზოგიერთი სახის სასურსათო პროდუქტზე.

როგორც ცნობილია, ქვეყნის სახალხო მეურნეობის კომპლექსი წარმოადგენს მთლიან ღია სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც შედგება ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებული ორგანიზაცია-დაწესებულებების წარმომქმნელი ელემენტებისაგან, რომელთაგან ყოველი მათგანის ფუნქციონირება უზრუნველყოფს როგორც დანარჩენი ელემენტების განვითარებას, ასევე სისტემისა მთლიანად. (ასეთი სისტემის გახსნილობა, უპირველეს ყოვლისა, იმით ვლინდება, რომ მის ფუნქციონირებაზე არსებით გავლენას ახდენს არა მხოლოდ მისი შინაგანი (მიკრო), არამედ გარეგანი (მაკრო) გარემო). ჩვენ ისე უნდა წარმოვიდგინოთ საქართველოს ასკ-ს ფორმირების მიმართულება პერსპექტივაში, რომ მან უზრუნველყოს სასურსათო უშიშროება. ამასთან უნდა გვახსოვდეს, რომ ეკონომიკური განვითარების ყოველ ეტაპზე გარემოს გავლენის ძალა და ხარისხი შეიძლება განსხვავებული იყოს. ამიტომ ჩვენთან მთლიანად სახალხო მეურნეობის კომპლექსის ფუნქციონირება, უწინარეს ყოვლისა, იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად გამართულია მისი თვითრეგულირებადი მექანიზმები და მართვის წესი. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით საქართველოს ასკ-ში რეფორმირების კურსის არასწორად წარმართვის გამო, დაიშალა და არ ფუნქციონირებს ასკ-ის არსებული სტრუქტურა, დაირღვა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის სისტემა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება დაემყარა არქაულ წესებზე და ფუნქციონირებს მეურნეობათა საქმიანობას. ამის შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა რისკის ფაქტორი და წარმოებაც დაეცა.

აღნიშნული ეხება ყველა დარგს, ქვედარგს, ასკ-ს სამეურნეო სუბიექტს, რომლებიც შედიან მთლიანად ქვეყნის სახალხო მეურნეობის კომპლექსში და აქვთ ურთიერთკავშირი, ურთიერთდამოკიდებულება საბოლოო პროდუქტის ფორმირების, ტრანსპორტირების, გადამუშავების და რეალიზაციის საკითხებთან, რაც თავისთავად ზრდის მის განვითარებაზე შინა-

განი და გარეგანი გარემოს ზეგავლენას. (საბაზრო ეკონომიკის დამახასიათებელი ნიშანდობლივი მხარე მდგომარეობს იმაში, რომ გარეგანი გარემოს გავლენის ხარისხი თავისი ზემოქმედებით აღემატება შინაგანი გარემოს გავლენას. აქედან გამომდინარე ჩვენთან სხვა თანაბარ პირობებში ასკ-ს რეგულირება უფრო მეტად აუცილებელია, ვიდრე სხვა რომელიმე დარგსა თუ კომპლექსში).

ამრიგად, ზემოთ აღნიშნულიდან შეიძლება გავაკეთოთ საერთო ხასიათის შემდეგი დასკვნები:

პირველი - ქვეყნის ასკ-სათვის დამახასიათებელია შიგა-ეკონომიკური კავშირების მაღალი ინტენსივობა, რაც შემდგომში შექმნის ხელსაყრელ პირობებს დარგთაშორისი კომპლექსის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის. ამიტომ, კომპლექსწარმომქმნელ სფეროებსა და დარგებს შორის საწარმოო-ეკონომიკური კავშირების გაფართოება მიჩნეულ უნდა იქნეს ასკ-ს ეკონომიკის განმტკიცებისა და სასურსათო უშიშროების რეალიზაციის ერთ-ერთ მიმართულებად;

მეორე - ქვეყნის ასკ-სათვის დამახასიათებელია მისი სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან დამყარებული ეკონომიკური კავშირების გარკვეულად ჩაკეტილი სისტემა და ეს კავშირები სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან მკაცრი დარგობრივი სპეციალიზაციის ჩარჩოებს არ სცილდება. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით, ასკ დაბალი ინტენსივობით ხასიათდება, რაც შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას მოითხოვს. ეს კი ძირითადად დაემყარება ასკ-ს ცენტრალური სფეროს - სოფლის მეურნეობის დარგის სტრუქტურის სრულყოფის აუცილებლობას;

მესამე - საჭიროა აღდგეს დარგთაშორისი და შიგადადარგობრივი ეკონომიკური კავშირები, რეგიონალური სასურსათო პროდუქციის წარმოების ქვეკომპლექსების მუშაობა, რისთვისაც საჭირო იქნება ასკ-ს ჩაკეტილი ეკონომიკა გადავიდეს დიალექტურად ურთიერთობებზე;

მეოთხე - ქვეყნის ასკ განვითარება პერსპექტივაში მოით-

ხოვს ფართო რეგიონალური ეკონომიკური კავშირების დამყარებას. ეს კავშირები რეფორმის მიმდინარეობის პერიოდში დაირღვა და მოიშალა, ამდენად, პერსპექტივაში პერიოდულ გაუმჯობესებასა და სრულყოფას მოითხოვს.

მომავალში მტკიცე ეკონომიკური კავშირების აუცილებლობას და სრულყოფას განაპირობებს შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში ქვეყნისა და მისი რეგიონების ადგილის განმსაზღვრელი პროდუქტების (ჩაის, ციტრუსების, ხილის, ღვინისა და ღვინომასალების, ეთერზეთების პროდუქციის და სხვა) წარმოების კარგი პირობები.

მეხუთე – ქვეყნის ასკ-ს ეკონომიკურ კავშირებში, ახლაც (გარდამავალ პერიოდში) და მომავალშიაც განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს დარგთაშორისი კვლავწარმოებითი კავშირების სრულყოფის საკითხები. რაც ასევე აყენებს ღია ეკონომიკის განვითარების აუცილებლობის პერსპექტივას. იგი უნდა მივიჩნიოთ ასკ-ს დინამიკური და პროპორციული განვითარების საფუძვლად, რაც უფრო სრულად უზრუნველყოფს სასურსათო უშიშროების განხორციელებას.

ლიტერატურა:

1. გორგაძე ჰ. – საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული, ტ.2, თბილისი, 2001, გვ. 217-218.
2. სასურსათო უზრუნველყოფის მდგომარეობა. ტენდენციები ციფრებში. სტატისტიკური ბიულეტენი №7, თბილისი, 2002.
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2001 წელი. სტატისტიკური კრებული, თბილისი, 2002.

FOOD SECURITY IN GEORGIA AND ITS MAIN CHARACTERISTICS

Paata Koguashvili
Georgian State Agrarian University
Alley of David Agmashenebeli, 13th km,
380031, Tbilisi, Georgia.

Summary. On the basis of the assessment of the ongoing agrarian reform in Georgia it is shown that well-targeted and consistent steps to address the food security problem in Georgia have not been pursued. This has created serious difficulties in the provision of locally produced food products to the population. The paper suggests the main causes for this situation, as well as offers the possible ways of addressing it and improving the effectiveness of the agricultural sector.

ПРОДОВОЛЬСТВЕННАЯ ПРОБЛЕМА ГРУЗИИ И ЕЕ ОСНОВНЫЕ ХАРАКТЕРИСТИКИ

Паата Когуашвили

Грузинский государственный

аграрный университет

Тбилиси, 380031,

Аллея Давида Агмашенебели, 13-й км.

Резюме. На основе оценки аграрной реформы в Грузии показано, что для решения продовольственной проблемы не были проведены соответствующие и целенаправленные мероприятия, в результате чего, в стране возникли серьезные затруднения в обеспечении населения продовольствием отечественного производства. Нарушен и не выдерживает критики баланс потребления, определенный продовольственной корзиной. Показаны основные факторы, являющиеся причиной создавшегося положения. Сделаны выводы о необходимости повышения эффективности функционирования АПК и восстановления межотраслевых и внутриотраслевых экономических связей.

1. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. სასაქონლო ბაზრის რეორგანიზაცია. ტ. 2, თბილისი, 2001. გვ. 217-218.
2. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. მსოფლიო ბაზრის რეორგანიზაცია. ტ. 7, თბილისი, 2002.
3. საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი. მსოფლიო ბაზრის რეორგანიზაცია. 2001 წლის მარტი-სექტემბერი. თბილისი, 2002.

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის პრაქტიკული მნიშვნელობა ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევაში

თამარ გამსახურდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
380002, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. 2.
შემოვიდა: 2002 წლის 3 ოქტომბერს

რეზიუმე. სტატიაში დასაბუთებულია, რომ ეფექტიანი საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შექმნა ეკონომიკის სტაბილიზაციის ძირითადი პრობლემას წარმოადგენს და ამიტომ მისი სრულყოფის გზების ძიება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების გათვალისწინებით კონცეფციის დამუშავება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, მას საფუძვლად უნდა დაედოს პროგრამულ ბიუჯეტზე ეტაპობრივი გადასვლა, ვინაიდან ამ შემთხვევაში რესურსების დანაწილება განხორციელდება კონკრეტული სტრატეგიული გეგმის მიღწევის მიზნით. ბიუჯეტის შედგენის მიმართ ასეთი მიდგომა ეფუძნება რა, ეკონომიკისა და საბიუჯეტო სისტემის ანალიზს, ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდს ზრდის სამ ან მეტ წლამდე.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმის გარკვევას, თუ რა მოცულობის დეფიციტი უნდა დაედოს საფუძვლად ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებას, რა ცვლილებებია საჭირო, რომელსაც სახელმწიფო ხარჯების მდგომარეობა და მათი მართვა მოითხოვს და რა სახის რეფორმებია აუცილებელი საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებისა და გადასახადების ამოღებისათვის. ამ საკითხების გადაწყვეტა კი შეუძლებელია ბიუჯეტის დეფიციტის შედეგების მაკროეკონომიკური ანალიზისა და მისი ინფლაციასთან კავშირის გარკვევის გარეშე.

* * *

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა წარმოადგენს რა ეკონომიკის მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ბერკეტს, მისი მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკის რეგულირებას, მაგრამ ამ საქმიანობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებებს. კერძოდ, საქართველოში ბიუჯეტის შედგენა, როგორც წესი, ხდება ბიუჯეტისათვის დამახასიათებელი ძირითადი დატვირთვისა და სტრატეგიული მიზნების გათვალისწინების გარეშე და სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ეკონომიკის სტაბილიზაციაზე დადებით ზეგავლენა ამ მიმართულებით არ ხორციელდება, აღნიშნულიდან გამომდინარე, ეფექტური საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შექმნა ეკონომიკის სტაბილიზაციის ძირითადი პრობლემას წარმოადგენს და ამიტომ მისი სრულყოფის გზების ძიება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების კონცეფციის დამუშავება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

თანამედროვე მსოფლიო საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემების ანალიზის გვიჩვენებს, რომ თავიანთი ფუნქციონირების პროცესში ისინი უშვებენ კომპრომისებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, თვითოეული ქვეყანა ცდილობს შექმნას ისეთი მოქნილი საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა, რომელიც ოპერატიულად შეეწყობა ცვალებად ეკონომიკურ სიტუაციას, პარალელურად შეძლებს დროის ყველა მოცემულ მომენტში სახელმწიფოს მიერ დასახული კონკრეტული ეკონომიკური მიზნებისა და ამოცანების თავისებურებების გათვალისწინებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ოპტიმალური საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის შექმნა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა და თუ ვიმსჯელებთ მის შესახებ გამართული დისკუსიების მეშვეობით დავინახავთ, რომ სამწუხაროდ ჯერ კიდევ შორს ვართ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტისაგან [1,2,3,4]. ამასთანავე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებას ჯერ

არ შეუქმნია ყველასათვის მისაღები და მოსაწონი საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის მოდელი, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა მოითხოვს სრულყოფას.

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა ისეთი უნდა იყოს, რომ ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან ერთად არ ჩაახშოს კერძო მეწარმეობის საქმიანობა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ სისტემის მექანიზმების ორიენტაცია მხოლოდ ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაციაზე, სამწუხაროდ, არ იძლევა ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანის და აღმავლობის შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემას უნდა ჰქონდეს მრავალმხრივი მიზნობრივი ხასიათი. მხედველობაში გვაქვს, ერთის მხრივ ის, რომ მისი საშუალებით აუცილებელია მოხდეს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება, ხოლო მეორეს მხრივ, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემამ უნდა უზრუნველყოს სასტატო ეკონომიკური პირობების გათანაბრება და ეკონომიკის ინორმალური ფუნქციონირებისათვის პირობების შექმნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა აღმოიფხვრას საგადასახადო ტვირთის არათანაბარი განაწილების პრაქტიკა, რომელიც ყველა შემთხვევაში იწვევს ბიუჯეტისათვის დანაკარგებს[5], რაც შეეხება საწარმოთათვის საგადასახადო დავალიანებათა რესტრუქტურისაციის პროცედურას, იგი ექსპერტების შეფასებით კორუფციის მაღალი რისკის შემცველია, რადგან რესტრუქტურისაციის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველად წარმოდგენილი კრიტერიუმები ბუნდოვანი და ხშირ შემთხვევაში სუბიექტურია. [6]

საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის მოქმედების ხარისხს განსაზღვრავს ის მდგომარეობა, თუ რამდენად გამჭვირვალე და მიუკერძოებელია მისი მოქმედების არე ბიუჯეტის ფორმირებაში და რამდენად წარმატებით ხდება შემოსავლების რეგულირება, შემდგომში მათი ეკონომიკის სტაბილიზაციისათვის,

ანუ სახელმწიფოებრივი ინტერესების განსახორციელებლად წარმართვა.

სახელმწიფოს ეკონომიკური როლი ფინანსების თვალსაზრისით სახელმწიფო ხარჯებში გამოიხატება. სახელმწიფო შემოსავლების ფორმირება სახელმწიფო ხარჯების დასაფარავად გულისხმობს შემოსავლების ხარჯებად გადაქცევას. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას სახელმწიფო ხარჯები წინ უნდა უსწრებდეს სახელმწიფო შემოსავლების განსაზღვრას [7,8]. ეს აქსიომაა, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მაგალითზე, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, იგი ხშირად ირღვევა და სწორედ ეს გახლავთ, ჩვენი აზრით, დაუსაბუთებელი და ამასთანავე დაუმთავრებელი სეკვესტრირების ერთ-ერთი მიზეზი, რა თქმა უნდა ძირითად მიზეზთან კორუფციასთან ერთად, რომელიც არსებობს საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციისა და განაწილების სტრუქტურებში, რაც უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკის ნორმალური ფუნქციონირების პროცესზე.


როგორც ცნობილია, ჩვენს ქვეყანაში დღეისათვის მოქმედებს მუხლობრივი ბიუჯეტი და მიუხედავად მუდმივად არსებული პრობლემებისა 1996-2001 წლებში ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების წილი მნიშვნელოვნად იზრდება (მაგალითად, აქციზით შემოსული თანხების მოცულობა ამ პერიოდში 557 პროცენტით გაიზარდა, ხოლო დამატებული ღირებულების გადასახადის მეშვეობით კი 125 პროცენტით. ამავე პროცენტით იზრდება თითქმის ყველა გადასახადიდან მიღებული თანხები როგორც ცენტრალურ ბიუჯეტში, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტში), თუმცა ბიუჯეტის შევსებისთვის და იმ ხარჯების დასაფინანსებლად, რომლებიც საანალიზო პერიოდის ბიუჯეტებით არის გათვალისწინებული, მაინც არ არის საკმარისი.

ნებისმიერ ქვეყანაში სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისას უპირველესი მიზანი აისახება საზოგადოების წინაშე არსებული პრიორიტეტების გათვალისწინებით არსებული საბიუჯეტო რესურსების მაქსიმალურად ეფექტური გამოყენებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, 1996-2001 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ანალიზი საშუალებას გვაძლევს

განესაზღვროთ საბიუჯეტო რესურსების გამოყენების ძირითადი მიმართულებანი. ანაღზის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი: 1.1996-2000 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების ფაქტიური მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ ხარჯებს. ქვევით წარმოდგენილი გრაფიკი №1 ასახავს ხარჯების შემოსავლებზე გადაჭარბების დინამიკას (1996 წელს 255,3 მლნ. ლარით, 1997წელს 276,2 მლნ. ლარით, 1998წელს 188,5 მლნ. ლარით, 1999წელს 254,6 მლნ. ლარით, 2000წელს 204,0 მლნ. ლარით) [9];

გრაფიკი №1. სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების გადაჭარბება შემოსავლებზე (პროცენტულად)



2.1997-2001 წლებში ქვეყანაში სოციალური დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გამოყოფილი თანხების ოდენობა იზრდება, მაგრამ შემცირდა მისი ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში (1998 წელს 27 პროცენტი, 1999 წელს - 27.3 პროცენტი, 2001 წელს - 23.8 პროცენტი) და ზრდის ტემპებიც წინა წელთან შედარებით (1999 წელს 1998 წელთან შედარებით გაიზარდა 14.2 პროცენტით, 2000წელს 1999 წელთან შედარებით - 8.4 პროცენტით, ხოლო 2001 წელს 2000 წელთან შედარებით მცირდება 0.5 პროცენტით); 3.სახელმწიფო ბიუჯეტის

ხარჯების ზევით აღნიშნულ მუხლს დინამიკაში მნიშვნელოვნად ჭარბობს ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ძირითად განყოფილებებს, რომელთაც ახასიათებს მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენცია (1997 წელს 18.3 პროცენტი, 1998 წელს - 25.8 პროცენტს, 2001 წლის პროექტით - 32.0 პროცენტი). სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან მოცულობაში ამ მუხლის ხვედრითი წილი ხუთ წელიწადში თითქმის სამჯერ გაიზარდა. ბიუჯეტის ხარჯების ამ მუხლიდან 60 პროცენტზე მეტი მიემართება საგარეო და საშინაო ვალის მომსახურებისათვის; 4.სიდიდის მიხედვით ყურადღებას იმსახურებს საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, რომლის ხვედრითი წილი მთლიან ხარჯებში 2000 წელთან (19.5 პროცენტით) შედარებით შემცირდა (17.5 პროცენტი), მაგრამ წინა წლებთან შედარებით მაინც მნიშვნელოვნად არის გაზრდილი (1997 წელთან შედარებით 99.7 მლნ. ლარით გაიზარდა); 5.საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი ორი მუხლის (საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები და ხარჯები, რომლებიც არ განეკუთვნება ძირითად განყოფილებებს) ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის მთელ ხარჯებში 49.5 პროცენტს შეადგენს, რაც საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მომავალში ბიუჯეტი მხოლოდ ამ მუხლების დაფინანსების საშუალებად გადაიქცევა, ყველა დანარჩენი ღარგის დაფინანსება, სოციალური ხარჯების ჩათვლით 50.4 პროცენტის ფარგლებში რჩება; 6.იმ შემთხვევაში თუ, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურას განვიხილავთ ხარჯების, რომლებიც არ განეკუთვნებიან ძირითად განყოფილებებს, (მე-14 მუხლის გარეშე), ვნახავთ, რომ სოციალურ დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველყოფას უჭირავს 35.1 პროცენტით, მეორე ადგილზეა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯები - 25.7 პროცენტი, ე.ი. ხარჯების თითქმის 60 პროცენტზე მეტი მხოლოდ ამ ორ მუხლზე მოდის, თანაც 1997-2001 წლებში საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება გაიზარდა 95.8 მლნ. ლარიდან 195.5 მლნ. ლარამდე, ანუ 2-ჯერ და მეტად (204.1 პროცენტი), მაშინ როცა თავდაცვის ხარჯები შემცირდა

41.1 პროცენტით, განათლება - 26%-ით, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი - 62.2 პროცენტით, საქმიანობა რელიგიის, კულტურისა და სპორტის სფეროში - 41.8 პროცენტით, სამთომომკვებელი მრეწველობის, გადამამუშავებელი მრეწველობისა და მშენებლობის ხარჯები - 66.3 პროცენტით; 7. ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის განხილვა ეკონომიკური კატეგორიების მიხედვით გეიწვენებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან ხარჯებში მიმდინარე ხარჯების მოიცავს 82,1 პროცენტს, კაპიტალური ხარჯები კი 0,9 პროცენტს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხარჯების ასეთი განაწილება ნათლად მიგვანიშნებს სახელმწიფოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე. კერძოდ, საბიუჯეტო შემოსავლები მიმდინარე მოთხოვნილებასაც ვერ ფარავს და შედეგად კაპიტალური ხარჯების დაფინანსება არ ხორციელდება. რაც მომავალში შემოსავლების მიღების შესაძლებლობას მნიშვნელოვად გამორიცხავს. ჩვენი აზრით, ყურადღებას იმსახურებს იმ ფაქტის აღნიშვნაც, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურას ყველა ქვეყანაში გააჩნია თავისებურებანი, რომლებიც განპირობებულია არა მარტო ეროვნული ტრადიციებით, განათლების და ჯანდაცვის ორგანიზაციით, არამედ უმთავრესად ადმინისტრაციული სისტემით[10]; 8. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებულ სიტუაციაში სახელმწიფო ბიუჯეტი კარგავს თავის ძირითად, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარების, ფუნქციას და ფაქტობრივად, სამწუხაროდ მხოლოდ ვალების მომსახურების და მმართველობის ორგანოების დაფინანსების წყარო ხდება.

აღნიშნულ მდგომარეობას, გარკვეულწილად ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ ყოველ წელს ხდება ბიუჯეტის გეგმის დაზუსტება, ამასთან ყოველი შემდგომი დაზუსტების შედეგად შემოსავლები მცირდება, ხოლო ხარჯების მოცულობა მატულობს, რაც საბიუჯეტო პროცესის ობიექტურად მართვის ლოგიკურ საზღვრებს სცილდება.

ხარჯების მოცულობის რეალურ საშემოსავლო ბაზაზე დაყრდნობის გარეშე "დაკანონება" არაფერს ცვლის ბიუჯეტის საბოლოო რეალურ აღსრულებაში, სამაგიეროდ მიყვავართ

ისეთ შედეგამდე, როდესაც: **პირველი**, წარმოქმნილი დაგეგმვა (თანმიმდევრული დაგროვების პირობებში, რასაც ადგილი აქვს ჩვენს პრაქტიკაში) სამეურნეო შედეგის მაგივრად იწვევს სახელმწიფოს გაკოტრებას; **მეორე**, ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებულ დაფინანსებაზე ორიენტირებული უწყებები იღებენ არასწორ სამეურნეო გადაწყვეტილებებს, რასაც იწვევს მათ განკარგულებაში ფაქტიურად არსებული ფინანსური რესურსები და რასაც თან სდევს მათი საქმიანობის არაეფექტურობა; **მესამე**, ბიუჯეტის მიხედვით გათვალისწინებული გადაჭარბებული დაპირებების პირობებში არ ფინანსდება თვით მთავარი პრიორიტეტებიც, რაც იწვევს ფინანსური რესურსების საერთო ჯამური სარგებლიანობის ეფექტურობის შემცირებას; **მეოთხე**, საბიუჯეტო კრიზისი თავის მხრივ ნეგატიურ ზეგავლენას ახდენს ფულად-საკრედიტო სისტემაზე და ამასთანავე აფერხებს მეწარმეობის განვითარებას, რომელიც პარალიზებულია სახელმწიფო შესყიდვების სისტემაში არგადახდების მოცულობის ზრდის გამო; **მეექვსე**, კორუფციისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის მოცულობის ზრდის პირობებში რეალურად შესაძლებელ ხარჯების გამოყოფაზე გადაჭარბებული ხარჯების დაპირების შედეგია საბიუჯეტო კრიზისი, რომელიც საბოლოო ჯამში საერთო საზოგადოებრივი დესტაბილიზაციას იწვევს და დამანგრეველი ძალით ზემოქმედებს ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

აღნიშნული მდგომარეობიდან გამოსავალს, ჩვენი აზრით, პროგრამულ ბიუჯეტზე ეტაპობრივი გადასვლა წარმოადგენს რადგანაც პროგრამული ბიუჯეტის შემთხვევაში რესურსების დანაწილება განხორციელდება კონკრეტული სტრატეგიული გეგმის მიღწევის მიზნით. ბიუჯეტის შედგენის მიმართ ასეთი მიდგომა ეფუძნება რა ეკონომიკისა და საბიუჯეტო სისტემის ანალიზს, ბიუჯეტის დაგეგმვის პერიოდს ზრდის სამ ან მეტ წლამდე, რაც საშუალებას აძლევს გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფო ორგანოებს თვალნათლივ დაინახონ რესურსებთან დაკავშირებით მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილების შედეგი. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით მოსაზრებას იმის შესახებ

რომ 2002 წლის ბიუჯეტის კანონპროექტში გათვალისწინებული პროგრამულ ბიუჯეტზე გადასვლა ხელს შეუწყობს ბიუჯეტის შესრულების ეფექტიანობას და სახსრების კონტროლის გაადვილებას [11].

ჩვენი აზრით, ბიუჯეტი არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც მხოლოდ ცხრილების ნაკრები, რომელიც სახსრების ხარჯვის უფლებას იძლევა და ნათლად არ მიგვითითებს, თუ რა მიზანს ემსახურება იგი, საიდან ხდება სახსრების მობილიზება და რა პოტენციალი გააჩნია ქვეყანას გადასახადების თვალსაზრისით. ამასთან, როდესაც საუბარია გამჭვირვალობაზე, ეს არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც მხოლოდ ფინანსური სახსრების მოძრაობის გამჭვირვალობა, არამედ ბიუჯეტში გადასახადების წილის მაქსიმალურად გაზრდამ გადასახადის გადამხდელს უნდა დაანახოს, სად მიდის და რა მიზანს ემსახურება მის მიერ გადახდილი გადასახადი.

მეტად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ასევე ღონისძიებების ან ინდიკატორების შეთანხმებული კრებულის არსებობა, სადაც სამთავრობო პროგრამული ხარჯები და ამ ხარჯების მიზნობრივი გამოყენება, მათი შედეგები დაკავშირებული იქნება მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან.

სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა, მათი ურთიერთკავშირი ბიუჯეტში ფინანსური ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა. სწორედ იგი განსაზღვრავს ქვეყნის საგადასახადო დაბეგვრის მოცულობის შემცირებას ან გაზრდას. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე ბიუჯეტური კლასიფიკაციის სრულყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომელიც თავის მხრივ, გულისხმობს სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების სისტემატიზაციის საფუძველზე ბიუჯეტის რაციონალურ შეადგენას, მის შესრულებას, აღრიცხვის გამჭვირვალობას და პარალელურად გამოყოფილი თანხების მიზნობრივ გამოყენებით ფინანსური კონტროლის გაძლიერებას. აღნიშნული კი მოითხოვს ხარჯების მუდმივ ანალიზის დროს სამგვარ მიდგომას: ხარჯების

პერსპექტიულ დაგეგმვას, ბიუჯეტის დეფიციტის ანალიზს და გაურკვევლობის ფაქტორის მხედველობაში გათვალისწინებას.

ხარჯების პერსპექტიული დაგეგმვა სხვა არაფერი, თუ არა დღევანდელი საფინანსო პოლიტიკის ფინანსური შედეგების პერსპექტივაში დანახვა. საქართველოში ვინაიდან არ არის დამუშავებული საფინანსო პოლიტიკა, აქედან გამომდინარე, არც ხარჯების პერსპექტიული დაგეგმვა არსებობს. რაც შეეხება ბიუჯეტის სისტემის კლასიფიკაციას, იგი უკარნახებს საფინანსო პოლიტიკას ფინანსური რესურსების იმ საზღვრებს, რომლის ფარგლებში მას შეუძლია მოქმედება სახელმწიფო ხარჯებისა და შემოსავლების რაციონალური ორგანიზაციის თვალსაზრისით. საფინანსო პოლიტიკით უნდა განისაზღვროს ქვეყნის ტერიტორიაზე შექმნილი შემოსავლები და მან უნდა უზრუნველყოს ხარჯების მთელი კომპლექსის დაფინანსება შემოსავლების წყაროების განსაზღვრით და შესაბამისად, ბიუჯეტის სახსრების გამოყენების მიმართულებების რეგულირება, რაც თავის მხრივ, რეალური ბიუჯეტის შედგენისა და შესრულების აუცილებელი პირობად მიგვაჩნია. ასეთი მიდგომით საშუალება მოგვეცემა დავარეგულიროთ, ჩვენი აზრით, ბიუჯეტის სტრუქტურა, კლასიფიკაციაში ცვლილებების შეტანისას ბიუჯეტის შესრულების დროულად უზრუნველყოფა და რაც მთავარია, სახსრების მიზნობრივი დანიშნულებით ხარჯვა.

ჩვენს მიერ ამ საკითხის არაერთხელ დაყენებისა მიუხედავად, სამწუხაროდ, ბიუჯეტის კლასიფიკაციაში, ისე როგორც ბიუჯეტის პროცესის სრულყოფაში არავითარი არსებითი ცვლილებები არ მომხდარა, იგი კვლავ ძველი მეთოდების და ხერხებით ხორციელდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის მეთოდიკა მოითხოვს დაუყოვნებლივ გადასინჯვას, ვინაიდან მისი ხელოვნური დაბალანსების ცდა ქვეყნისათვის გარდა ზიანისა, არაფრის მომტანია. ამიტომ ბიუჯეტის შედგენის დროს ხარჯებს უნდა მიეცეს უპირატესობა შემოსავლებთან შედარებით, რამდენადაც მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბიუჯეტის შედგენისთანავე უნდა იყოს თავიდანვე დაცული. წინა

აღმდეგ შემთხვევაში ბიუჯეტის სეკვესტრირება ყოველთვის იქ-
 ნება მოსალოდნელი და დაშვებულ შეცდომებზე პასუხისმგებ-
 ლობის აცილების თვალსაზრისით შეიძლება ქრონიკულ მოვ-
 ლენად გადაიქცეს.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირება
 და დამტკიცება ერთია, მაგრამ მთავარია მისი შესრულება. აღ-
 ნიშნულიდან გამომდინარე, ბიუჯეტურ პროცესს სახელმწიფო
 რეგულირება სჭირდება, რაც სამწუხაროდ ჩვენ ქვეყნის მაგა-
 ლითზე არ ხორციელდება. ამას მოწმობს უკანასკნელ პერიოდ-
 ში, კერძოდ, ხუთი წლის განმავლობაში ბიუჯეტის სრულყო-
 ფის პროცესში ჩავარდნები, ბიუჯეტის დეფიციტისა და სეკვეს-
 ტრირების ქრონიკულ ხასიათში გადასვლა, აღნიშნულ საქმეში
 უპასუხისმგებლობის ზრდა. ამ მდგომარეობის გამოსწორებისა-
 თვის აუცილებელია, ჩვენი აზრით, განსაკუთრებული ყურადღე-
 ბა მიექცეს იმის გარკვევას, პირველი, თუ რა მოცულობის დე-
 ფიციტი უნდა დაედოს საფუძვლად ეკონომიკური პოლიტიკის
 ფორმირებასა და განხორციელებას, მეორე, რა ცვლილებებია
 საჭირო, რომელსაც სახელმწიფო ხარჯების მდგომარეობა და
 მათი მართვა მოითხოვს და მესამე, რა სახის რეფორმებია აუ-
 ცილებელი საგადასახადო კანონმდებლობის შემუშავებისა და
 გადასახადების ამოღებისათვის. ამ საკითხების გადაწყვეტა კი
 შეუძლებელია ბიუჯეტის დეფიციტის შედეგების მაკროეკონო-
 მიკური ანალიზისა და მისი ინფლაციასთან კავშირის გარკვე-
 ვის გარეშე.

ამრიგად, მხედველობაში თუ მივიღებთ ლარის დევალვა-
 ციას, აშშ დოლართან მიმართებაში დავინახავთ, რომ ქვეყანა-
 ში ადგილი აქვს შემოსავლების რეალურ კლებას, რაც მნიშვნე-
 ლოვანწილად მოითხოვს საგადასახადო სისტემის რეფორმას,
 რაც, ჩვენი აზრით, გულისხმობს: 1. გადასახდების (დღგ-ს, მო-
 გების, საშემოსავლო და სხვა გადასახადის) განაკვეთების დი-
 ფერენციაცია შემოსავლის მიხედვით; [12] 2. დასაბეგრი ბაზის
 უნიფიკაციას (ერთიან სისტემაში მოქცევა) და ამის საფუძველ-
 ზე ერთი ტიპის გადასახდების გაერთიანებას დაბეგურის ობი-
 ექტების მიხედვით (მაგალითად, 2002 წელს საგადასახადო კა-

ნონმდებლობაში იგეგმება ცვლილებები, რომელთა მიხედვით წლიურად 100 ათას ლარზე ნაკლები ერთობლივი შემოსავლის მქონე საწარმოები მოგების და სოციალური გადასახადის ნაცვლად გადაიხდიან ე.წ. გამარტივებულ გადასახადს, რომელიც მთლიანი შემოსავლის 5 %-ის ტოლო იქნება); 3. ცალკეული კატეგორიის გადამხდელებისათვის საგადასახადო შეღავათების გაუქმებას და შემდგომში შეღავათების დაწესებაზე მკაცრი კონტროლის განხორციელებას; 4. ვადაგადაცილებულ დავალიანებათა, ასევე არამიზანმიმართული რესტრუქტურუზაციის აღმოსაფხვრელად ეფექტური საკანონმდებლო ბაზის შექმნას; 5. ფისკალური ფედერალიზმის პრობლემის გადაწყვეტას, ახალი სახის გადასახდების დაწესებასთან დაკავშირებით ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების გამიჯვნას; 6. საგადასახადო და საბაჟო სამსახურების თანამშრომლების პასუხისმგებლობის ამაღლებას.

ჩვენი აზრით, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის სრულყოფის როლისა და პრაქტიკული მნიშვნელობის განსაზღვრა ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევაში ობიექტურად მოითხოვს, რომ პარლამენტის მიერ მიღებული იქნეს ეფექტიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებები წლების განმავლობაში არსებული ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ამისათვის კი აუცილებელია შემუშავდეს სამთავრობო დონეზე ცალკეული პრიორიტეტული დარგების განვითარების სახელმწიფო პროგრამები, გადაწყვეტილებათა პაკეტი, რომელთა გამოყენება საშუალებას მისცემს მომავალში ფინანსთა სამინისტროს შეისწავლოს პარლამენტის მხრიდან შემოთავაზებულ სახელმწიფო პროგრამებში ცვლილებები, მათ თანმდევ დანახარჯებთან და მოგებასთან ერთად. ასევე აღნიშნული ცვლილებები გაითვალისწინოს ბიუჯეტის დამუშავების საწყის ეტაპზე და რაც მთავარია, ასეთი მიდგომითა და წინასწარ გატარებული ღონისძიებებით მოიხსნება გაუთავებელი დაპირისპირება პარლამენტსა და ფინანსთა სამინისტროს შორის ბიუჯეტის დამტკიცება - არდამტკიცების შემთხვევაში პასუხისმგებლობის ურთიერთგადაბრალების, ასევე ბიუჯეტის პროცეს-



ში ყველა ნაკლოვანებებში ფინანსთა სამინისტროს დადანიშნულების და პარალელურად ამადღდება სხვა ეკონომიკური პროფილის სამინისტროების პასუხისმგებლობაც ბიუჯეტური პროცესის პირველივე ეტაპზე, მისი რეალობასთან მიხედვების თვალსაზრისით.

დროა გავიგოთ არ შეიძლება საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების იმ გზებით სიარული, რომელთა მიზეზებით ჩავარდა ეკონომიკა განვითარების ასეთ ქაოსურ მდგომარეობაში. გამოსავალი უნდა ვეძებოთ საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირების ხელშემშლელი მიზეზების გამოვლენაში, ხელშემწყობი პირობებისა და პრობლემების განსაზღვრაში და არა უცხოეთიდან მოსალოდნელი, მისაღები დახმარებების იმედით, ეკონომიკურად დაუსაბუთებელი, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების უგულვლყოფის მეშვეობით ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილის პრივატიზაციიდან მიღებული მიზერული თანხებით შევსებით.

ყურადღების გამახვილებაა, ჩვენი აზრით, ასევე საჭირო არა მარტო ნასესხები დოღარების მეშვეობით ეკონომიკის მართვაზე, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტში საგადასახადო შემოსავლების მობილიზების, ხარჯების წარმართვის მექანიზმების მეცნიერულად დამუშავებასა და პრაქტიკულად დანერგვაზე, სწორედ ეს გახლავთ საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის მეშვეობით ეკონომიკის სტაბილიზაციის მიღწევის ძირითადი პირობა და ამ მიზნიდან გამომდინარე, საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემების და მათი გადაწყვეტის გზების განსაზღვრის საფუძველი.

ლიტერატურა :

1. მესხია ი., ბასარია ვ. საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფის საკითხები. თბილისი., 2001.
2. კაკულია რ., საგადასახადო პოლიტიკა და საგადასახადო სისტემის შეფასების კრიტერიუმები. საქართველოს ეკონომიკის

- მიკურ მეცნიერებათა აკადემია. შრომები. I ტომი. თბილისი, 2000.
3. პაპავა ვ., საგადასახადო სისტემა ეტაპობრივად უნდა გარდაიქმნას. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა. 26 ნოემბერი, 1999, №320.
 4. გამსახურდია გ., ფინანსების როლი საქართველოს გარდამავალ ეკონომიკაში, თბილისი, 1977.
 5. პაპავა ვ., საგადასახადო კორუმპირებულობის ინდექსი - ქვეყნის ეკონომიკის სურათი. გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა, 2000, №28.
 6. პაპავა ვ., საქართველოში კორუფციის შეზღუდვის ეკონომიკური მიდგომა. საქართველოს ეკონომიკის მიმართულეუბები. ეკონომიკური პოლიტიკისა და სამართლებრივი საკითხების ქართულ-ევროპული საკონსულტაციო ცენტრი. კვარტალური მიმოხილვა. 2000, №3-4.
 7. გამსახურდია გ., უახლოესი პერიოდის გადაუდებელი ღონისძიებების შესახებ. ჟურნალი მაკრო მიკრო ეკონომიკა. ივლისი-აგვისტო, 2000.
 8. ეკონომიკური კონცეფცია 2001 წლის ბიუჯეტისათვის. ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტრო. გაზეთი ბანკები და ფინანსები. 2000, №60.
 9. მოხსენება საქართველოს 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი. თბილისი, 2000.
 10. Экономическая теория. Под редакцией д.э.н., проф. А.И. Добринина, д.э.н. проф. Л. С. Тарасевича. Изд. "Питер Ком". Санкт-Петербург. 1999.
 11. რაზმაძე მ., ვაი ჭკუისაგან, ანუ 2002 წლის ბიუჯეტის სექტორი 150 მლნ ლარის ტოლია. ჟურნალი მაკრო მიკრო ეკონომიკა. №10 (47) 2001.
 12. მესხია ი. გადასახადების ოპტიმიზაციის მაკრო და მიკრო ეკონომიკური ასპექტები. ჟურნალი გადასახადები. 2000, №17.

THE PRACTICAL IMPORTANCE OF PERFECTING TAX AND BUDGETARY SYSTEM IN ACHIEVEMENT OF THE STABILIZATION OF ECONOMY

Tamar Gamsakhurdia

Tbilisi State University

Universiteti Str., 2, 380002, Tbilisi, Georgia

Summary. Creation of the effective Tax and Budgetary system is essential in stabilization of economic and first of all it's necessary to work hard on this conception taking in view the national interests. It must become the first step in moving ahead to the Program Budget; and then relocating resources will be directed to the achievement of concrete strategic aims. All the activities in forming Budget Plan based on economical and budgetary system analysis prolongs the period from one to three years. The time necessary for the project gives likely the chance to the government to foresee the results better in connection using recourses.

At the same time great attention must be payed: the *first*, to find out the volume of deficit and must be taken in view in forming economical policy. the *second*, what change are necessary to be done according the conditions of the expenditure and management of the State, the *third*, what kind if cardinal are necessary in creation Tax Legislation and gaining Taxes.

To do all this will be impossible without macroeconomical and learning analysis of the results of Budget Deficit in contact with inflation.

ПРАКТИЧЕСКАЯ ЗНАЧИМОСТЬ УСОВЕРШЕНСТВОВАНИЯ НАЛОГОВО- БЮДЖЕТНОЙ СИСТЕМЫ ДЛЯ ДОСТИЖЕНИЯ СТАБИЛИЗАЦИИ ЭКОНОМИКИ

Гамсахурдиа Т. Г.

Тбилисский Государственный Университет
Тбилиси, 380002, Ул. Университетская 2

Резюме. Создание эффективной налогово-бюджетной системы является основной проблемой стабилизации экономики и поэтому поиск путей усовершенствования этого вопроса, должен основываться на разработке концепций с учетом национальных интересов, в первую очередь, целей и задач экономической политики, в основу которого должен лежать поэтапный переход к программному бюджету, потому что в этом случае распределение ресурсов будет осуществляться для достижения конкретной цели стратегического плана. Такой подход к составлению бюджета основывается на анализе экономической и бюджетной системы страны, также на планирование бюджета на три или более года.

Кроме выше изложенного особое внимание надо уделить следующим вопросам: *первое*, какой объем бюджетного дефицита должен лежать в основе формирования и осуществления экономической политики; *второе*, какие изменения требуют состояные и управление государственными расходами; *третье*, какие реформы нужно проводить для усовершенствования налогового законодательства и изъятия налогов. Решение этих вопросов не возможно без макроэкономического анализа последствия бюджетного дефицита и выяснения его связи с инфляцией.

წესები ავტორთათვის

1. ჟურნალში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე - კონომიკის სერია, ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე ქვეყნდება სტატიები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თანამედროვე ეკონომიკური მიმართულებების თეორიული და პრაქტიკული კვლევების შედეგების შესახებ. პერიოდულად იბეჭდება რეცენზიები, აგრეთვე კონფერენციების, სხდომების და სხვა სამეცნიერო-ორგანიზაციული ღონისძიებების ქრონიკები.
2. რედაქციაში გამოგზავნილი სტატიის ორიგინალი ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის, ხოლო თანაავტორობის შემთხვევაში კი - ყველა თანაავტორის მიერ, სახელის, გვარის, სამუშაო ადგილის, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების, სრული საფოსტო მისამართის, ტელეფონის, ფაქსის, ელექტრონული ფოსტის მითითებით.
3. სტატიის მოცულობა, გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რეზიუმე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ უნდა აღემატებოდეს კომპიუტერზე ნაბეჭდი ტექსტის 12 გვერდს, რომელიც დაბეჭდილია 1.5 ინტერვალთ.

რედაქციაში სტატიების წარმოდგენა აუცილებელია ორ ნაბეჭდ ეგზემპლარად ელექტრონული ვერსიასთან ერთად (MS Word, ქართული ტექსტი შრიფტით AcadNusx, ხოლო ინგლისური და რუსული ტექსტი - Times New Roman).

4. ლიტერატურის დასახელება უნდა მოთავსდეს სტატიის ბოლოს ერთიანი ხის სახით.

წიგნებისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი თანმიმდევრობა: ავტორის გვარი და ინიციალები, წიგნის დასახელება, ტომი, გამოცემის ადგილი, გამომცემლობა, წელი.

საჟურნალო სტატიისათვის - ავტორის გვარი და ინიციალები, სტატიის დასახელება, ჟურნალის დასახელება, წელი, ტომი, ნომერი (გამოშვება).

ლიტერატურის ნომერი სიაში შეესაბამება ტექსტში მათი მოხსენიების რიგს. ტექსტში ლიტერატურის დასახელებისას უნდა აღინიშნოს მისი რიგითი ნომერი (მაგალითად, [3]). ლიტერატურის სიაში ყოველი წიგნის ბიბლიოგრაფიული აღწერა ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს წიგნის (ჟურნალის) სატიტულო ფურცელს.

4. ჟურნალში სტატიები გამოქვეყნდება რედაქციაში მათი შემოსვლის რიგის მიხედვით. თუ რედაქცია დააბრუნებს სტატიას გადასამუშავებლად, სტატიის წარმოდგენის თარიღად ითვლება რედაქციის მიერ საბოლოო ტექსტის მიღების თარიღი. ერთ ნომერში შეიძლება მოცემული ავტორის მხოლოდ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
5. სტატია ექვემდებარება რეცენზირებას. სტატიის გამოქვეყნებაზე უარის თქმის შემთხვევაში რედაქცია უფლებას იტოვებს ის არ დაუბრუნოს ავტორს.

- სტატია, რომელიც არ პასუხობს ზემოთ მოყვანილ პირობებს, რედაქციის მიერ არ მიიღება.

INSTRUCTION TO AUTHORS

- The journal *Proceedings of the Georgian Academy of Sciences – Economic Series* publishes papers in Georgian, Russian and English, which includes the results of theoretical and applied research in leading trends of modern economic sciences. Periodically published reviews, chronicles of conferences, meetings, seminars.
- An original paper sent to editorial board must be signed by all authors, providing names, first names, position, degrees, titles, full address, telephone, fax and e-mail.
- Volume of the paper, list of references and summary in Georgian, Russian and English should not exceed 12 lines, printed by computer with 1.5 spacing.
Two copies of paper with electronic version (MS Word, font – Times New Roman) should be sent to the publisher.
- Literature is listed as a general list at the end of the paper in the following order:
Books: 1-st, 2-nd and 3-rd names of the author, title of the book, place of publication, publishing house, year.
Journal papers: 1-st, 2-nd and 3-rd names of the author, papers title, year of publication, volume, issue.
Literature is listed following the sequence of references in the text of the paper. References in the text of an article are given in parentheses. A bibliographic description of each title in the list of literature must correspond strictly to the title page of a book, or a journal.
- Articles are published in succession of their receiving by the editorial staff. If an article is sent back to the author for revision, the date of receiving the final text is regarded as the date of submission for consideration.
- In case of a refusal to publish the paper, the editorial staff reserves the right not to return it to author.
- The paper not meeting these requirements is not taken for consideration.

ПРАВИЛА ДЛЯ АВТОРОВ

- В журнале *Известия Академии наук Грузии – серия экономическая* публикуются статьи на грузинском, русском и английском языках, в которых содержатся результаты исследований теоретического и прикладного характера по ведущим направлениям современной экономической науки. Периодически публикуются рецензии, хроника о конференциях, совещаниях, семинарах и других научно-организационных мероприятиях.

2. Направленный в редакцию оригинал статьи должен быть подписан автором, а в случае соавторства – всеми соавторами, с указанием фамилии, имени, отчества, места работы, ученой степени и звания, полного почтового адреса и телефонов, факсов электронной почты.
3. Объем статьи, список использованной литературы, резюме на грузинском, русском и английском языках, не должны превышать 12 страниц, набранного на компьютере 1.5 интервалом.

Статьи представляются в редакцию в двух экземплярах, в месте с электронной версией (MS Word, шрифт – Times New Roman).

4. Литература приводится в конце статьи общим списком в следующем порядке:

Книги: Фамилия и инициалы автора. Название книги. Том. Место издания, издательство, год.

Журнальные статьи: Фамилия и инициалы автора. Название статьи. Название журнала, год, том, номер (выпуск).

Список литературы составляется в порядке упоминания работ в статье. Ссылки на литературу в тексте даются в квадратных скобках (например, [3]). Библиографическое описание каждого названия в списке литературы должно строго соответствовать титульному листу книги (журнала).

5. В журнале статьи публикуются в порядке поступления в редакцию. В случае возвращения автору статьи для доработки, датой представления считается день получения редакцией окончательного текста. В одном номере журнала может быть опубликована только одна статья одного и того же автора.
6. Статьи рецензируются. В случае отклонения статьи редакция оставляет за собой право не возвращать ее автору.
7. Рукописи, не отвечающие настоящим правилам, редакцией не принимаются.

up 573

2



CONTENTS

- Paata Koguashvili, Hamlet Giorgadze**
Regional Trends of Food Industry in Georgia
- V. Chocheli**
"Syndrome of shadow Economy": Low Tax Burden –
Low Rate of Economic Growth
- Paata Bolashvili**
Strategy and Principles of Municipal Service Financial Management
- Timotej Jagrič, Sebastjan Strašek**
Evidence on the business cycle in Slovenia: is Industrial Production
a Coincident Indicator of Current Business Activity?
- Mzia Shelia**
Traditions of Social Protection in Georgia
- Jemal Kharitonashvili**
Some Models of Market Economy
- Paata Koguashvili**
Food Security in Georgia and its Main Characteristics
- Tamar Gamsakhurdia**
The Practical Importance of Perfecting Tax and Budgetary System in
Achievement of the Stabilization of Economy

ტომი
VOLUME
TOM

11

2003 № 1-2

76196